ლელო

№238
(12 308)

9 ოქტომბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



იოზეფ ბლატერი



მიშელ პლატინი

ბლატერი და პლატინი თბილისში

17-18 ოქტომბერს ფიფასა და უეფას პრეზიდენტები, **იოზეფ ბლატერი** და **მიშელ პლატინი** საქართველოში გაატარებენ. საპატიო სტუმრები საქართველო-შოტლანდიის მატჩსაც დაესწრებიან. *"ეს ვიზიტი ხორციელდება ნიშნად სრული მხარდაჭერისა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოსა და სტრატეგიისა"*, - ნათქვამია სფფ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

პრეზიდენტების ვიზიტის პროგრამა საკმაოდ დატვირთულია. ბლატერი და პლატინი მშენებარე ტექნიკურ ცენტრ "საგურამოს" მოინახულებენ და ქართული ფეხბურთის განვითარების პროექტს გაეცნობიან. დაგეგმილია მათი შეხვედრა ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს პირებთან.

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ძალიან დიდი პატივია ფიფასა და უეფას პრეზიდენტების სტუმრობა. მათი ვიზიტი არა მხოლოდ ჩვენს მიერ არჩეული კურსის მხარდაჭერაა, არამედ ამავდროულად, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ეს ორი საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაცია მიესალმება და აბსოლუტურად უჭერს მხარს სფფ-სა და ქვეყნის ხელისუფლებას შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებს. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი საქართველოს პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს**, *პრემიერ მინისტრ* **ზურაბ ნოღაიდელსა** *და სახელმწიფოს ყველა წარმომადგენელს საქართველოში ფეხბურთის განვითარების სტრატეგიის მხარდაჭერისთვის"*, - განაცხადა სფფ-ის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა**.

ლევან ჯანეზაშვილი

ევრო 2008. იტალია-საქართველო. მზადების პირველი დღე

მორიგი დანაკლისი: დავით მუჯირი

დავით ცაბაძე
გენუიდან

გუშინ, 8 ოქტომბერს, გამთენისას, საქართველოს ნაკრები იტალიას გაემგზავრა. **გიორგი ლომაია, გიორგი მაკარიძე, რევაზ თევდორაძე გრიგოლ დოლიძე, ალექსანდრე კვახაძე, დავით ბოლქვაძე, ლევან ცქიტიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი** - ეს 8 ფეხბურთელი გაემგზავრა თბილისიდან. მათ გარდა, ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი,** ვიცე-პრეზიდენტი **გრიგოლ ცაავა** და **თამაზ ბოკერია.**

პუნქტუალობას გერმანელებმაც უღალატეს და თბილისი-მიუნხენის ავიარეისი (ავიაკომპანია "ლუფტჰანზა") 20 წუთის დაგვიანებით გაფრინდა. 4-საათიანი ფრენის შემდეგ, მიუნხენის აეროპორტში დავეშვით. იქ 2 საათი მოგვინია შეჩერება და ისევ "ლუფტჰანზას" თვითმფრინავით გენუისკენ გავფრინდით. თვითმფრინავიდან კოლუმბის სახელობის აეროპორტში ავტობუსის გარეშე, ფეხით შევედით. სარეგისტრაციო ფორმალობა გავიარეთ, ავტობუსში მოვთავსდით და გეზი გენუის ზღვისპირა გარეუბან არეცანოსკენ ავიღეთ. ნაშუადღევს უკვე სასტუმრო "არეცანოში" ვიყავით. ნომრებში დავბინავდით და 15 წუთში ვისადილეთ, მერე კი დავისვენეთ.

15 საათზე სასტუმროში "ემპოლის" ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** გამოჩნდა, ძმასთან, გიორგისთან, და ორ იტალიელთან ერთად. ერთი ლევანის აგენტი **დავიდე ტორკია** იყო, მეორე კი "ემპოლის" გენერალური დირექტორი **მარჩელო კარლი**. როგორც შევიტყვეთ, "ემპოლის" ხელმძღვანელები და აგენტი შიშობენ ოპერაციის შემდეგ ახლადგამოჯანმრთელებულ მჭედლიძეს ტრავმამ თავი არ შეახსენოს და უნდათ, კლაუს ტოპმიოლერს ამაზე ესაუბრონ.

კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე და **ბესო ფრიდონაშვილი** ადგილზე ოთხის ნახევრისთვის გამოცხადნენ.

2

საქართველოს ნაკრების პირველი ვარჯიში გენუაში არასრული შემადგენლობით

ქართული რაგბის ექვსი პრიორიტეტი და უცხოელი მწვრთნელის საკითხიც

ინტერვიუ რაგბის კავშირის ვიცე პრეზიდენტ გია ნიჟარაძესთან

13

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

მორიგი დანაკლისი: დავით მუჯირი

პირველი გვერდიდან

სტუმრები ტყუილად არ იყვნენ მოსულები. იტალიელთა სურვილი იყო, **ლევან მჭედლიძეს** არ ეთამაშა შაბათს. საამისოდ არცთუ უმნიშვნელო არგუმენტი წარმოადგინეს - ლევანმა მძიმე ოპერაცია გაიკეთა, ჯერ კიდევ არაა მომაგრებული, საკმაო შანსია, ტკივილებმა თავი შეახსენოს და სჯობს, შაბათს არ ათამაშოთო. უკან, ემპოლიში წავიყვანთ, რამდენიმე დღით ვუმკურნალებთ და მომდევნო მატჩში (შოტლანდიასთან) გამოგადგებათო. **მარჩელო კარლი** და **დევიდე ტორკია** მჭედლიძის გათავისუფლებაზე **კლაუს ტოპმიოლერს** ესაუბრნენ, თუმცა მწვრთნელმა თავისი გაიტანა - ჩვენი სამედიცინო პერსონალის დასკვნის გარეშე არსად გავუშვებო. ერთი სიტყვით, რამდენიმეწუთიანი საუბრის შემდეგ იტალიელები უკან ემპოლიში გაბრუნდნენ. ნახევარ საათში კი ჩვენი ნაკრები სავარჯიშოდ გაეშურა. სასტუმროდან ექვსის ნახევარზე გავედით და 25 წუთის შემდეგ ლიგურეში, "ჯუზეპე ოლმოს" არენას მივადექით. ვარჯიშამდე გენუის ქუჩებში გავიარეთ და მოკლედ ამ ქალაქზეც გეტყვით:

გენუა ანუ იტალიურად ჯენოა, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მთებზე გაშენებული ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალაქია. ის ლიგურიის მხარის დედაქალაქია და ისტორიულად სამთავროებად დაშლილ იტალიაში სიმდიდრით ყოველთვის გამოირჩეოდა. გენუას განძის ქალაქსაც კი უწოდებენ. აქ მრავლად შეხვდებით ტაძრებს, სასახლეებს. გადმოცემით, გენუის მფარველი წმინდა იოანე ნათლისმცემელია. ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეა გაშენებული და აქ ზღვისა და მთის შერწყმა ერთობ თვალწარმტაცია.

ქალაქი თბილი დარიანი ამინდით დაგვიხვდა. ტემპერატურა 22 გრადუსი იყო.

წვრთნა 18 საათზე დაიწყო და საათზე მეტხანს გასტანა. იქვე გავიგე, რომ დღეს **რალფ მინგეს** დაბადების დღე ყოფილა - 47 წლისა შესრულდა.

ვარჯიშზე მხოლოდ საქართველოდან წასულები და ლევან მჭედლიძე იყვნენ. მოთელვა, მოედნის ირგვლივ სირბილი, კვადრატი, გრძელი და მოკლე პასები... მეკარეების მწვრთნელი **მამუკა აბუსერიძე გიორგი ლომაიას, გიორგი მაკარიძესა** და **რევაზ თევდორაძეს** ცალკე ავარჯიშებდა. ვარჯიშს ჩემ გარდა, კიდევ ერთი რეპორტიორი აკვირდებოდა, რეგიონული გაზეთიდან.

გუნდი ვარჯიშიდან სასტუმროში ბრუნდებოდა, როცა გაირკვა, რომ ნაკრებს კიდევ ერთი ფეხბურთელი **დავით მუჯირი** გამოაკლდა. დათომ იტალიაში დარეკა და ტრავმის შესახებ მწვრთნელებს აუწყა. სასტუმროში **გიორგი დემეტრაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ილია კანდელაკი, გიორგი შაშიაშვილი** დაგვხვდნენ. მოგვიანებით კი **ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია, ლაშა ჯაკობია, ლევან ყენია** და **დავით სირაძე** გამოჩნდნენ. **ლაშა სალუქვაძეს, ზურაბ მენთეშაშვილსა** და **მალხაზ ასათიანს** დღეს ველით.

"მზადება უკვე დავიწყეთ. მართალია, ტრავმის გამო რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლია და დანაკლისი დღეს კიდევ ერთი ფეხბურთელით გაიზარდა, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. 9 ფეხბურთელი რომელიც დღეს ვარიშზე ჩემს განკარგულებაში იყო, საკმაოდ მონდომებული გახლდათ. შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, ბოლომდე ვიბრძოლებთ. სხვათა შორის, იტალიასაც საგრძნობი პრობლემები აქვს შემადგენლობასთან დაკავშირებით. ხვალ სალამოს გუნდი უკვე მთლიანად შეიკრიბება და ზეგიდან სრული შემადგენლობით შევუდგებით მზადებას. ვარჯიშებთან ერთად, იტალიის ნაკრების თამაშების ვიდეოფირებსაც განვიხილავთ. მჯერა, რომ შაბათს კარგ თამაშს ვაჩვენებთ", - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში კლაუს ტოპმილერმა.

ავტორის ფოტოები



დაკარგული ისტორია, ანუ საცავში ნანახი განძი

ერმინელ **აკაკი ბაქრაძემ** საქართველო ლაკონურად დაახასიათა - ეს ის ქვეყანაა, სადაც ეკლესია მონასტრების გარდა, 150 წლის სახლი არ არისო.

ჩვენთან არაა შემორჩენილი ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებების არქივი, ფოტოები, ბევრი რამ. ზეზვას და მზიას ამბავივით, ახლო წარსულის გასახსენებლად, ფაქტებისა და ფოტოების მოსაძებნად, ლამის არქეოლოგიური გათხრებია საჭირო.

ამით იყო მნიშვნელოვანი გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გამართული პრესკონფერენცია, სადაც 42 წლის წინანდელი ისტორიული მატჩის ვიდეო-ფირის პრეზენტაცია მოეწყო. მედიასთან ისაუბრეს ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა, ვლადიმერ ბარქაიამ**, ქართული ფეხბურთის სტატიანმა გულშემატკივარმა, პუბლიცისტმა **დემიკო ლოლაძემ** და ვეტერანმა ფეხბურთელმა **სერგო კოტრიკაძემ**.

1965 წლის 4 ივლისს "ლუჟნიკებში" საბჭოთა კავშირის ნაკრები ბრაზილიის ამხანაგურად ეთამაშა და 0:3 წააგო, დუბლი **პელემ** შეასრულა. შეხვედრა ჩვენთვის ისტორიული იმად გახლდათ, რომ მაშინდელ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს საბჭოთა ნაკრები ნახევრად ქართული გუნდით დაუპირისპირდა. მწვრთნელმა ძირითადში **მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ანზორ კავაზაშვილი** და ვლადიმერ ბარქაია ათამაშა.

იმ პერიოდისათვის არც საბჭოთა ტელევიზიაში და არც თბილისში ვიდეო-ჩამწერი აპარატურა არ არსებობდა. თამაშის ფრაგმენტები მხოლოდ მოსკოველმა კინოდოკუმენტალისტებმა გადაიღეს, სულ რაღაც 40-წუთიანი ფირი.

ქართველი ჟურნალისტები ამ ფირს დიდი ხანია ეძებდნენ, მაგრამ რუსულ არქივებში ვერაფერი აღმოაჩინეს. ამ დროს ფირს თბილისში, კურიოზულ ვითარებაში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის საცავში მიაგნეს. აკადემიის რექტორის ბატონ **ელგუჯა გუგუშვილის** თანადგომით დიდიდ დისკზე გადაწერეს - ქართული ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი საამაყო ფურცელი. იმ დროის ამბავი, როდესაც ქართველები ჯერ კიდევ ვთამაშობდით ფეხბურთს.

მერაბ მამულაშვილი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იხარშება ჭოპმიოლერი

უვარგის რძეში თუ სინდიკატში?

საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთხელაც დარჩა საღ-სალამათი **ალექსანდრე იაშვილის** გარეშე.

რატომ? კითხვა პირველად არ დაისვა, რამეთუ იაშვილისთვის, არაერთხელ შეუქცევიათ ზურგი ნაკრების მწვრთნელებს და ყოველთვის ისე მომხდარა, რომ ამის შემდეგ ნაკრებში მწვრთნელის ცვლა დაწყებულა. დღეს სულ სხვა ვითარებაა, მაგრამ ისიცაა, რომ არაფერია მუდმივი, მათ შორის, არც ხელისუფლების მხარდაჭერა.

მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ალბათ, სხვანაირ ხელშეკრულებას გაუფორმებს **კლაუს ტოპმიოლერს** და, ალბათ, უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც აღარ მიიღებს დოტაციას ნაკრების მწვრთნელის ჯამაგირისთვის - ეს უბრალოდ დროის მოთხოვნაა, მაგრამ ხელისუფლების დახმარება ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და მის პრეზიდენტს, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ისევ ექნება.

ყველაფერი სისტემურ ხასიათს მიიღებს - უსეც დროის მოთხოვნაა და იქნება მოთხოვნები ნაკრების მწვრთნელებისადმიც. სხვა საქმეა, აქედან რა გამოვა.

13 ოქტომბერს იტალიასთან და 17 ოქტომბერს შოტლანდიასთან მატჩების შემდეგ უფრო იოლი იქნებოდა წერა, ემოციებისა და ირონიის გაჯერება, იქნებ ქებაც კი, მაგრამ აქ საქმე ეხება ფეხბურთელს, ვინც ყოველთვის მშრომელი და თავმდაბალი იყო, არასდროს იყო მისთვის იდეაფიქსი ყურადღების ცენტრში ყოფნა, ყოველთვის არაკონფლიქტური იყო, უხმაუროდ უკეთებია ქვეული საქმეებიც და სადაც არ უთამაშია, ყველგან კარგი ფეხბურთელი გახლდათ.

1997 წლის აგვისტოში, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის "დინამო" **კრისტოფ დაუმის** "ლევერკუზენს" შეხვდა და უკ-

ალექსანდრე იაშვილი (9) უკრაინასთან კარგად გაისარჯა

ვე 56-ე წუთზე 0:4-ს აგებდა. ტრასლაციის რეჟისორმა ოპერატორის მიერ შემჩნეული ობობის ქსელიც კი გამოგვიჩინა დისპლეიზე, მოედანზე, საინტერესო აღარაფერი მოხდებაო... ლევერკუზენელებმა 6:1 დაამარცხეს "დინამო", მაგრამ იაშვილმა 4:0-ზე ისეთი გოლი გაიტანა, "ბაიარენა" რომ გააჩუმა.

ამ გოლმა იაშვილს გზა გაუჭრა გერმანიისკენ. ჯერ იყო "ლიუბეკი", მერე კი ცხრა სეზონი "ფრაიბურგში"; ახლა "კარლსრუე", რომელიც მიმდინარე ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა, მხოლოდ მიუნხენის "ბაიერნს" ჩამორჩება და ასეთი ფეხბურთელისთვის აღარ აღმოჩნდა ადგილი საქართველოს ნაკრებში.

2002 წლის მუნდიალის შესარჩევშიც ისე მოხდა, რომ **ყიფიანი-ძოძუაშვილის** ტანდემი იაშვილზე უფრო სხვა შემტევებს ენდობოდა. მაშინ ალბათ საკამათო იყო, იაშვილია სხვაზე უკეთესი, თუ პირიქით, ახლა კი საქართველო კიდევ უფრო ღარიბია ხარისხიანი ფეხბურთელებით.

2002-ის შესარჩევის მიწურულს ნაკრებში მწვრთნელად **ალექსანდრე ჩივაძე** დაბრუნდა, ნდობა გამოუცხადა იაშვილს და არც შემცდარა - ციკლის ბოლო სამ თამაშში იაშვილმა ოთხი გოლი გაიტანა.

საშუალო გაქანების კლუბში გატარებული ცხრა სეზონი კი ალბათ არ არის დიდი ხეირის მომტანი ფეხბურთელის კარიერისთვის. იაშვილს არაერთხელ ჰქონდა შანსი, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული "ფრაიბურგიდან" ბუნდესლიგის ასევე საშუალო გაქანების კლუბში გადასულიყო, მაგრამ **ფოლკერ ფინკეს** გუნდში დარჩენა არჩია. ის საკლუბო ფეხბურთელი გახდა, "ფრაიბურგს" ალბათ კარგა ხანი არ ეყოლება ასეთი ერთგული და, შეიძლება ითქვას, კლუბისთვის ეპოქალური მოთამაშე.

მაგრამ ნაკრებში ვერა და ვერ იქცა იაშვილი სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთამაშედ. ბევრს არ შეუძლია იაშვილივით ორივე ფეხით კარგად თამაში, ინიციატივის საკუთარ თავზე აღება, აფეთქება და გოლების გატანა, მაგრამ მან თითქოს ვერ მოძებნა სათავისო კალაპოტი ნაკრებში და ალბათ მწვრთნელებსაც უჭირთ, მისთვის პოზიციის შერჩევა და მისი შესაძლებლობებისთვის გზის გახსნა. მიუხედავად ამისა, ის ყოველთვის ფასეული ფეხბურთელი იყო ეროვნული გუნდისთვის,

იაშვილს წინა შესარჩევშიც ატკინეს გული, როცა უთხრეს, ნაკრების ზედიზედ ორ მატჩში ვერ ითამაშებო, არადა, ის სანაკრებო შეკრებაზე იყო გამოძახებული. მაშინ სხვა დრო იყო, ქართულ ფეხბურთს **კოკაია-ახალკაცი-დარსაძის** სამკუთხედი მართავდა და რაღა არ ხდებოდა ნაკრებში და მას ირგვლივ...

ახლა კი საქართველოს ეროვნულ გუნდს ფორმალურად ტოპმიოლერი მართავს და არ უნდა მოგვცეს ეჭვის საფუძველი, რომ ასევე სინდიკატთან გვაქვს საქმე. იაშვილის არგამოძახება იტალია-შოტლანდიასთან მატჩებისთვის ისეთი რამ არის, რასაც მყარი არგუმენტებით ვერავინ გაამართლებს.

თუ სინდიკატი არაა, არის კიდევ ერთი ვერსია - ტოპმიოლერი უვარგისი რძესავითაა აჭრილი.

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ რატი წინამძღვრიშვილთან

სეზონი დაკარგულია

გაჭირვებაში ისეთებმა დამივიწყეს, ვერც წარმოვიდგენდი

"ამერს" სეზონის დაწყებამდე დიდი ძალა დააკლდა. **ბესიკ ჩიმაკაძე** და **რატი წინამძღვრიშვილი** მძიმედ დაშავდნენ და თუკი გლდანელებს დღეს საკმაოდ უჭირთ, ამ ამბავს ორი ნიჭიერი თავდამსხმელის არყოფნასაც მივაწერთ.

რატი ახლა იძულებით შვებულებაშია და მოედანს მხოლოდ მომავალი სეზონიდან დაუბრუნდება. ექიმების საშინელი პროგნოზი გამართლდა, 19 წლის თავდამსხმელი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს:

- ერთი ოპერაცია უკვე გავიკეთე, მენისკი ამომაჭრეს. მალე ჯვარედინი იოგების ოპერაციას გავიკეთებ და ალბათ, მაისამდე ველარ ვითამაშებ. მოკლედ, უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ სეზონი გამიცდა.

- მთელი სეზონის გაცდენა პატარა საქმე არაა. ყველანაირად მძიმე ტრავმა მიგიღიათ - ფიზიკურიც, მორალურიც.

- ჯვარედინი იოგების, ტრავმებში ყველაზე მძიმეა. მუხლში ყველაფერი ერთად ჩამიწყდა. მართალი ბრძანდებით, ამის გადატანა მორალურადაც ძალიან ძნელია.

ჩემთვის საშინელებაა თამაშის ტრიბუნიდან ყურება. პირველი ოპერაცია რომ გავიკეთე, ნარკოზი ნარკოზამდე მივიღე, მაგარ შოკში ვიყავი. ფეხის დატვირთვა ახლა გამორიცხულია და ერთადერთი შვება ტრენაჟორებზე ვარჯიშია, მაგარი დატვირთვებით ვვარჯიშობ. მეორე ოპერაციამდე ეს აუცილებელიცაა.

- როგორც ვიცით, ტრავმამდე "კაიზერსლაუტერნში" გადასვლის იმედი გქონდათ. ნუთუ, ეს რეალური იყო?

- ეს ძველი ვარინატია. მერე გაცილებით სერიოზული წინადადება მივიღე, ძალიან სოლიდური კლუბი დაინტერესდა. როგორც ვიცი, ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო და ოცნებები უცებ დამენგრა. ტრავმა ისედაც საშინელებაა, ასეთ დროს, მით უფრო.

(ჩვენი საუბრის შემდეგ დაზუსტებით შევიტყვეთ, რომ რატის საბერძნეთის ჩემპიონატის ერ-ერთი გრანდი იწვევდა, მაგრამ ეს არც "ოლიმპიაკოსი" იყო და არც აეკ. გვითხრეს, რომ საუბარი იყო ათენის გუნდზე და რადგან ეს ორი კლუბი გამორიცხეს, გამოდის, ქართველ ფორვარდს "პანათინაიკოსი" იწვევდა. თუმცა რატის დაკონკრეტება არ სურს და საკითხი მასთან დაუზუსტებელი დაგვრჩა).

რატი წინამძღვრიშვილი

- ტრიბუნიდან ჩვენი ჩემპიონატი როგორი სანახავია? ყურებას ისევ თამაში ხომ არ ჯობია?

- სხვათა შორის, ტრიბუნიდან დანახული პირველობა მეც მაინტერესებდა და სიმართლე გითხრათ, ლიდერების თამაშები საკმაოდ მომეწონა. აუტსაიდერების შეხვედრებზე კი რა გითხრათ, არასასიამოვნო საყურებელია.

- ხანგრძლივი ტრავმა ბევრი მოთამაშისთვის ზოგი ჭირი მარგებელია-სავით აღმოჩნდა - განვლილი გზის შეფასების, შეცდომებზე დაფიქრების დრო თქვენც გამოგიჩნდებოდათ.

- თამაშის მეტი სურვილი გამიჩნდა, მონდომება, ენინ მომეძალა.

- ტრიბუნიდან დანახულ საქართველოს ჩემპიონატში სამუდამოდ რომ არ დარჩეთ?

- (იცინის) ესეცაა მიზეზი. თუმცა სხვა რამეს ვამბობდი. შეიძლება, მივხვდი, რა გზით უნდა წავიდე, როგორ ვივარჯიშო და ა.შ.

- კაცი ნამდვილ მეგობრებს გაჭირვებაში იცნობს. ნაღდი და ყალბი ქომაგები უკვე გაარჩიეთ?

- გავარჩიე და თან როგორ. სულ რაღაც სამ თვეში ყველა "გაიშიფრა". ერთხელაც დავრწმუნდი, მე არა მარტო ძლიერ გუნდში მოვხვდი, ძალიან კარგ ხალხშიც ვყოფილვარ.

თუმცა დავინახე ისინიც, რომელთა ყურადღებასაც ველოდი და სამი თვის განმავლობაში ერთხელაც არ შემხმიანებიან. უეცრად დამივიწყეს და ეს ძალიან მწყინს. ამ ხალხთან ფეხბურთმა დამაკავშირა და მეგონა, ახლო ურთიერთობა გვქონდა. თურმე ვცდებოდი. ახლა ვხვდები, ადრე ყურადღებას რატომ მაქცევდნენ.

მერაბ მამულაშვილი

წიგნის თარო

ფეხბურთი ჩვენი ცხოვრებისა

ფეხბურთი რომ პოლიტიკაზე მაღლა დგას, ამ დღეებშიც ორჯერ დადასტურდა. ჯერ ლეგენდარული ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მატჩი გაიმართა თბილისში, რუსეთის და საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელების მონაწილეობით, მეორე დღეს კი ქართველ და რუს ფეხბურთელთა თუ სპეციალისტთა ურთიერთობების ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია შედგა საქართველოში რუსეთის საელჩოში.

გულბათ ტორაძე ერთ-ერთი ის პიროვნებაა საქართველოში, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ კულტურისა და სპორტის თაყვანისმცემლები. ხელოვნებათმცოდნე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი გ. ტორაძე მუსიკის, ფეხბურთისა და ჭადრაკის ისტორიაში არაერთი გამოცემის ავტორია.

ამ დღეებში დაინტერესებულმა მკითხველმა მიიღო გ. ტორაძის კიდევ ერთი ახალი წიგნი "ფეხბურთი ჩვენი ცხოვრებისა", რუსულ ენაზე.

როგორც ავტორი წერს: "წიგნი ეძღვნება რუსი და ქართველი ფეხბურთელების მრავალწლიან სპორტულ კავშირს. მასში მოთხრობილია იმ რუსი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების შესახებ, რომლებიც თამაშობდნენ და მუშაობდნენ ქართულ გუნდებში. მოთხრობილია აგრეთვე იმ დიდ ფეხბურთელებზე, რომლებიც თავიანთი ოსტატობით ხიბლავდნენ ქართველ გულშემატკივრებს. სათანადო ადგილი ეთმობა მათ მეტოქეებსაც - გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელებს, რომლებიც სხვადასხვა დროს თამაშობდნენ რუსეთის გუნდებსა და საბჭოთა კავშირის ნაკრებში. გახსენებულია ის დაუვიწყარი მატჩები რუს და ქართველ ფეხბურთელებს შორის, სამუდამოდ რომ შევიდნენ სპორტულ მატიანეში".

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

საქართველოს XIX ჩემპიონატი

www.pfl.ge
უმაღლესი ლიგა. VIII ტური. მიმოხილვა

საშემოდგომო ფინალის მოლოდინში

გასულ ტურში ორი ცენტრალური მატჩი გაიმართა, საიდანაც ერთმა დაპირისპირებამ საჩემპიონო რბოლას ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი 99 პროცენტით ჩამოაშორა. "დინამომ" უშუალო კონკურენტთან ჭიდილში დაამტკიცა, რომ ჩემპიონატს დამსახურებულად ლიდერობს და დამაჯერებელი გამარჯვების მიღწევა მხოლოდ საშუალო დონის გუნდებთან არ ძალუძს. გლდანური მატჩის პერიპეტიებს დღეს დაწვრილებით აღარ გავიხსენებთ, მხოლოდ იმას გავიმეორებთ, რომ დუშან უჰრინის გუნდმა სეზონის ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ერთადერთი მოცილეცა დარჩა.

ნაკლები ჯაფა არც "ზესტაფონს" დასდგომია. "ბორჯომი" ამ სეზონში თითქმის ყველა მეტოქეს მედგრად ებრძვის, ჩვენი ქვეყნის წამყვან გუნდებს ქულები მრავლად დააკარგვინა და თავად იბრძვის მაღალი საფეხურებისთვის. თემურ მახარაძე და მისი ფეხბურთელები შესანიშნავად უწყოდნენ, თუ რაოდენ ანგარიშგასაწევ მოწინააღმდეგესთან ჰქონდათ საქმე. ბრძოლა მართლაც დაძაბული გამოვიდა, მაგრამ "ზესტაფონის" უფრო მაღალმა კლასმა ბორჯომელთა წინააღმდეგობა გატეხა და "დინამომ" მეორეადგილოსანთან სხვაობის გაზრდა ვერ შეძლო.

პირველი წრის გამარჯვებულის ვინაობას კი ალბათ, 11 ნოემბერს შევიტყობთ, მე-11 ტურში "დინამო" "ზესტაფონს" უმასპინძლებს.

ტურის ფეხბურთელი

მიხეილ ხუციშვილი ("დინამო")

წელიწადზე მეტია, **მიხეილ ხუციშვილი** "დინამოს" ღირსებას იცავს, მაგრამ ბოლო პერიოდამდე მას გუნდის ლიდერი არ ეთქმოდა. უფრო მეტიც, ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა და მეტწილად შეცვლებზე თამაშობდა. წარუმატებელი ევროსარბიელის შემდეგ, "დინამოს" სასტარტო თერთმეტეულში საკმაო გადაადგილებები მოხდა და ხუციშვილს თავის გამოსაჩენად მეტი დრო და შესაძლებლობა მიეცა. მან მწვრთნელთა ნდობა სრულად გაამართლა და გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფიგურად იქცა. ბოლო მატჩებში მიხეილმა ზედიზედ დაგვამახსოვრა თავი გოლებითა და საგოლე პასებით. რაც მთავარია, მან "ამერის" ძლევაშიც ლომის წილი დაიდო იმის მიუხედავად, რომ ტრავმის გამო, მეორე ტაიმში მოედანზე ველარ გავიდა. დიახ, ხუციშვილსა და "დინამოს" ზეპრინციპული დერბის მოსაგებად, ფაქტობრივად, ტაიმი ეყოთ.

ტურის მწვრთნელი

დუშან უჰრინი ("დინამო")

გამოცდილმა ჩეხმა სპეციალისტმა "დინამოს" თავიდანვე კი დაატყო თავისი ხელი, მაგრამ წინა სეზონში უშუალო კონკურენტებთან მთლად სახარბიელო შედეგებს ვერ აღწევდა: მისმა გუნდმა ვერც "ოლიმპს" მოუგო გადამწყვეტი მატჩი, "ამერს" ჩემპიონატში კი სძლია, მაგრამ თასზე წააგო, "ზესტაფონთანაც" შინ ფრეს დასჯერდა. ამ ჩემპიონატში კი "დინამო" ამ გუნდებთანაც უდანაკარგოა - "ოლიმპსა" და "ამერთან" უკვე მოიპოვა სამ-სამი ქულა, 11 ნოემბერს კი უჰრინი და მისი რაზმი სამწლიანი ნავსის გატეხვას შეეცდებიან - "დინამოს" "ზესტაფონთან" უარყოფითი ბალანსი აქვს, ფეროელებს ბოლოს სამი წლის წინათ სძლია.

მოკლედ, უჰრინმა ძველი შეცდომები ამ შაბათსაც გამოასწორა და უხერხული მეტოქე დამაჯერებლად დაჯაბნა. უკვე კარგა ხანია, რაც ჩეხმა **მიხეილ ხუციშვილსა** და **ილია სპასოევიჩს** სკამიდან ძირითადში მიუჩინა ადგილი, რამაც შეტევა უფრო მობილური და ეფექტური გახადა. "დინამო" რომ დღემდე უდანაკარგოდ მოდის, ეს უჰრინი-ფსიქოლოგის ღირსებებზეც მეტყველებს - როგორც ჩანს, უეფას თასზე "რაპიდთან" შერცხვენის შემდეგ, დათრგუნულმა დინამოელებმა სტრესი სწრაფად დაძლიეს.

ისევ ტრიბუნა...

"ამერი"-"დინამოს" ინცინდეტის გარეშე არ ჩაუვლია. რამდენიმე მცირე შელაპარაკებას თუ არ ჩავთვლით, მოედანზე საგანგაშო არაფერი მომხდარა, სამაგიეროდ, მასპინძელთა ფანები მოიქცნენ უღირსად. მაყურებლები ლუდს ყველა ქვეყანაში სვამენ, აი არაყი კი ტრიბუნაზე ცოტა არ იყოს, ზედმეტად გვეჩვენება...

თანამსაჯს ვაიგულშემატკივრები მთელი მატჩის განმავლობაში სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ, რამაც "ამერის" ფანკლუბის წევრებსა და კლუბის წარმომადგენლებს შორის შელაპარაკება გამოიწვია. ერთი შეხედვით, კონფლიქტი მალევე ამოიწურა და იმედია, ქომაგები მომავალში უფრო მეტ კულტურას გამოიჩენენ.

ლევან ჯანეზაშვილი

VIII ტურის სიმბოლური ნაკრები



მიხეილ ხუციშვილი

დუშან უჰრინი

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	8	8	0	0	24-2	24
2. ზესტაფონი	8	7	1	0	17-3	22
3. ვიტ ჯორჯია	8	5	1	2	11-7	16
4. მგლები	8	5	0	3	9-6	15
5. ბორჯომი	8	4	2	2	10-5	14
6. მესხეთი	8	4	2	2	10-9	14
7. ამერი	8	4	0	4	14-10	12
8. ოლიმპი	8	3	2	3	6-7	11
9. ლოკომოტივი	8	3	0	5	6-12	9
10. სპარტაკი	8	2	2	4	3-7	8
11. სიონი	8	2	2	4	7-12	8
12. დილა	8	1	1	6	6-13	4
13. მერანი	8	1	0	7	3-19	3
14. ბათუმი	8	0	1	7	2-15	1

ბომბარდირები

ხუციშვილი (დინამო)	6
აკირემი (დინამო)	5
გ. ნოდ. ქელიძე (ზესტაფონი)	5
სპასოევიჩი (დინამო)	5
გ. მერებაშვილი (დინამო)	4
შ. ვიქია (ბორჯომი)	4
ტატანაშვილი (ამერი)	4
გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	4
რ. ვიქია (ოლიმპი)	4
ჭედია (მგლები)	4

მომდევნო ტური

19 ოქტომბერი. პარასკევი

15:00	დინამო-ვიტ ჯორჯია
15:00	ბათუმი-ამერი
15:00	ბორჯომი-ლოკომოტივი
15:00	სიონი-დილა

20 ოქტომბერი. შაბათი

15:00	სპარტაკი-მესხეთი

21 ოქტომბერი. კვირა

15:00	ოლიმპი-მგლები
15:00	მერანი-ზესტაფონი

www.kazbegi.com

გაზეთი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

თავისუფლება ძვირი სიამოვნებაა

ხარკოვის "მეტალისტის" მთავარმა მწვრთნელმა **მირონ მარკევიჩმა** ერთი თვის წინათ **ლაშა ჯაკობია** დუბლიდან ძირითად შემადგენლობაში დააბრუნება.

მას შემდეგ ლაშა რამდენიმე შეხვედრაში გამოჩნდა, უეფას თასზე "ევერტონთან" მწვრთნელმა ძირითადშიც დააყენა და თუკი უკრაინულ საგენტოებს ვერწმუნებით, საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშა.

ზაფხულში ლაშა ორ ცეცხლს შუა მოექცა: "მეტალისტთან" კონტრაქტი ზამთარში უმთავრდება. ხარკოველებმა ახალი ხელშეკრულება შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. კლუბის პრეზიდენტმა მძიმე არჩევანის წინაშე დააყენა - ან ჩვენს პირობებს დათანხმდები და ძირითადში ითამაშებ, ან დუბლებში გადაგისვრი და უმაღლეს ლიგაში თამაში არ გელირსებაო.

თავისუფლება ძვირი სიამოვნება ყოფილა. ლაშამ მძიმე გზით სიარული არჩია, შეთავაზებაზე მაინც უარი თქვა და კარგა ხანი დუბლებში თამაშით იკლავდა ჟინს.

ამასობაში, "მეტალისტის" მწვრთნელი მარკევიჩი მიხვდა, ქართველი ლეგიონერის გარეშე ძალიან გაუჭირდებოდა და პრეზიდენტთან ხანგრძლივი და დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ, ჯაკობია ძირითადში დააბრუნა. ის მიხვდა, რომ სჯობდა გუნდს დარჩენილ დროში მაინც გამოეყენებინა ქართველი ფორვარდი.

ვითარება ბოლო დროს არ შეცვლილა. ლაშა მალე თავისუფალი აგენტი გახდება და დიდი შანსია, უკრაინა დატოვოს - მას ავსტრიულ, გერმანულ, რუსულ და ბელგიურ კლუბებს სთავაზობენ.

მერაბ მამულაშვილი



ლაშა ჯაკობია

ჩემპიონატის ახალკაცი ბომბარდირებში გაერია

რომან ახალკაცი

სამწუხარო ფაქტია - ქართველი ფეხბურთელები ყველაზე უკეთ ევროპის ერთ-ერთ უსუსტეს ლიგაში, აზერბაიჯანის ჩემპიონატში ასპარეზობენ. გასული უქმეების ოთხი ქართული გოლიდან ორი ჩვენს სამეზობლოზე მოდის. მანამდე კი აზერბაიჯანის თასის საპასუხო მეთექვსმეტედფინალურ მატჩებზე მოგითხრობთ: "ყარაბახმა" 4:0 დაამარცხა "არაზი" (პირველი მატჩი 1:0 ჰქონდა მოგებული), ამ შეხვედრაში ჰეთ-თრიქი შეასრულა "ყარაბახის" ფორვარდმა **ირაკლი ბერაიამ**. გოლით გამოიჩინა თავი სტანდარდელმა **ვლადიმერ უგრეხელიძემაც**.

ჩემპიონატის მერვე ტურში ბაქოს "ნეფთჩიმ" ვერ მოუგო "ოლიმპიკს" - 0:0. **გიორგი ადამია** სასტარტოში იყო, ის მარცხენა ფლანგზე თამაშობდა. ქართველს ლამის პერსონალურად მეურვეობდა მარჯვენა მცველი **უსიმ ნდუკა** და აზერბაიჯანული წყაროების მტკიცებით, აფრიკელმა მოვალეობას პირნათლად გაართვა თავი. "ნეფთჩი" 14 ქულით მეოთხე ადგილზეა.

"ყარაბახმა" სტუმრად 2:1 მოუგო "კაბალას", ერთი გოლი ირაკლი ბერაიას ანგარიშზეა. "ქარვანმა" ასევე სტუმრად დაამარცხა "სტანდარდი". **რომან ახალკაცი** კი ამ მატჩის გმირი გახდა, მის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა ლადო უგრეხელიძემ, სტუმრებისაში კი - **ალექსანდრე ინნკირველმა** და რომან ახალკაცმა. ეს ახალკაცის მეხუთე გოლია ჩემპიონატში, ის მხოლოდ ერთი გოლით ჩამორჩება სერბ **ზვონიმირ სუბაშიჩს** ბომბარდირთა დავაში.

კვიპროსის ჩემპიონატში ხუთი ტური მიიღია. **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" წუხელ გვიან ესტუმრა აეკ-ს. გამარჯვების შემთხვევაში ქართველი მწვრთნელის გუნდი პირველ ადგილზე გადავიდოდა. "ახნასმა" შინ 2:1 დაამარცხა აელ-ი. ამ მატჩში მასპინძელთა შემადგენლობაში ბოლო წუთამდე ითამაშა **ლევან ქებაძემ**. **ლევან მაღრაძის** "აპოლონმა". "ენოსისი" გაანადგურა - 3:0. ლევანი 53-ე წუთზე შეცვალეს. "ეთნიკოსი" 9 ქულით მეოთხე ადგილზეა, "აპოლონს" 7 ქულა აქვს.

ბელარუსის ჩემპიონატში დამარცხდა **რომან გოგინაშვილის** და **გია თოდუას** "დინამო", ბრესტელებმა სტუმრად "ნემანთან" წააგეს. გოგინაშვილს კარგა ხანია არ უთამაშია, ხოლო თოდუა ამ შეხვედრაში 75-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

ლიტვაში სტუმრად იმარჯვა "კაუნასმა", **გივი კვარაცხელიამ** და **ნუკრი მანჩხავამ** სასტარტოში დაიწყეს "ატლანტასთან" 2:0 მოგებულ მატჩი, **აკაკი ხუბუტია** კი სათადარიგო იყო. "ვეტრამ" ასეთივე ანგარიშით სტუმრად "ვალგირისი" დაამარცხა. **ვახტანგ კვარაცხელია** 84-ე წუთზე გამოჩნდა. "კაუნასი" 71 ქულით პირველია ჩემპიონატში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩემპიონლერს აზერბაიჯანში მოთამაშეები არ სჭირდება

საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრებების შეხვედრის შემდეგ, საკმაოდ მნიშვნელოვანი კომენტარები გამოგვრჩა, რომელიც შემთხვევით ახლა ალმოვაჩინეთ.

აზერბაიჯანული ინტერნეტგაზეთმა "აზერისპორტმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია სათაურით - "ტოპმიოლერი ადამიას და გოგობერიშვილს შანსს არ აძლევს".

"კლაუს ტოპმიოლერმა "აზერისპორტს" განუცხადა, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსი არ გააჩნიათ.

"მე აქაურ ლეგიონერებზე ინფორმაციას მაწვდიან. თუკი ადრე რომელიმეს ეროვნულ გუნდში იწვევდნენ, ახლა ეს არარეალურია. ჩემი დაინტერესების იმედი არც ერთს არ უნდა ჰქონდეს, რადგან აზერბაიჯანის ჩემპიონატში მათი სათამაშო კლასი ძალიან დაეცა" - აქვეყნებს გაზეთი ტოპმიოლერის სიტყვებს.

გასაკვირია, თუკი აზერბაიჯანის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა კლასი ეცემა, საქართველოს ჩემპიონატში სკამზე ჯდომით როგორ უნდა მოემატოს ფეხბურთელს კლასი და ოსტატობა.

იტალია-შოტლანდიასთან ტოპმიოლერის მიერ გამოძახებული მოთამაშეების შერჩევის პრინციპები უცნობი დარჩა. მაგალითად - რატომ ვერ მოხვდა სიაში ბუნდესლიგაში მოთამაშე **ალექსანდრე იაშვილი** და როგორ მოხვდნენ საქართველოში უთამაშებლები ეროვნულ გუნდში.

მერაბ მამულაშვილი

პატივი ხსოვნას

4 ოქტომბერს ქართულმა (და არა მარტო) საფეხბურთო სამყარომ **ვიტალი დარასელიას** 50 წლის იუბილე აღნიშნა. იუბილეს ფარგლებში თბილისის "დინამოს ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი, ვიტალი დარასელიას მეგობართა ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გამართა (8:8), საღამოს კი რესტორან "აფხაზეთში" ბანკეტი გაიმართა. ჩამოსულ სტუმართა შორის, 1986 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი **იგორ ბელანოვიც** გახლდათ. ის სხვა სტუმართა დარად თბილისიდან მეორე დღეს არ გაფრენილა და უკრაინას მხოლოდ გუშინწინ გაემგზავრა. საქმე ის გახლავთ, რომ კიევის "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების მეგოლემ იმ ადგილის მონახულება გადაწყვიტა, სადაც 1982 წლის 13 დეკემბერს მომხდარ ავტოკატასტროფას ვიტალი დარასელიას სიცოცხლე შეეწირა.

"იგორ ბელანოვი სხვა სტუმრებთან ერთად არ გამგზავრებულა. ავიაბილეთი მას თავად გადავუცვალე. ბელანოვი ვეტერან ქართველ ფეხბურთელებთან ერთად ხარაგაულის რაიონში ჩავიდა. ავტოავარიის ადგილზე ბელანოვმა ვიტალი დარასელიას შესანდობარი შესვა და რამდენიმე წუთის განმავლობაში გაუნძრევლად იდგა. როგორც მოგვიანებით გვითხრა, დარასელიასთან გატარებულ დროს იხსენებდა. თბილისში დაბრუნებულმა ბელანოვმა დაღუპული ქართველი ფეხბურთელების საფლავებიც მოინახულა და უკრაინაში მხოლოდ ამის მერე გაემგზავრა", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ვეტერან ფეხბურთელთა დაცვის ფონდის თავკაცმა **ვაჟა ჟვანიამ**.

იგორ ბელანოვი

იგორ ბელანოვი არა მარტო კარგი ფეხბურთელი იყო, ის გულიანი ადამიანიც ყოფილა. ჩანს, მას დღემდე ახსოვს, ოცდაერთი წლისწინანდელი კეთილი ჟესტი ქართველებისგან - 1986 წელს, ჩერნობილის ბირთვული რეაქტორის აფეთქებისას თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებმა კიევის დინამოელები ოჯახებითურთ რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიფარეს.

მუჯირის მიზანი ლიგის მოგებაა

აზიის ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულ სვლას აგრძელებს **ჯაბა მუჯირის** ისპაჰანის "სეპაჰანი". ირანის თასის მფლობელი ნახევარფინალში არაბეთის გაერთიანებული საემიროების ჩემპიონ "ალ ვაჰდას" გადაეყარა და პირველი შეხვედრა შინ ჰქონდა. ისპაჰანელებმა 3:1 გაიმარჯვეს, საპასუხო მატჩი კი საემიროებში თვის ბოლოს გაიმართება.

მუჯირმა "ალ ვაჰდასთან" სრულად, 90 წუთი ითამაშა. ირანელებმა პირველი ტაიმის ბოლოს რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს და ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი შეღავათი იყო მათთვის.

თუ ხორვატი მწვრთნელის, **ლუკა ბონარჩის** "სეპაჰანი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავა, ეს უკვე ძალიან დიდი მიღწევა იქნება სპარსელებისთვის - რაც კი აზიის ჩემპიონთა ლიგა ახალი ფორმატით ტარდება, ირანის გუნდს ნახევარფინალამდეც კი არ მიუღწევია.

დავით თავართქილაძე



ფიორენტინა-იუვენტუსის შემდეგ.
ეჭვები გოლის გამო

ისევ ზრეზეგე და ისევ თამაშგარე

"ფიორენტინა"-"იუვენტუსის" მატჩში სტუმართა ფორვარდ **ვინჩენცო იაკუინტას** მიერ გატანილი გოლის სამართლიანობა ეჭვქვეშ დადგა. საგულისხმოა, რომ ანალოგიური მითქმა-მოთქმა მოჰყვა ერთი კვირის წინათ, იმავე "იუვესა" და "ტორინოს" მატჩში გატანილ **დავიდ ტრეზეგეს** გოლსაც. მაგრამ თუ მაშინ უშუალოდ ზუსტი დარტყმის ავტორთან ჰქონდათ პრეტენზიები (პასიური თამაშგარე მდგომარეობა), ბოლო შემთხვევაში იაკუინტა არაფერ შუაშია: ამჯერად, საუბარია იმაზე, რომ უშუალოდ დარტყმის მომენტში იგივე ტრეზეგე "ოფსაიდში" იმყოფებოდა. და რაც მთავარია, ეს არ ყოფილა პასიური თამაშგარე, რადგან დარტყმის მომენტში ფრანგი ფორვარდი ფლორენციელთა მეკარე **ფრეის** ეფარებოდა, რის გამოც ამ უკანასკნელმა დარტყმულზე სათანადო რეაგირება ვერ მოახდინა. თუმცა "გაძეტა დელო სპორტი" ამტკიცებს, რომ მეკარისთვის მხედველობის არეალის შეზღუდვა მის თანაგუნდელ **ალესანდრო გამბერინისაც** შეეძლო. ამასთან, ეპიზოდის გამეორებისას ჩანს, რომ ტრეზეგე მხოლოდ იმ მომენტში გადაეფარა ფრეის, როცა ბურთმა ფორვარდს ჩაუქროლა...

საინტერესოა "იუვეს" მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** მატჩისშემდგომი კომენტარი - ჩვენ გავგიმართლა, რადგან შესაძლებელი იყო, არბიტრს იაკუინტას გოლი არ ჩაეთვალაო. საერთოდ, ამ თამაშის შემდეგ რანიერიმ და "ფიორენტინის" თავკაცმა **ჩეზარე პრანდელიმ** იშვიათი ურთიერთმოფერების დემონსტრირება მოახდინეს. მაგალითად, "ფიოს" მწვრთნელმა განაცხადა, რომ იაკუინტას გოლთან დაკავშირებით არბიტრ **ნიკოლა რიცოლისთან** არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა.

პრესაში აგორებულ თემას იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კურატორი **პიერლუიჯი კოლინა** გამოეხმაურა. კოლინა რიცოლის იცავს: *"ერთადერთი პერსონა, რომელსაც შეუძლია უეჭველი სიმართლე თქვას, მეკარე ფრეი გახლავთ. სწორედ მან იცის ყველაზე კარგად, უშლიდა თუ არა ხელს ტრეზეგე. გავითვალისწინოთ, რომ რაკი ლაინსმენმა ალამი არ აწია, რიცოლი გოლს ვერ გააუქმებდა. ყველაფრის თავი და თავი თამაშგარის დაფიქსირების წესია, რომელიც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა".*



დავიდ ტრეზეგეს საკამათო გოლი

ლევანტე

აბელ რესინო დაითხოვეს

შოთა არველაძეს პაკო ფლორესი გაწვრთნის?

"ლევანტეს" ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აევსო და მთავარი მწვრთნელი **აბელ რესინო** თანამდებობიდან დაითხოვა. ეს გადაწყვეტილება მათ "სარაგოსასთან" მატჩში განცდილი მარცხის (0:3) შემდეგ მიიღეს. ბუნებრივია, საქმე ერთ თამაშს არ შეეხებოდა. მოგეხსენებათ, **შოთა არველაძის** გუნდმა მიმდინარე სეზონი კატასტროფულად დაიწყო და შვიდი ტურის შემდეგ ერთი ქულით პრიმერა დივიზიონის ბოლო საფეხურზე იმყოფება. ვალენსიელებმა მწვრთნელის გადაყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება საკლუბო ვებ-გვერდის საშუალებით გაავრცელეს. აი, რას ვკითხულობთ პრესსამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში: *"დირექტორტა საბჭოს თათბირზე გუნდში არსებული სიტუაციის განხილვის შემდეგ სენიორ აბელ რესინოს თანამდებობიდან გათავისუფლება გადაწყდა. დღეიდან ის "ლევანტეს" მწვრთნელი აღარ არის. აბელ რესინოს განეული შრომისთვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ. მისი პროფესიონალიზმი, თავდადება და შეუპოვრობა დაუვიწყარი იქნება, თუმცა ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე გუნდს სხვა სპეციალისტმა უნდა უხელმძღვანელოს."*

აბელ რესინო "ლევანტეში" იანვრის შუაში მივიდა. მან "რეალის" ყოფილი დამრიგებელი **ხუან რამონ ლოპეს კარო** შეცვალა. ახალმა მწვრთნელმა მუშაობა ენერგიულად დაიწყო და გუნდს პრიმერა დივიზიონში ადგილი შეუნარჩუნა. მადლიერმა ვალენსიელებმა კი მას ზაფხულში კონტრაქტი გაუხანგრძლივეს. ახლა ალბათ, ძალიან ნანობენ, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი თანხის გადახდა მოუწევთ.

ბუნებრივია, "ლევანტე" თავკაცის გარეშე დიდ ხანს არ დარჩება. კლუბის შეფები ერთბაშად რამდენიმე სპეციალისტთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სანაკრებო პაუზამ მათ სულზე მოუსწრო, რადგან რამდენიმე დღე მაინც ექნებათ იმისთვის, რომ მშვიდად იმუშაონ და საუკეთესო ვარიანტზე შეაჩერონ არჩევანი. ესპანური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საუკეთესო შანსს **პაკო ფლორესი** ფლობს. სააგენტო "ეფე" კი გვამცნობს, რომ პარალელურად იტალიელ სპეციალისტზეც მიმდინარეობს მსჯელობა. მისი ვინაობა არ კონკრეტდება, თუმცა ცხადდება, რომ ამ მწვრთნელს პრიმერა დივიზიონში მუშაობის გამოცდილება არ გააჩნია. მოკლედ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შოთა არველაძეს ახალი მწვრთნელი უახლოეს დღეებში გამოუჩნდება. შეგახსენებთ, ჩვენს თანამემამულეს აბელ რესინოსთან ნაყოფიერად მუშაობის საშუალება ტრავმის გამო არ მიეცა.

აბელ რესინო

ჩელსი

აბრამოვიჩი: რატომ წავიდა ჟოზე...

ოლიგარქი ფანებს ვალენსიის სასტუმროში შეხვდა და გულახდილად ესაუბრა, ჰიდინკი, ჯერჯეროვით, რომანის რუსულ პროექტზე მუშაობს, ძოლაც იტალიაში დარჩება...

ჟოზე მოურინიო და რომან აბრამოვიჩი

რომან აბრამოვიჩმა ჟოზე მოურინიოს გადადგომასთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა. გაზეთ "ფიფლის" ცნობით, რუსი ოლიგარქი "ჩელსის" ფანებს ვალენსიაში, სასტუმრო "ჰილტონის" ჰოლში შეხვდა. აბრამოვიჩმა ოცამდე ქომაგი ბარში მიიწვია, სასმელზე დაპატიჟა, შემდეგ კი ყველა საკითხზე გულახდილად ესაუბრა.

აბრამოვიჩი მოურინიოს კვლავ თავის მეგობრად თვლის. პრეზიდენტს არ ავიწყდება წარმატებები, რომელსაც "ჩელსიმ" პორტუგალიელთან ერთად მიაღწია: *"ის ყოველთვის ჩემს მეგობრად დარჩება, მაგრამ კლუბი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. ვხედავ, რომ ჟოზეს წასვლის გამო იმედგაცრუებულნი ხართ, მაგრამ ბოლო დროს ყველაფერი რიგზე ვერ იყო, ამიტომ ცვლილებები ერთადერთ სწორ გამოსავლად ჩაითვალა. დამიჯერეთ, ავრაამი (გრანტი) შესანიშნავი სპეციალისტია. ის დროებით არ დაგვინიშნავს. მასთან სრულფასოვანი კონტრაქტი გვაკავშირებს. სამწვრთნელო შტაბს მალე დავაკომპლექტებთ. ყველაფერი მწვრთნელთან კოორდინაციით მოხდება. "ვალენსიასთან" დღევანდელმა მატჩმა (კომენტარი ექვსი დღის წინათ, ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის მატჩის შემდეგ გაკეთდა, რომელიც ლონდონელებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს) დაადასტურა, რომ ჩვენს ფეხბურთელებს მოტივაცია არ აკლიათ."*

"ფიფლი" შეხვედრიდან გამოსულ ერთ გულშემატკივარსაც გაესაუბრა. ის გაოგნებული იყო და არ სჯეროდა, რომ რამდენიმე წუთით ადრე "ჩელსის" ბოსთან ერთად ლუდს მიირთმევდა: *"რომანმა დიდი პატივი დაგვდო იმით, რომ სასტუმროში მიგვიწვია. ვილაც მოვიდა და გვითხრა, წამოდით, რომან აბრამოვიჩი ბარში გეპატიჟებათო. ჩემმა რამდენიმე მეგობარმა არ დაუჯერა და სასეირნოდ წავიდა, ჩვენ კი პრეზიდენტის გვერდით აღმოვჩნდით. მან ჟოზეზე ბევრი ილაპარაკა, შეეცადა, დავერწმუნებინეთ, რომ მისი დათხოვნა კლუბისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო. პრეზიდენტს ჰგონია, რომ მწვრთნელმა საკუთარი თავი კლუბზე მაღლა დააყენა. მგონი, არცერთ ჩვენგანს არ სჯერა, რომ გრანტი მწვრთნელად დიდხანს იმუშავებს, მაგრამ სასტუმროდან გამოსვლისას ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ რომანს "ჩელსის" ბედი ნამდვილად აღელვებს და მზადაა, გუნდის კეთილდღეობისთვის იზრუნოს. სხვათა შორის, იმაზე უკეთეს ინგლისურს ლაპარაკობს, ვიდრე მეგონა. ვერ ვიგებ, რატომ არ ხვდება ჟურნალისტებს და რატომ არ ჩნდება გაზეთებსა თუ ტელევიზიაში."*

გრანტის დიდხანს დარჩენის ფანებს კი არა, ინგლისელ მიმომხილველებსაც არ სჯერათ. "სანდი მირორმა" კიდევ ერთხელ გაავრცელა ინფორმაცია გუუს ჰიდინკის მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ. ამ ინფორმაციის გვერდით გუუს ჰიდინკის კომენტარიც გამოქვეყნდა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ეს განცხადება მოსკოვში, რუსთა სანაკრებო სიის პრეზენტაციისას გააკეთა: *"ფეხბურთში ყველაფერი ელვის სისწრაფით იცვლება, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი "ჩელსიში" გადასვლა ალოგიური იქნებოდა. რომანმა და მე დიდი პროექტი შევიმუშავეთ. ის რუსეთის ნაკრებსა და 2010 წლის მუნდიალს უკავშირდება. რა თქმა უნდა, ლონდონში მუშაობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ, ჯერჯერობით, მოსკოვში ვრჩები."*

ჰიდინკს რუსი ოლიგარქის დახასიათება სთხოვეს. გუუსმა კითხვას სიამოვნებით უპასუხა: *"ის (აბრამოვიჩი) არასოდეს მბრძანებლობს და მსჯელობისას ყოველთვის ტოვებს სივრცეს, რომელსაც ჩემი შეხედულებებით ვავსებ. რომანი ძალიან მდიდარი ადამიანია, მაგრამ საკუთარი სტატუსით ბოროტად არასოდეს სარგებლობს. მასში მომწონს ისიც, რომ საკუთარ თავში დაჯერებული ადამიანია. ინგლისთან 0:3 დამარცხების შემდეგ ტექსტური შეტყობინება გამომიგზავნა: "ნუ ღელავ, რუსეთი დღეს გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე ადრე."*

ერთი კვირის წინათ ინგლისურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია "ჩელსიში" **ჯანფრანკო ძოლას** მოსალოდნელი დაბრუნების შესახებ. გუშინდელმა "გარდიანმა" გვაუწყა, რომ იტალიელმა სარფიანი შეთავაზება უარყო. მან უკვე მეორედ უთხრა უარი აბრამოვიჩს. პირველად ეს 2003 წლის ზაფხულში მოხდა. როცა რომანმა "ჩელსი" იყიდა, ჯანფრანკოს მაშინვე ახალი ხელშეკრულება და ხელფასის მომატება შესთავაზა. ძოლა კი იტალიაში დაბრუნდა და მშობლიურ "კალიარისთან" გაფორმა კონტრაქტი. ამჟამად ჯანფრანკო იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელია. პარალელურად, უეფას სამწვრთნელო ლიცენზიის აღებას აპირებს და მომავალში ინგლისში მუშაობასაც არ გამორიცხავს.

P.S. გუშინ ცნობილი გახდა, რომ "ჩელსი" "აიაქსს" ჰენკ თენ კეიტის გათავისუფლების პირობებზე შეუთანხმდა. ჰოლანდიელი სპეციალისტი ლონდონელთა მეორე მწვრთნელი ხდება. ამ დანიშვნის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევის დინამო

ინიშნება თუ არა ძაკერონი?

იტალიელ მწვრთნელებს უკრაინის დედაქალაქში ელოდებიან...

დღეს კიევში **ალბერტო ძაკერონი** უნდა ჩავიდეს. მასთან ერთად უკრაინის დედაქალაქს ფიზმომზადების მწვრთნელი **ვინჩენცო პინკოლინი** ეწვევა. უკრაინელი მიმომხილველები დარწმუნებულნი არიან, რომ იტალიელი სპეციალისტები კონტრაქტის თაობაზე გამართავენ მოლაპარაკებას. ძაკერონის კიევის "დინამოში" დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ. დინამოელთა პრესსამსახური ამ ინფორმაციას კვლავ არ ადასტურებს. ოფიციალური ვერსიით, ძაკისა და პინკოლინის ვიზიტი სამწვრთნელო სემინარის ნაწილია. სემინარის ორგანიზატორია "დინამოს" გენერალური დირექტორი **რეზო ჭოხონელიძე**. ქართველი ჩინოვნიკი ნლების განმავლობაში "მილანში" მოღვაწეობდა. ის "როსონერის" აღმოსავლეთი ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან აგვარებდა ურთიერთობას. ჭოხონელიძის წყალობით მილანურ გრანდში **ანდრეი შევჩენკო** და **კახა კალაძე** მოხვდნენ. ის "დინამოში" სულ რაღაც სამი კვირის წინ დანიშნეს.

ძაკერონისთან დაკავშირებული ინფორმაცია პირველად გასული კვირის მიწურულს გავრცელდა. უკრაინულმა გრანდმა ეს ცნობა არ დაადასტურა. პრესსამსახურში ირწმუნებიან, რომ "დინამოში" კვლავაც **იოჟეფ საბო** იმუშავებს. ხოლო ძაკერონი ახალ სამსახურს შუა სეზონში უბრალოდ არ დათანხმდება. საბომ გუნდის გაძღოლა ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში, რომში წაგების შემდეგ ითავა. მან **ანატოლი დემიანენკო** შეცვალა. საბოს შეგირდებმა ევროპულ სარბიელზე მეორე თამაშიც დათმეს. სამაგიეროდ, უკრაინის ჩემპიონატში გაიუმჯობესეს



ალბერტო ძაკერონი, შეიძლება, კიევის დინამოში დაინიშნოს

მდგომარეობა და მესამე ადგილამდე აღზევდნენ. ახალი მწვრთნელი წარმატების მიზეზად იმას ასახელებს, რომ ფეხბურთელებს მაქსიმალურად შეუზღუდა ცოლებთან და მეგობარ გოგონებთან ურთიერთობა, რითაც აიძულა, მხოლოდ საქმეზე ეფიქრათ.

ლეგენდა

მარადონა ერთი საათით დააკავეს

დიეგო მარადონა ბუენოს აირესის აეროპორტში დააკავეს. ლეგენდა რომი-ბაირესის რეისიდან ჩამოსვლისთანავე აიყვანეს. მიზეზი სასამართლოში გამოუცხადებლობაა. მარადონა გაძლიერებული დაცვის თანხლებით იმ მოსამართლესთან მიაბრძანეს, რომელიც გასულ წელს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის დეტალებს სწავლობს. 2006 წლის თებერვალში ჯიპი, რომელიც დიეგოს ეკუთვნოდა, სატელეფონო ჯიხურს შეასკდა. დაშავდა ორი ახალგაზრდა. ჯიპის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს მარადონას დაკითხვა ზე მიყვანა. დიეგო თავს იმით იმართლებს, რომ დიდი ხნის განმავლობაში არგენტინაში არ იმყოფებოდა. თავდაპირველად ის კოლუმბიაში მკურნალობდა, შემდეგ კი იტალიაში. დაზარალებულთა განცხადებით, ავარიისას საჭესთან მარადონა იჯდა. ლეგენდა ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ მანქანას მისი ნაცნობი მართავდა. დიეგო ერთსაათიანი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. ორი წლის წინ სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო მარადონა 635 დოლარით დააჯარიმეს. შესაძლოა, ამჯერადაც ანალოგიური სანქცია გამოუწერონ.



პიტერ კრაუჩი ახალ სამსახურს ეძებს?

ლივერპული

კრაუჩი იყიდება

20 მილიონი იანვრის ტრანსფერებისათვის

იანვრის ტრანსფერებისას **პიტერ კრაუჩს** ახალი სამსახურის შოვნა მოუწევს. "მეილ ონ სანდეი" გვაუწყებს, რომ **რაფა ბენიტესმა** მისი გაყიდვა გადაწყვიტა. კრაუჩმა "მარსელთან" ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის მატჩში ითამაშა. ის საკმაოდ უსახური იყო. ლივერპულელებმა თამაში მინიმალური ანგარიშით დათმეს. გასულ უქმეებზე "ეშმაკებმა" "ტოტენჰემს" უმასპინძლეს (2:2). ბენიტესმა პიტერის გამოყვანა ზედმეტად ჩათვალა. ესპანელი სპეციალისტი როტაციული საკადრო პოლიტიკითაა ცნობილი. კრაუჩს კი ეს ძალიან არ მოსწონს. მწვრთნელმა მას აღუთქვა, რომ სეზონის განმავლობაში 35-40 მატჩში ათამაშებდა. თავდამსხმელი ამ წინადადებამაც არ დააკმაყოფილა. რა გაეწყობა? "ლივერპული" მას გაყიდის. უცნობია, ვის შეძენას აპირებენ მის სანაცვლოდ. უცნობია ისიც, თუ სად გააგრძელებს კარიერას აყლაყუდა ფორვარდი. სპეკულაციების თანახმად მას "იუვენტუსი", "მანჩესტერ სიტი" და "პორტსმუთი" ეპატიჟებიან. თუ კრაუჩი ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კლუბს მიაშურებს, ამ ტურნირში ვერ დაეხმარება. პიტერმა ლიგაში "ლივერპულის" მაისურით უკვე ითამაშა. ზემოთ ჩამოთვლილი სამი კლუბიდან ჩემპიონთა ლიგაში არცერთი არ ასპარეზობს. აქვე გეტყვით, რომ იანვრის ტრანსფერებისას ბენიტესი 20 მილიონ გირვანქას დახარჯავს. მას ხელმძღვანელობისაგან ფინანსური გარანტიები მიღებული აქვს.

დორტმუნდი

გაუშვით ვიორნსი პენსიაზე

ბორუსიის ფანებს კაპიტნის სიზანტე ყელში ამოუვიდათ...

გასულ პარასკევს, "ბოხუმთან" მოპოვებული გამარჯვება დორტმუნდის "ბორუსიისთვის" დიდი შვება იყო. ეს მოგება ყველაზე მეტად მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** წაადგა, რომელსაც მორიგი მარცხის შემთხვევაში, პოსტიდან გათავისუფლებას უწინასწარმეტყველებდნენ. ამრიგად, დორტმუნდში სამწვრთნელო დისკუსია (მინიმუმ დროებით) დასრულდა, სამაგიეროდ, ახალ დისკუსიას დაედო საფუძველი. კერძოდ, გუნდის გულშემატკივრებისთვის უკვე აუტანელია ის ფაქტი, რომ BVB-ს დაცვის ხაზი საშინლად გამოიყურება. 35 წლის **კრისტიან ვიორნსმა ტინგას** თავით საგოლე პასი კი გაუკეთა, მაგრამ დანარჩენ ეპიზოდებში აშკარად გამოჩნდა, რომ ეს ფეხბურთელი ბუნდესლიგის ზენოლას ველარ უძლებს. ასაკოვანი მცველი სისწრაფეშიც ძალიან მოიკოჭლებს და ხშირად პოზიციურადაც ცდება. მატჩის 59-ე წუთზე კი, კაპიტანი ტრაგიკულ ფიგურად იქცა: **მიჩიელის** მოცელვისთვის წითელი ბარათი დაიმსახურა. *"დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეცდომის გამოსწორებისთვის, კრისტიანს მთელი გუნდის ვაბშამზე დაპატიჟება მოუწევს,"* - ხუმრობის ხასიათზე იყო ნამატჩევს დოლი.

დიახ, ვიორნსი! ისევ და ისევ ვიორნსი! ვეტერანი უკანახაზელი განსაკუთრებით სისწრაფეში მოიკოჭლებს. გაძევებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ერთერთმა ეპიზოდმა მისთვის ცხადი გახადა, რომ დროა, კარიერა დაასრულოს და პენსიაზე გავიდეს. ხსენებულ მომენტში, კრისტიანი და ბოხუმელი **სესტაკი** ბურთს მისდევდნენ და ვიორნსს დაახლოებით 5 მეტრიანი (!) უპირატესობა ჰქონდა. მაგრამ სპრინტის შემდეგ სესტაკი კრისტიანს ძალიან იოლად ნამოეწია და "ბორუსიის" მცველს მხოლოდ გამოცდილებამ უშველა - ბურთი სასწრაფოდ მოიგერია.

მაგრამ უმაღლეს დონეზე სათამაშოდ მხოლოდ გამოცდილება რომ არ კმარა, ეს თვითონ ვიორნსმაც ძალიან კარგად იცის. შესაბამისად, ისმის კითხვა: როდის გაუშვებს დოლი მას პენსიაზე? გუნდის ფანები კრისტიანს ეტრფიან და მისი მადლობლები არიან იმის გამო, რომ წლების განმავლობაში გუნდის ერთგული იყო და არსად წასულა. ვიორნსი "ბორუსიაში" დიდი ფიგურაა, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ის გუნდის კაპიტანია. მაგრამ რაკი ფეხები აღარ ემორჩილება, ფანებიც ერთხმად ითხოვენ, რომ კრისტიანმა კარიერა დაასრულოს. ის, რომ ამის დრო მოვიდა, იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ BVB-ს მიმდინარე სეზონში უკვე 17 გოლი აქვს გაშვებული.

მაგრამ დოლის პრობლემა ის არის, რომ მას ნორმალური ალტერნატივა არ ჰყავს. სეზონის წინ, **კრისტოფ მეტცელდერის** შემცვლელის სტატუსით გადაბირებულ **რობერტ კოვაჩს**, რომელიც 33 წლისაა, ფანები ყველა თამაშში უსტვენენ. კოვაჩი "ბოხუმთან" მოედანზე კრისტიანის გაძევების შემდეგ შევიდა და ამჯერად ცუდად არ უთამაშია, მაგრამ ვიორნსზე ბევრად სწრაფი და სანდო არც ეს უკანასკნელია. რჩებიან მხოლოდ **მარკუს ბრჟენსკა** და **მარტინ ამედიკი**, რომელთანაგაც "ბორუსიის" თავკაცი 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ბრჟენსკას ენდობა ხოლმე...

კრისტიან ვიორნსს ასაკის გამო აკრიტიკებენ

როსტოკელებმა ისევ აურიეს

როსტოკის "ჰანზას" ბუნდესლიგაში ყველაზე აგრესიული ფანები რომ ჰყავს, ეს ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის. გასულ შაბათს მეკლენბურგელმა ფანებმა კიდევ ერთი "გმირობა" ჩაიდინეს. ვოლფსბურგში განცდილი მარცხის შემდეგ, დაახლოებით 25-მდე როსტოკელი ქომაგი ერთ-ერთი ბარის წინ შეიკრიბა. ბარში "მგლების" ფანები ისხდნენ. როსტოკელები მათ თავს დაესხნენ. "ჰანზას" ფანებმა ბარში ჯერ ორი პეტარდი ისროლეს, რის შემდეგაც ჩხუბი ატყდა. პოლიცია საქმეში მალე ჩაერია, მაგრამ "ვოლფსბურგის" ორი გულშემატკივარი მძიმედაა დაშავებული. "ჰანზას" სანქციები ემუქრება.

სტოიჩკოვის ნაცვლად ლოპეს ქარო

ვიგოს "სელტის" ხელმძღვანელებმა **ხრისტო სტოიჩკოვი** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეს მოგებული თამაშის შემდეგ მოხდა: ბულგარელის გაგდებამდე ერთი დღით ადრე, "სელტამ" სეგუნდა დივიზიონში "ხერესს" 3:1 მოუგო. უკვე ცნობილია იმ მწვრთნელის ვინაობა, ვინც "სელტას" მინიმუმ სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს. ეს სპეციალისტი "რეალის" ყოფილი დამრიგებელი **ხუან რამონ ლოპეს ქარო** იქნება. შეგახსენებთ, რომ სტოიჩკოვი ამ კლუბის თავკაცად 10 აპრილს დაინიშნა, მაგრამ ვიგოური კლუბი პრიმერა დივიზიონიდან გავარდნისგან ვერ იხსნა. 7 ტურის შემდეგ, "სელტა" სეგუნდაში მე-11 ადგილზეა.

შვიდი გოლი ერთ მატჩში

ჰოლანდიის ჩემპიონატის მეშვიდე ტურში "ჰერენვეენმა" "ჰერაკლესი" მიწასთან გაასწორა, 9:0. უფრო საოცარი კი ის არის, რომ ცხრიდან შვიდი გოლი ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელმა **აფონსო ალვეშმა** შეაგდო. ჰოლანდიის პირველობას ასეთი რამ 1956 წლის შემდეგ არ ახსოვს. სხვადასხვა დროს ერთ თამაშში ექვსი გოლი ოთხ ფეხბურთელს გაუტანია, მათ შორის ორი ლეგენდარული თავდამსხმელია - **იოჰან კრუიფი** და **მარკო ვან ბასტენი**. ზაფხულის ტრანსფერებისას აფონსო ალვეშს "ჰერენვეენიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ. მისი შეძენა მოსკოვურ ცსკა-საც სურდა.

ვიეირა მანჩესტერ სიტიში?

ინგლისური სააგენტოები მოულოდნელ ინფორმაციას ავრცელებენ. მათი მტკიცებით, "მანჩესტერ სიტი" **პატრიკ ვიეირათი** დაინტერესდა. **სვენ გორან ერიქსონს** ნახევარდაცვის გაძლიერება სურს. მან "სიტის" ხელმძღვანელობას "ინტერთან" მოლაპარაკებების დაწყება სთხოვა. "ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, მანჩესტერელები 6.5 მილიონ გირვანქას ამზადებენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ვიეირას "ინტერის" ბოსებთან უთანხმოება აქვს. ამიტომ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, მილანურმა გრანდმა, შეიძლება, ფეხბურთელის გაყიდვაზე იფიქროს. პატრიკმა "არსენალში" თამაშისას გაითქვა სახელი, მერე "იუვენტუსში" გადავიდა, "იუვედან" კი "ნერაძურიში" ამოყო თავი.

ვან ბასტენი ნაკრებში რჩება

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია კატეგორიულად გამორიცხავს **მარკო ვან ბასტენის** "აიაქსში" დანიშვნას. ამსტერდამელთა თავკაცს **ჰენკ თენ კეიტს** "ჩელსის" მეორე მწვრთნელად მოიაზრებენ. მის ადგილზე კი ჰოლანდიელთა თავკაცს მოელიან. ფედერაციის პრეზიდენტი **ჰენკ კესლერი** საზოგადოებას შეახსენებს, რომ ვან ბასტენის კონტრაქტი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იწურება. ორი სამსახურის შეთავსება კი გამორიცხულია. ეს არ მოხდება, 100 მილიონი ევროც რომ შემოგვთავაზონო, ამბობს კესლერი.

ინგლისი: მინუს ორი ფორვარდი

ინგლისის ნაკრებს ორი თავდამსხმელი გამოაკლდა. **ენდი ჯონსონი** და **დინ ეშტონი** ესტონეთსა და რუსეთთან მატჩებს გამოტოვებენ. 26 წლის ჯონსონმა "ნიუკასლი"-"ევერტონის" საკვირაო შეხვედრაში (2:3) გოლი გაიტანა. იმავე შეხვედრაში ენდის კოჭის ტრავმამ შეახსენა თავი და ოთხი კვირით ჩამოაშორა მინდორს. "ვესტ ჰემის" 23 წლის ფორვარდი ეშტონი "ასტონ ვილასთან" შაბათის შეხვედრაში დაშავდა. **სტივ მაკლარენმა** ის თითქმის ერთნლიანი პაუზის შემდეგ გამოიძახა. დინის ხელახალი სანაკრებო დებიუტი გაურკვეველი ვადით გადაიდო. იმასაც შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო ნაკრებს კიდევ ერთი ფეხბურთელი **მაიკლ ქერიკი** გამოაკლდა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა იდაყვი იტკინა და ექვსი კვირა დაისვენებს.

ოჯო გამოცდილი რაზმით

ოჯო რეჰაგელმა ბოსნიასა და თურქეთთან მატჩებისათვის გამოცდილ შემადგენლობას უხმო. გამოჯანმრთელდნენ **ანგელოს ხარისტეასი** და **სტელიოს იანაკოპულოსი**. საბერძნეთი შესარჩევი ჯგუფის ლიდერია და უახლოეს მდევრებს, ნორვეგიასა და თურქეთს ორი ქულით უსწრებს.

მეკარეები - ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (არისი);

მცველები - იურკას სეიტარიდისი (ატლეტიკო), მიხალის კაპსისი (პაოელი), სოტირიოს კირიაკოსი (პანტრახტი), ლუკას ვინტრა (პანათინაიკოსი), ტრაიანოს დელასი (აეკ), ნიკოს სპიროპულოსი (პანიონიოსი), იანის გუმასი (პანათინაიკოსი), პარასკევას ანცასი (ოლიმპიაკოსი), ხრისტოს პაცაცოლლუ (ოლიმპიაკოსი), ვასილი ტოროსიდისი (ოლიმპიაკოსი);

ნახევარმცველები - კოსტას კაცურანისი (ბენფიკა), ანგელოს ბასინასი (მალიორკა), გიორგიოს კარაგუნისი (პანათინაიკოსი), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი), ალექსანდროს ციოლისი (პანათინაიკოსი);

თავდამსხმელები - ტეოფანის გეკასი (ლევერკუზენი), გიორგიოს სამარასი (მანჩესტერ სიტი), იანის ამანატიდისი (პანტრახტი), ანგელოს ხარისტეასი (ნიურნბერგი), დიმიტრის სალპიგიდისი (პანათინაიკოსი), ნიკოს ლიბეროპულოსი (აეკ);

კრისტიან აბიატი

ატლეტიკო

აბიატი ბოლიშს იხდის

პრესამ ბარსასთან განცდილი მარცხი იტალიელ მეკარეს დააბრალა

"ატლეტიკომ" "ბარსელონასთან" მატჩი დიდი ანგარიშით, 0:3 დათმო. მიმომხილველთა ერთი ნაწილის აზრით, საამისო მიზეზი **კრისტიან აბიატის** მიერ დაშვებული მიუტევებელი შეცდომა გახდა. საქმე ის არის, რომ იტალიელ გოლკიპერს სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბურთი ხელიდან გაუვარდა და **დეკუს** ცარიელი კარის დალაშქვრის საშუალება მისცა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ "როხიბლანკო" ამის შემდეგ გატყდა და საკუთარი თამაში დაკარგა. აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას თავად აბიატიც იზიარებს: *"აღარც კი მახსოვს, ასეთი უბედური ბოლოს როდის ვიყავი. ჩემი შეცდომის გამო, გუნდმა სამი ქულა დაკარგა. მართალია, შემდეგ კიდევ ორი გოლი გავუშვით, მაგრამ ღრმად მწამს, ის შეცდომა რომ არა, სულ სხვა თამაშს ვიხილავდით. იმ დროისთვის, როცა ბურთი ხელიდან გამივარდა მატჩის მსვლელობას "ატლეტიკო" აკონტროლებდა. სამწუხაროდ, სავალალო მოულოდნელობამ გუნდი გატეხა და მოხდა ის, რაც მოხდა. გულშემატკივრებსა და თანაგუნდელებს ბოდიშს ვუხდი. ვთხოვ, მაპატიონ, თუ შეუძლიათ."*

საბრალო და თვითმგვემი აბიატის დამშვიდება "როხიბლანკოს" მთავარმა მწვრთნელმა, **ხავიერ აგირემ** ითავა: *"კრისტიანი უდანაშაულოა. ფეხბურთს უფრო დიდი შეცდომებიც ახსოვს. იმ ეპიზოდით არაფერი მტკიცდება. აბიატი მაღალი დონის მეკარეა და სრული სერიოზულობით ვაცხადებ, რომ თამაში მის გამო არ წაგვიგია. სამი ქულა მთელმა გუნდმა დაკარგა და არა მისმა ერთმა წევრმა. ვალდებულები ვართ, ჩვენი მეკარე გავამხნევოთ. ვიმეორებ, ის მაღალი დონის მოთამაშეა."*

"ბარსელონასთან" მატჩი მადრიდელებისთვის ყოველმხრივ ავბედითი აღმოჩნდა. სამი ქულის გარდა მათ **ზე კაშტროც** დაკარგეს. "ატლეტიკოს" ფეხბურთელი ტერფის ტრავმის გამო, სულ მცირე სამი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ექიმებს გამოცდილება კარნახობს, რომ იძულებითმა შვებულებამ შეიძლება, თვენახევარსაც გასტანოს. აღნიშნულ შეხვედრაში ტრავმა **სიმაომაც** მიიღო. პორტუგალიელ ნახევარმცველს კუნთი დაეჭიმა. გამორიცხული არ არის, საბოლოს ერთკვირიანი ინტენსიური მკურნალობა დასჭირდეს. კიდევ კარგი, რომ სანაკრებო შეხვედრების გამო პრიმერა დივიზიონში პაუზა გამოცხადდა.

დავიდ ვილია

ესპანეთის ნაკრები

ჭამუდო ვილიას ნაცვლად

არაგონესმა ხალხის ღალადი ამჯერადაც არ შეისმინა და რაულს ნაკრების კარი კვლავ არ გაუღო

"დეპორტივოსთან" მატჩში **დავიდ ვილიამ** ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. "ვალენსიის" ფორვარდს რამდენიმეკვირიანი მკურნალობა სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვილია ესპანეთის ნაკრებს დანიასთან მოახლოვებულ საკვალიფიკაციო შეხვედრაში ვერ დაეხმარება. გულშემატკივრები და სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ **ლუის არაგონესი** ამჯერად მაინც წავიდოდა დათმობაზე და ვილიას ნაცვლად "სელექსიონში" **რაულს** მიიწვევდა. მართალია, "რეალის" კაპიტანი და დავიდი ოდნავ განსხვავებული ამპლუის მოთამაშეები არიან, მაგრამ გონსალეს ბლანკოს ცენტრფორვარდის მოვალეობების შესრულება არანაკლებ გასჭირვებია. დიდი მოლოდინის მიუხედავად, არაგონესმა სამეფო კლუბის ვარსკვლავს ნაკრების კარი მაინც არ გაუღო. ვილიას ნაცვლად ქვეყნის ღირსებას "ესპანიოლის" თავდამსხმელი **რაულ ტამუდო** დაიცავს.

ბარსელონა

რიიკაარდი კმაყოფილია, მაგრამ ხარვეზებსაც არ ივიწყებს

ლაპორტა ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს სთხოვს, ძალები დაზოგონ და ტრავმები არ მიიღონ

კვირას "ბარსელონამ" მორიგი შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა. უკვე იცით, რომ კატალონიურმა გრანდმა მადრიდის "ატლეტიკოს" 3:0 სძლია. ფრანკ რიიკაარდი ამ წარმატებით ძალიან კმაყოფილი დარჩა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჰოლანდიელმა სპეციალისტმა რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება. თავდაპირველად მან შეგირდებს თავდადებისთვის მადლობა გადაუხადა...

"მიხარია, რომ მორიგი გამარჯვება მოვიპოვეთ. მით უმეტეს, იმ გუნდთან, რომელიც ისტორიულად უხერხული მეტოქეა. ბიჭებმა თავდადებით იასპარეზეს. ეს ფაქტი კმაყოფილების საფუძველს მაძლევს. შეგირდების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. გუნდური პრინციპებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა ვიტვირთოთ. მთლიანობაში დამაჯერებლად გამოვიყურებოდით. ვფიქრობ, სამი ქულა სრულიად დამსახურებულად მოვიპოვეთ. გოლები მნიშვნელოვან მომენტში გავიტანეთ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ შეხვედრა ძალიან ნერვიულად დავიწყეთ. დებიუტში რამდენიმე სერიოზული შეცდომა დავუშვით. საწყისი 15 წუთის განმავლობაში "ატლეტიკო" შესანიშნავად გამოიყურებოდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ მათ დიდი ანგარიშით დავამარცხებდით. ანგარიში მადრიდელთა მეკარის შეცდომის წყალობით კი გავხსენით, მაგრამ ამით ჩვენი ფეხბურთელების ღვაწლი არ უნდა დაკნინდეს. შეგახსენებთ, იმ შეტევისას რონალდინიომ და მესიმ დიდი როლი შეასრულეს. აბიატის ბურთი ხელიდან გაუვარდა. საბედნიეროდ, დეკუ იქვე აღმოჩნდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. მეორე გოლი კი ულამაზესი გამოდგა. როგორც ნახეთ, ის ფანტასტიკური კომბინაციის შედეგი იყო. დამეთანხმებით, დღეს დიდი ერთსულოვნება ვიხილეთ. გუნდი მართლაც ერთ მუშტად იყო შეკრული."

ერთი შეხედვით, **რიიკაარდს** "ატლეტიკოსთან" მატჩში პრობლემატური არაფერი შეუნიშნავს, თუმცა გვერწმუნეთ, ასე არ არის. კატალონიური გრანდის დამრიგებელს ხარვეზები თვალთახედვიდან არ გამოპარვია: *"ჩვენი თამაშით საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მეც კმაყოფილი გახლავართ, მაგრამ, ამავდროულად, სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ "ბარსელონას" ჯერაც ბევრი სამუშაო აქვს შესასრულებელი. "ატლეტიკოსთან" შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ზრდის პროცესი არ დასრულებულა. ჩვენ გაცილებით მეტი შეგვიძლია. აუცილებელია, რომ 90 წუთის განმავლობაში მეტნაკლებად თანაბარი რიტმით ვითამაშოთ. დამეთანხმებით, "ატლეტიკოსთან" მატჩის მეორე ტაიმში რამდენიმე ეპიზოდი ჩავაგდეთ. მართალია, ბევრი დრო არ გვაქვს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულები ვართ, მუშაობა გავაგრძელოთ. მჯერა, მალე კიდევ უფრო წინ წავიწევთ და ხარვეზებს მაქსიმალურად გამოვასწორებთ."*

პრესკონფერენციის მიწურულს "ბარსელონის" მთავარ მწვრთნელს **ლეო მესის** თამაშის შეფასებაც სთხოვეს: *"მესი გრაციოზული ფეხბურთელია. ის ყოველდღიურად გვაოცებს. არ მინდა, მხოლოდ ერთი მოთამაშის დამსახურებაზე ვისაუბრო. თავად ლეოც ამის წინააღმდეგია, მაგრამ რადგან მკითხეთ, მოგახსენებთ, რომ მესიმ ამ გამარჯვებაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა. აქვე რონალდინიოზეც მოგახსენებთ. მიხარია, რომ გაუჭრიმ ძალიან სასარგებლო როლი შეასრულა. ის მეტისმეტად აქტიური იყო და მზად გახლდათ, გუნდისთვის ყველაფერი გაეკეთებინდა. არც სახიფათო ორთაბრძოლებს ერიდებოდა და სირბილიც არ ეზარებოდა. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში რონალდინიო კიდევ უფრო მოუმატებს."*

ამასობაში, "ბარსას" პრეზიდენტმა ფიფასა და უეფასთან არსებული ისედაც ძალიან სერიოზული დაპირისპირება კიდევ უფრო გაამწვავა. **ჟოან ლაპორტა** შეშფოთებულია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებში მისი გუნდიდან ერთბაშად 14 ფეხბურთელი გამოიძახეს. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამდენი მოთამაშის წასვლა კლუბს ძალიან ცუდ სამსახურს გაუწევს. მას ტრავმებისა და გადაღლის საფრთხე აშინებს. ცნობილია, რომ სენიორ ლაპორტამ გასული კვირების განმავლობაში ფიფასა და უეფას წინააღმდეგ დაუფარავად გაილაშქრა და აღნიშნულ საფეხბურთო ორგანოებს აჯანყებით დაემუქრა. ბატონი ჟოანი ამბობდა, თუ კლუბების ინტერესებს არ დაიცავთ, G-14 რადიკალურ გადაწყვეტილებას მიიღებს და თქვენი რიგებიდან გავალთო. მოგეხსენებათ, ყბადაღებული G-14 ევროპის საუკეთესო გუნდებს მოიცავს. ცხადია, მათი უეფას სივრციდან გასვლა კონტინენტის საკლუბო ფეხბურთს უმძიმეს დარტყმას მიაყენებს. აქედან გამომდინარე, თეორიულად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მიშელ პლატინი გარკვეულ კომპრომისზე უნდა დაფიქრდეს, თუმცა მეორე მხრივ ისმის კითხვა, რა შეუძლია უეფას პრეზიდენტს? წარმოუდგენელია, მან საფეხბურთო ფედერაციებისა თუ ასოციაციების მესვეურებს საუკეთესო ფეხბურთელების გამოძახება აუკრძალოს. ამას, რა თქმა უნდა, ფიფას ბოსი, **ზეპ ბლატერიც** ვერ გააკეთებს. გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიო საფეხბურთო მამებს ლაპორტას სკანდალურ განცხადებებზე რეაგირება არ მოუხდენიათ. მათ ყველაფერი ძველებურად დატოვეს. ლაპორტა კი გაჩერებას არ აპირებს. პრეზიდენტი იმუქრება, რომ G-14-ის მესვეურთა კოორდინირებას ითავებს და უფლებების დასაცავად მასშტაბურ ბრძოლას გააჩაღებს. დაგვთანხმებით, ამ საქმეს უდიდესი ძალისხმევა და ორგანიზება სჭირდება. ეს ყველაფერი დროს მოითხოვს. მანამდე კი "ბარსას" უმაღლესი ხელისუფალი ნაკრებებში გამოძახებულ ფეხბურთელებს თხოვნით მიმართავს: *"ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმაში შევდივართ. გუნდი საკუთარ თამაშს პოულობს. სანაკრებო პაუზამ უკვე დიდი ზიანი მოგვაყენა. გასულ თვეში ეროვნულ გუნდებში წასული ბიჭები ტრავმებით დაგვიბრუნდნენ. ხელფასებს კი მათ ჩვენ ვუხდით. რატომ უნდა ვარჩინოთ და ვასაზრდოოთ ის ნაკრებები, რომლებიც ჩვენს ინტერესებს მინიმალურადაც არ ითვალისწინებენ?! მეშინია, ისტორია ამჯერადაც არ განმეორდეს. ისედაც ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავს. მათ რიგებს სხვებიც თუ შეემატებიან, ძალიან სავალალო იქნება. თავს უფლებას ვაძლევ, ბიჭებს თხოვნით მივმართო - ნაკრებებში თავს ნუ მოიკლავთ. ძალები დაზოგეთ და ტრავმებს თავი აარიდეთ."*

ჟოან ლაპორტას მოწოდებას ესპანეთის ეროვნულ გუნდში გამოძახებული, **კარლეს პუიოლი** და **ანდრეს ინიესტა** გამოეხმაურნენ. მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ პრეზიდენტის თხოვნას ვერ გაითვალისწინებენ და "სელექსიონში" ბოლომდე დაიხარჯებიან. ბარსელონელების სიტყვებმა საზოგადოებაში არაერთმნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვეს. ნაწილი მათ პროფესიონალებად და კეთილსინდისიერ ფეხბურთელებად მიიჩნევს, თუმცა სეპარატისტულად განწყობილი კატალონიელები პუიოლსა და ინიესტას ღიად საყვედურობენ. მათი აზრით, "ბარსელონის" ფეხბურთელი, პირველ რიგში, სწორედ "ბარსელონაზე" უნდა ფიქრობდეს. იდეალურ შემთხვევაში კი ესპანეთის ნაკრებში საერთოდ არ უნდა თამაშობდეს. ამ გულშემატკივრებს მაგალითად **ოლეგერ პრესასი** მოჰყავთ. ცნობილია, რომ ოლეგერმა "სელექსიონში" ასპარეზობაზე უარი კატალონიის სიყვარულით განაცხადა. მისი აზრით, კატალონიელები სხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდში არ უნდა თამაშობდნენ.

ილია ნიკოლაიშვილი

ფრანკ რიიკაარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ არსენ ვენგერთან

სანაკრებო ფეხბურთის ქომაგი არ გახლავართ



რეალური საფრთხე ისაა, რომ უცხოელი ინვესტორები კლუბებს დიდძალი კრედიტებით ყიდულობენ, მერე კი ეს ვალები თავად კლუბებს აწვებათ კისერზე...

- "არსენალის" ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან თქვენი მეგობრის, დევიდ დეინის გადადგომის შემდეგ არ გქონიათ სურვილი, რომ მისთვის მიგებაძათ? ან საკუთარ მომავალზე ეჭვები არ გაგჩენიათ?

- დიახ, რაღაც მომენტში მართლა გამიჩნდა ეჭვი. ეს მაშინ ხდება, როცა რაღაც საქმესთან დაკავშირებული კონტრაქტი გეწურება და გარშემოც არ არის სიტუაცია ისეთი, როგორსაც ისურვებდი... მაგრამ სად უნდა წავსულიყავი? მინდა გითხრათ, რომ სხვა კლუბებთან არასოდეს არ მქონია მოლაპარაკება, როგორც ამას პერიოდულად წერენ ხოლმე გაზეთებში. თავიდან, დევიდის წასვლასთან შეგუება ძალიან მიჭირდა. მაგრამ ამავე დროს, ვგრძნობდი და ვგრძნობ პასუხისმგებლობას იმ ახალგაზრდა მოთამაშეების მიმართ, ვინც გუნდში მოვიყვანე. ეს არის ადგილი პასუხისმგებლობა გულშემატკივრებისა და იმ კლუბის მიმართ, რომელსაც ჩემი ყოველთვის სჯეროდა, ყოველთვის მენდობოდა... სხვათა შორის, "არსენალში" დარჩენა თავად დეინმაც მირჩია. ამას ახლა პირველად ვამბობ.

- ტიერი ანრი "ბარსელონაში" წავიდა. ბევრი ფიქრობდა, რომ თქვენც ნახვიდოდით...

- არა, ახლავე აგიხსნით. სხვათა შორის, ისიც არ იყო დარწმუნებული, რომ მე დავრჩებოდი. საქმე ისაა, რომ ტიერი ასაკში შევიდა. მან იცოდა, რომ ჩვენ პროგრესს ახალგაზრდების ხარჯზე ვგეგმავდით. როგორც ფორვარდს, მას ბევრი აღარ დარჩა სათამაშო და ეს აბსოლუტურად მესმის. ერთ დღეს ის მოვიდა ჩემთან და მითხრა: "ჩვენ ნამდვილად პერსპექტიული გუნდი გვყავს. ის აუცილებლად გაიზრდება და გაძლიერდება. მაგრამ არ მაქვს იმდენი დრო, რომ ამას ველოდო. მოხდება კი ეს მომავალ სეზონში? არ ვიცი, თუმცა გადაწყვეტილება ახლა უნდა მივიღო". მე ვუპასუხე: "ტიერი, მესმის შენი პრობლემა. გუნდი ნამდვილად ძლიერი იქნება, მაგრამ ვხედავ შენი ყოყმანის მიზეზს"... მერე პირდაპირ მითხრა, რომ წასვლა უნდოდა... ეს იყო ნამდვილი მიზეზი. თუმცა მის წასვლას დეინის გადადგომამაც შეუწყო ხელი, იყო ტრავმების პრობლემაც...

- ადრე თქვით, რომ გახსოვთ, რომელ გუნდებს ხელმძღვანელობდით "არსენალში" მისვლამდე. იხუმრეთ?

- არა. იცით, რა არის? უკვე 10 წელიწადია "არსენალში" ვარ. თუნდაც ერთი დღის განმავლობაში აქ იმდენი საკითხია გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი, ამხელა დატვირთვის პირობებში ადამიანს, შეიძლება, მართლაც დაავიწყდეს თავისი წარსული. ასე მგონია, მთელი ცხოვრება ლონდონში ვცხოვრობ და "არსენალში" ვმუშაობ.

ამასწინათ, "ფრანს ფუტბოლი" არსენ ვენგერს დაუკავშირდა და ინტერვიუ სთხოვა. საფრანგეთიდან წასვლის შემდეგ მოსიე არსენი იქაური პრესის ფურცლებზე იშვიათად ჩნდება. თუმცა ამ პერსონისადმი ყურადღება ოდნავადაც არ განელებულა. სამშობლოში მისი ნიჭის დამფასებელი ძალიან ბევრია. ეს ნიჭი კი უკვე მეათე წელინადია ინგლისურ ფეხბურთსა და "არსენალს" ემსახურება. ვენგერს აქვს ფანტასტიკური უნარი და მოთმინება, სამ-ოთხწლიანი შუალედებით თითქმის ნულიდან დაიწყოს ახალი გუნდის შენება და მერე ის მწვერვალამდე აიყვანოს. ბევრს ეგონა, რომ ტიერი ანრის წასვლის შემდეგ "არსენალი" დაინგრეოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. არსენმა იცოდა, რომ ეს დღეც დადგებოდა და ახალ გუნდს გაცილებით ადრე ჩაუყარა საფუძველი. მაგრამ პირველ რიგში, მან იცის, როგორ იმუშაოს ახალგაზრდა და პერსპექტიულ ფეხბურთელებთან. და დღეს, ამ ფეხბურთელებით დაკომპლექტებული "არსენალი" პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერია (ქულათა მაქსიმუმი აქვს ჩემპიონთა ლიგაშიც) და ახალი დიდებისკენ მიდის. ვნახოთ, რას ფიქრობს ამ და სხვა საკითხებზე არსენ ვენგერი...

- თუ ამ კლუბში 2011 წლამდე (ვენგერის ახალი კონტრაქტი სწორედ ამ დროს იწურება - რედ) დარჩებით, ჯორჯ ელისონის რეკორდს გაუმჯობესებთ. ის "მეთოფეებს" 1934-დან 1947 წლამდე წვრთნიდა. გიფიქრიათ იმაზე, რომ "არსენალის" დიდ მოღვაწეებს შორის დაიკავოთ ადგილი?

- ვცდილობ, რაღაც დოზით მომავალი წინასწარ განვჭვრიტო, მაგრამ არა ამ კონტექსტში. აქ ერთადერთი მიზანი მაქვს: მოვიპოვო რაც შეიძლება ბევრი ტიტული და გავაკეთო მაქსიმუმი, რათა გულშემატკივრებში ლამაზი მოგონებები დავტოვო. ეს არის და ეს.

- ევროპული ფეხბურთის მასშტაბით, ერთ კლუბში მუშაობის ამხელა სტაჟი მხოლოდ თქვენ და სერ ალექს ფერგიუსონს გაქვთ. რით ახსნით "არსენალში" ესოდენ ხანგრძლივ მოღვაწეობას?

- არ ვიცი... ვიტყოდი, რომ საოცრად იღბლიანი ვარ. "მონაკოში" 7 წელი გავატარე და კი მე-11 სეზონია, "არსენალში" ვმუშაობ. იღბლიანი ვარ სწორედ იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში მუდამ კარგ ხალხთან მქონდა საქმე. ისინი ყოველთვის მენდობოდნენ და მეც ამითვე ვპასუხობდი.

- გწამთ ბედისწერის?

- დიახ. ჩემთვის, ცხოვრებისეული წარმატება - ეს არის მოვლენათა ისეთი განვითარება, როცა მწვერვალებს საქმისადმი პატიოსანი და პროფესიული დამოკიდებულებით აღწევ.

- "არსენალის" ფინანსური საქმეები კარგად მიდის. ახალ სტადიონზე გათვლამ გაამართლა?

- ეჭვგარეშეა. სწორედ ფინანსური მაჩვენებლები მოწმობენ ამას. ჩვენ ახალ დონეზე გავედით და როცა ყველა ვალს გავისტუმრებთ, კეთილდღეობა მერე ნახეთ...

- დაახლოებით, როდის მოხდება ეს?

- ალბათ, 20-23 წელიწადში... დარწმუნებული ვარ, პროგრესი გამოიკვეთება 2008/09 წლების სეზონიდან. ჩვენს ხელთ დიდი რესურსები იქნება. ჩემთვის, პრიორიტეტი იქნება იმ ფეხბურთელების შენარჩუნება, ვინც ახლა გუნდში არიან. მჯერა კოლექტიური სულისკვეთების, რომელიც შეიძლება შეიქმნას და შენარჩუნდეს მხოლოდ თამაშობათა მემკვიდრეობის უზრუნველყოფით. დღევანდელმა მოთამაშეებმა ეს კულტურა მომდევნო თაობებს უნდა გადასცენ. თუ კლუბი იქნება ის ადგილი, სადაც შეიძლება მიხვიდე და მერე ადვილად მიატოვო, ეს კლუბი შორს ვერ წავა. ჩემი მიზანია, რომ ეს პოლიტიკა არ შეიცვალოს. მაგრამ თუ ოდესმე გამოჩნდება ფეხბურთელი, რომელსაც უნარი ექნება, რომ კიდევ უფრო დიდ სიმაღლეზე აგვიყვანოს, რაოდენ ძვირიც არ უნდა ღირდეს, ჩვენ მის ყიდვას მაინც მოვახერხებთ.

- მოკლედ, სტაბილურობა უპირველეს ყოვლისა?

- აუცილებლად! ეს არის სწორედ ჩვენი განვითარების გზა და წინაპირობა.

- როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის, რომ "ნანსი", რომელმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ფინანსურ სტაბილურობას მწირი საკადრო რესურსებით მიაღწია, საფრანგეთის ჩემპიონატის ახალ ლიდერად იქცა...

- ეს ნამდვილი გაკვეთილია. საზოგადოებას იმდენად სწყურია რაღაც სიახლე, რომ ყალიბდება ტენდენცია, როცა ხალხი უარს ამბობს ფუფუნებაზე, და უარს ამბობს სწორედ იმიტომ, რომ ეს სიახლე მიიღოს. არ დაგავიწყდეთ, რომ ამა თუ იმ გუნდის ფორმირება ხდება მოთამაშეთა იმ ჯგუფის გარშემო, რომლებიც წლების განმავლობაში ერთად თამაშობენ. მაგალითად, ჩვენი ახალგაზრდა "არსენალი"... ეს ფეხბურთელები ერთად იბრძოდნენ, ერთად ძლევდნენ ყველა სირთულეს... იცით, ძალზე მნიშვნელოვანია ტკივილის გაზიარება. გაიხსენეთ შარშანდელი სეზონის იმედგაცრუება, როცა სულ რაღაც 10 დღის განმავლობაში სამ ტურნირს დავემშვიდობეთ... ეს იყო ურთულესი ბარიერი, რომელიც ჩვენმა ფეხბურთელებმა გადალახეს... დიახ, გადალახეს და ფაქტიც სახეზეა: ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა პრემიერლიგაში. წარუმატებლობის მიუხედავად, ჩვენ ფარხმალს არ ვყრიდით და ვგრძნობდი, როგორ ყალიბდებოდა გუნდური სული, მენტალური ძალა, რომელსაც მასზე კიდევ უფრო დიდ ძალასთან გამკლავება შეეძლო.

- და დარჩით იმიტომ, გენახათ, რა შედეგს მოიტანდა ეს ძალა?

- დიახ, ამიტომაც დავრჩი.

- 90-იანი წლების ბოლოს, როცა სატრანსფერო ფასებისა და მოთამაშეთა ხელფასების ინფლაცია მოხდა, თქვენ თქვით, რომ ინგლისურ ფეხბურთს კატასტროფა ემუქრებოდა. შეიძლება იმის თქმა, რომ ბოლო რეკორდული გარიგებების შემდეგ ეს საშიშროება დადგა?

- თავისთავად, ფული ბოროტება არ არის. გააჩნია, როგორ იყენებს მას ადამიანი. ბინძურ მეთოდებს ნეგატიური შედეგები მოსდევს. თუ მიზანი ისაა, რომ სისტემის სრულყოფა ემსახურებოდეს ფეხბურთელთა ანაზღაურების გაზრდას, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ თუ ამას მოსდევს ინფლაცია და ახალი ვალები, მაშინ დრო, კატასტროფულ სიტუაციაზე ვისაუბროთ. მოდით, შევთანხმდეთ, რომ არსებობს სამი მთავარი ფაქტორი: კლუბის კეთილდღეობა, მერე არის ფული, რომელიც ტელევიზიებიდან შემოდის, და ბოლოს, კლუბის მეპატრონის ფინანსური მდგომარეობა.

- რამდენად გაღელვებთ დღევანდელი სიტუაცია?

- მაღელვებს ის, რომ კლუბების ერთი ნაწილი... ასე ვიტყოდი, ჰაერზე არსებობს, ზოგიერთები ფინანსურ მაქინაციებზეც საუბრობენ... საერთოევროპული კანონის მიღება კარგი იდეაა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, კლუბების ხელმძღვანელებს საღი ჭკუით ემოქმედათ. ასეთ შემთხვევაში, რაღაც ნორმატიული აქტების აუცილებლობა აღარ დადგებოდა დღის წესრიგში. ალტერნატიული გზა კი ბიუროკრატიული სტრუქტურის შექმნაა, რაც დაგროვილი პრობლემების მოგვარებას ხელს შეუშლის. უბრალოდ, ეს არაფერში გამოგვადგება.

- როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ პრემიერლიგის სულ უფრო მეტი კლუბი უცხოელ ინვესტორთა სამიზნე ხდება?

- რეალური საფრთხე ისაა, რომ ეს ხალხი კლუბებს დიდძალი კრედიტებით ყიდულობენ, მერე კი ეს ვალები თავად კლუბებს ანვებათ კისერზე.

- სწორედ ასე მოიქცნენ გლეიზერები, რომლებმაც "მანჩესტერ იუნაიტედი" იყიდეს...

- ...თუმცა "მანჩესტერ იუნაიტედს" იმხელა მოგება აქვს, რომ შეუძლია, ამ სირთულეებს გაუმკლავდეს. მოკრძალებული კლუბისთვის კი ამგვარი სქემა, შეიძლება, ფატალური აღმოჩნდეს. აი, სად იმალება ინგლისური ფეხბურთისთვის ყველაზე დიდი საფრთხე.

- თვლით, რომ ინგლისური ფეხბურთი თვითმყოფადობას კარგავს?

- გარკვეულწილად ასეა. ჩვენ გადავედით ახალ სისტემაზე, როცა კლუბის მფლობელი ბიზნესმენია, ადრე კი პატრონები ჩვეულებრივი ქომაგები იყვნენ, რომელთაც რაღაც სახსრები გააჩნდათ. თუმცა ყველაზე და ყველაფერზე ხაზის გადასმა არ შეიძლება. ხომ არ არის გამორიცხული ისიც, რომ ამ ბიზნესმენებს ინგლისური საფეხბურთო სულის შენარჩუნება სურდეთ? მაგრამ მესმის მზარდი შეშფოთების მიზეზი. ადრე, ნებისმიერი პატარა ბიჭუნა, ყოველ უიქენდზე, საყვარელ გუნდს ტრიბუნიდან ქომაგობდა, მერე გაიზარდა, გახდა სერიოზული ბიზნესმენი და ფავორიტი კლუბის აქციები იყიდა... ამგვარი ჯაჭვი უფრო გამძლე და საიმედოა, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ასე არ ხდება.

- აქედან გამომდინარე, როგორი იქნებოდა თქვენეული დიაგნოზი?

- მაინც მგონია, რომ ინგლისური ფეხბურთი ჯანმრთელია. იმედი მაქვს, რომ ის შეინარჩუნებს თავის სულსა და ხარისხს. ფაქტია, რომ პრემიერლიგა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ტურნირია, რაც მას გაზრდილ პასუხისმგებლობას ანიჭებს. ეს პასუხისმგებლობა კი ის გახლავთ, რომ გაზარდოს ხარისხი და არ დაკარგოს თვითმყოფადობა.

- თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბევრს აღელვებს კლუბებში ინგლისელ ფეხბურთელთა ყოველწლიური კლების ტენდენცია. დღეს, პრემიერლიგაში, მათი წილი მხოლოდ 37 პროცენტია...

- საკითხის არსი ისაა, თუ რა არის პრემიერლიგის არსებობის ჭეშმარიტი მიზანი: გაზარდოს თავისი სტანდარტები და დარჩეს მსოფლიოს უპირველეს ლიგად, თუ მოუმზადოს კადრები ინგლისის ნაკრებს? ასე რომ, ჯერ ეს უნდა გაარკვიონ...

- თქვენ რომელ მიზანს უჭერთ მხარს?

- იცით, საერთოდ არ ვაპირებ ამ საკითხის გარკვევაში მონაწილეობას. გულახდილად გეტყვით, რომ სანაკრებო ფეხბურთის დიდი ქომაგი არ გახლავართ. უეფა იძულებულია, დაიცვას ამ სფეროს ინტერესები, რაც გაცილებით ფართო ტელეაუდიტორიის ფაქტორითაა გამონვეული. თუმცა ისეთ საფეხბურთო ფანატს, როგორიც მე ვარ, პირველ რიგში, თავად თამაშის სრულყოფა მაინტერესებს.

ინტერვიუ იოახიმ ლიოვთან

ევროპის ჩემპიონები უნდა გავხდეთ!

იოგი ბაიერნის კრიტიკას პასუხობს და გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტს აგრძელებს...

სანაკრებო ბატალიების მოახლოებასთან ერთად, საკლუბო ფეხბურთი ნელ-ნელა ჩრდილში ექცევა. ახლოვდება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები და პირველი გუნდი, რომელიც ავსტრია-შვეიცარიის საგზურს გაიფორმებს, ალბათ, გერმანია იქნება. ბუნდესგუნდს ამისთვის 1 ქულაღა სჭირდება. გთავაზობთ საინტერესო ინტერვიუს გერმანიის უპირველესი გუნდის თავკაც იოახიმ ლიოვთან, რომელიც გამოცემა "ბილდმა" გამოაქვეყნა.

- ჰერ ლიოვ, გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად, მხოლოდ და მხოლოდ, 1 ქულაღა სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ავსტრია-შვეიცარიის ბილეთი, ფაქტობრივად, მოპოვებულია. თანაც, ბუნდესგუნდი შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობს. წესითა და რიგით, ბედნიერი უნდა იყოთ...

- რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია ის, რომ საკვალიფიკაციო ეტაპი ფაქტობრივად, დაძლეულია. მიხარია ისიც, რომ გვყავს არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებსაც წამყვანი მოთამაშეების ჯგუფურად შეცვლა შეუძლიათ. სასიამოვნოა, რომ თამაშებს შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთით ვიგებთ. მაგრამ ეს ასეც უნდა ყოფილიყო და მეც დარწმუნებული გახლდით, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზურს უპრობლემოდ მოვიპოვებდით. ჩვენ დიდი მიზანი გვაქვს - ევროპის ჩემპიონები უნდა გავხდეთ.

- თქვენი სიტყვები ისე ჟღერს, თითქოს გერმანიის ეროვნული გუნდის თავკაცის რანგში, მინიმალურ წნეხსაც კი არ გრძნობთ...

- არაერთხელ მითქვამს, რომ ეს სამსახური ჩემთვის საოცნებოა. ნებისმიერი გერმანელი მწვრთნელი ოცნებობს იმაზე, რომ ერთხელაც ბუნდესმწვრთნელი გახდეს. წნეხის ქვეშ ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს პოსტი უდიდეს პასუხისმგებლობას ნიშნავს.

- რუმინეთთან მოგების შემდეგ (2:1), "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ თქვა, ეს ხომ მეორეხარისხოვანი მეტოქე იყოო. ამ განცხადებამ გული არ გატკინათ?

- ვფიქრობ, რომ ეს უბრალო პატივისცემის ამბავია. ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ სხვა ქვეყნებს, მით უმეტეს ისეთ საფეხბურთო ქვეყანას, როგორიც რუმინეთია, მეორეხარისხოვანი და სუსტი მეტოქე ვუწოდოთ. გადახედეთ ფიფას რეიტინგს და ნახავთ, რომ რუმინეთი ნამდვილად არ არის სუსტი საფეხბურთო ქვეყანა. ჩვენ კი, ამ რეიტინგში, დიდი ხანია მეხუთე და მეექვსე ადგილებისთვის ვიბრძვით და არა პირველი ადგილისთვის.

- მუნდიალის შემდეგ, გერმანიამ სანაკრებო დონეზე აშკარა პროგრესი განიცადა, აი, საკლუბო ფეხბურთი კი ისევ კრიზისშია. იტალია, ესპანეთი და ინგლისი სულ უფრო და უფრო გვისწრებენ. ეს რისი ბრალია?

- მიზეზი ისაა, რომ ჩვენი ბუნდესლიგა კონცეფციონალურად ტოპლიგა არ არის. ჩვენ მუდმივად ვსაუბრობთ იმის თაობაზე, რომ გვჭირდება ინვესტორები, რომლებიც ბუნდესლიგაში ფულს ჩადებენ, მაგრამ ის კი გვავიწყდება, რომ ინვესტორი მხოლოდ იქ მიდის, სადაც ტოპ-კონცეფციაა. რატომ გადაწყვიტეს ინვესტორებმა ლონდონის "არსენალში" დიდი ფულის ჩადება? იმიტომ, რომ ამ გუნდში არსენ ვენგერი, აგერ უკვე 10 წელიწადია, შესანიშნავად მუშაობს. თქვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები სწორედ ამ ასპექტში გვჯობნიან - მუშაობას ვგულისხმობ.

- უფრო დაწვრილებით, თუ შეიძლება...

- მოდით, "ბარსელონას" შევხედოთ. კატალონიელები მოედანზე ყოველთვის ძალიან მარტივ რაღაცეებს აკეთებენ: დაბალი, მოკლე პასები, ბევრი მოძრაობა, ფეხბურთის უბურთოდ თამაშის ცოდნა - ეს ძალიან მარტივი, მაგრამ ელემენტარული ასპექტებია. "ბარსელონაში" ფეხბურთელი ძალიან მალე მიაღწევს სრულყოფილებას. გერმანიაში კი, აბსოლუტურად სხვა ასპექტებს ვანიჭებთ უპირატესობას.

- რამდენად ძლიერია გერმანიის ნაკრები სინამდვილეში?

- ჯერჯერობით, ტოპ-გუნდი არ გვეთქმის, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემი შეგირდები არცერთი შეხვედრის შემდეგ არ არიან თვითკმაყოფილები. მთავარიც ესაა. თანაც, როცა ფეხბურთელი ნაკრებიდან კლუბში თავდაჯერებული ბრუნდება, თავდაჯერებული და არა თვითკმაყოფილი, ეს კლუბსაც ყოველთვის ადგება ხოლმე.

- იქნებ "ბაიერნის" ხელმძღვანელებს შურთ იმის, რომ გერმანიის ნაკრებს მასმედია ბოლო დროს ძალიან აქებს. რეკორდმაისტერს ხომ ყოველთვის უპირველესი გერმანული გუნდის სტატუსის პრეტენზია ჰქონდა...

- თუ "ბაიერნს" უნდა, რომ გერმანიის ნაკრებს კონკურენცია გაუწიოს, ეს საშინელებაა. ბუნდესგუნდს იმიტომაც ჰქვია ბუნდესგუნდი, რომ ქვეყნის უპირველესი გუნდია. "ბაიერნი" კი მიუნხენის კლუბი გახლავთ. გერმანიის ნაკრები პირველია და ამას ყველა უნდა შეეგუოს. ამის თქმა არც უნდა მიხდებოდეს.

- "ბაიერნის" ხელმძღვანელები გერმანიის ნაკრებს კიდევ ერთ რამეში ადანაშაულებენ. ისინი ფიქრობენ, რომ ლუკას პოდოლსკი და ბასტიან შვაინშტაიგერი ბუნდესგუნდში ილუზიებით იკვებებიან, რის გამოც, კლუბში დაბრუნების შემდეგ თვითკმაყოფილება ეტყობათ...

- ერთი რამ ცხადია: ჩვენ არცერთ ფეხბურთელს არ ვკვებავთ ილუზიებით. როცა საჭიროა, ფეხბურთელებს ყოველთვის მაგრად ვაკრიტიკებთ და მათგან მაქსიმუმს ვითხოვთ. და აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელმა იცის, რომ თუ ნაკრებისთვის მაქსიმუმს არ გაიღებს, პრობლემები შეექმნება.

- პოდოლსკის შესახებ რა აზრის ხართ?

- სისულელეა იმის თქმა, რომ ლუკასს უკვე ყველაფერი შეუძლია. პოლდის ძალიან ბევრი პლუსი აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარ თავზე მუშაობა უნდა შეწყვიტოს. ის ჩვენს გუნდში ყოველთვის ძალიან პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის. მას კარგად ვაკვირდები ხოლმე და ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ მას ძალიან უხარია, როცა მის კონკურენტ მიროსლავ კლოზეს გოლი გააქვს. ეს უაღრესად დადებითი მომენტია.

- აი, ული ჰაინესი კი სხვაგვარად ფიქრობს. ის ამბობს, აქტიური სპორტული კარიერის დროს, როცა მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში არ მათამაშებდა, მაშინ, ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი დამრიგებელი, ძალიან მძულდა ხოლმეო. პოდოლსკი კი, სკამზეც მომღიმარი სახით ჯდებაო...

- ჰაინესი და პოდოლსკი განსხვავებული ადამიანები არიან. არ მესმის, რა არის იმაში ცუდი, რომ პოდოლსკი ვარჯიშებზე ბოლომდე დაიხარჯოს, მერე სკამზე იჯდეს და კლოზეს გოლები უხაროდეს. ცუდი ის იქნებოდა, ვარჯიშზე არაფერს რომ არ აკეთებდეს...

- გააკრტიკებდით თუ არა ფეხბურთელს, რომელიც ფრჩხილებს შავად შეიღებავს, თმებს კი ქერად? შვაინშტაიგერი სწორედ ასე მოიქცა...

- მე მას ერთხელ უკვე ვკითხე, ამას რატომ აკეთებ და ამით რისი თქმა გსურს-მეთქი. მან პასუხი გამცა, პასუხი, რომლითაც უკმაყოფილო ნამდვილად არ დავრჩენილვარ. ასე რომ, ეს თემა ჩემთვის ამოწურულია. მხოლოდ იმის მოთხოვნა შემიძლია, რომ ფეხბურთელმა მოედანზე ყოფნის დროს მაქსიმუმი გაიღოს. შვაინშტაიგერი თავს არასდროს ზოგავს. შესაბამისად, აქ სასაუბრო აღარაფერია.

- თქვენს კონტრაქტს ვადა ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ეწურება. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალ ხელშეკრულებას არა ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, არამედ ახლავე, წელს გააფორმებთ...

- მართლა ასე ამბობენ? კი ბატონო, გეტყვით, რომ ჩვენ შემდეგზე შევთანხმდით: საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ, ჩემსა და გერმანიის საფეხბურთო კავშირს შორის გულახდილი საუბარი შედგება, სადაც კონტრაქტის გაგრძელების საკითხს განვიხილავთ. ეს ინიციატივა საფეხბურთო კავშირის მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა წამოაყენა. ჩემთვის ერთი რამ ამთავითვე ცნობილია: ხელშეკრულებას 4 წლით ნამდვილად არ გავაგრძელებ. 4 წელიწადი ნამეტანია...

- რატომ?

- ვფიქრობ, ორივე მხარისთვის უმჯობესი იქნება, რომ კონტრაქტი ძალიან ხანგრძლივი არ იყოს. არ მინდა, რომ ხანგრძლივი ხელშეკრულების გამო ზედმეტად დავიტვირთო. მუშაობის ვადის ბოლო ყოველთვის თვალთახედვის არეში უნდა მქონდეს. ასე, რომ მხოლოდ ორწლიან კონტრაქტს ვისურვებდი.

გოტფრიდ ლენცი



იოახიმ ლიოვი

სკანდალი

დეჟაგა: ირანელს ისრაელში რა მინდა?

გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ისრაელთან თამაშზე უარს ამბობს. პოლიტიკოსები ბუნდესგუნდიდან მის მოკვეთას ითხოვენ...

აშკან დეჟაგა

21 წლის ნახევარმცველი **აშკან დეჟაგა**, რომელიც ზაფხულში "ჰერტადან" ვოლფსბურგში გადავიდა, გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ალემანიაში ერთ-ერთ ტალანტად მიიჩნევა. თუმცა სახელისა და გვარის მიხედვით მიხვდებოდით, რომ დეჟაგა გერმანელი არ არის. ის ირანელი გახლავთ, რომელმაც გერმანიის მოქალაქეობა მიიღო. ეს ფეხბურთელი ყურადღების ცენტრში იმის გამო მოექცა, რომ უარი თქვა 12 ნოემბერს გასამართ შეხვედრაში მონაწილეობაზე, რომელშიც ისრაელის 21-წლამდელთა გუნდი გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს უმასპინძლებს. ფეხბურთელის თქმით, მიზეზი პოლიტიკურია.

"ყველამ იცის, რომ ირანელი ვარ. ცნობილია ისიც, რომ მაჰმად აჰმადინეჯადის იდეოლოგიას ვიზიარებ და მისი მოტრფიალე გახლავართ. შესაბამისად, შეუძლებელი და წარმოუდგენელია ის, რომ ისრაელში ჩავიდე და ხსენებულ მატჩში მონაწილეობა მივიღო. ჩემი ქვეყანა ამის უფლებას არ მაძლევს," - აცხადებს ფეხბურთელი. საქმე ისაა, რომ ცნობილი მოვლენების გამო, **აჰმადინეჯადმა** ირანელ სპორტსმენებს ისრაელის სპორტსმენებთან ნებისმიერი შეჯიბრება აუკრძალა. მიუხედავად იმისა, რომ დეჟაგა გერმანიის მოქალაქეა, ისრაელში ჩასვლაზე და თამაშზე მაინც უარი თქვა.

ამ ფაქტმა გერმანიაში უდიდესი ვნებათაღელვა გამოიწვია. აი, რას ამბობს პარტია CDU-ს თავმჯდომარე **ფრიდბერტ პფლიუგერი**: *"გაოგნებული ვარ, ასეთი რამ მიუღებელი და დაუშვებელია. დეჟაგა გერმანიის მოქალაქეა და ისრაელში ჩასვლაზე უარს ამბობს? ეს სერიოზული სკანდალია! სპორტის პოლიტიზირება არ შეიძლება."* ფაქტი ის გახლავთ, რომ ფეხბურთელმა გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან თანხმობა მიიღო. სპორტული დირექტორის, **მათიას ზამერის** თქმით, DFB მოთამაშეს ვერაფერს აიძულებდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირში დეჟაგას საქციელით კმაყოფილები არიან. *"ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო. პოლიტიკა და სპორტი ერთმანეთს უნდა ემიჯნებოდეს, თორემ სპორტი ძალიან დაზარალდება,"* - ამბობს DFB-ს პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი**.

პფლიუგერი ამბობს, როგორც გერმანიის მოქალაქეს, დეჟაგას ისრაელში არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდაო. ამას ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი **ზეევ ხელტცერიც** ადასტურებს: *"აშკანს ისრაელში ძალიან თბილად და მეგობრულად დავხვდებოდით. ჩვენ სპორტს პოლიტიკასთან არ ვაიგივებთ."* პფლიუგერისთვის კი ყველაფერი ცხადია: *"თუ ის პოლიტიკას სპორტზე წინ აყენებს, მაშინ გერმანიის ნაკრებში თამაში საერთოდ უნდა აეკრძალოს."*

აღსანიშნავია, რომ დეჟაგას ისედაც ირანის ნაკრებში სურს გადასვლა (რაკი გერმანიის ეროვნულ ნაკრებში ჯერ არ უთამაშია, ამის უფლება აქვს). აშკანი ადასტურებს, რომ ირანის ფეხბურთის ფედერაცია მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ჩვენი გერმანელი კოლეგებისა და გულშემატკივრების პოზიცია კი ასეთია: ფეხბურთელი, რომელიც პოლიტიკური მიზეზით გერმანიის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს, გერმანიის დროშის ქვეშ თამაში სამუდამოდ უნდა აეკრძალოს!

გოტფრიდ ლენცი

ჩოგბურთი

ოქსანა კალაშნიკოვა

ოქსანას დიდი ნაბიჯი

ლადო ჩიხლაძე დღეიდან მსოფლიოს 355-ე ჩოგანია, მან მხოლოდ ერთთ საფეხურით წაიწია წინ, თუმცა ესეც 22 წლის ქართველის კარიერის ახალი მიღწევა. ლადოს კვლავ 94 ქულა აქვს. მსოფლიოს 831-ე ჩოგანია **ირაკლი ლაბაძე**, რომელსაც მთელი სეზონი გაუცდა, ირაკლის 14 ქულაღა დარჩა მარაგში. სხვები: 1243 (-3) **ნოდარ ითონიშვილი**, 1474 (+10) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია**.

ქალთა რეიტინგ-ლისტში ათი ქართველი ჩოგბურთელიღა დარჩა. წინა კვირაში სიას **თეონა ცერცვაძე** დააკლდა, ახლა მას **სალომე ჩაჩხუნაშვილი** და **მარიამ ქურდაძე** მიყვნენ. ჩვენმა პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** სამი საფეხურით წაინია წინ, მაკამ 190 ქულით 166-ე ადგილზე წაინია. **ანა ტატიშვილი** 87 ქულით კვლავ მსოფლიოს 279-ე ჩოგანია. უკან დაიხია **სოფიო შაფათავამ**, სოფიომ 34 ადგილი დაკარგა და 43 ქულით 428-ე ადგილამდე დაქვეითდა. სხვები: 548 (+5) **სალომე დევიძე**; 611 (+62) **თინათინ ყავლაშვილი**; 630 (+128) **ოქსანა კალაშნიკოვა**; 641 (-14) **მანანა შაფაქიძე**; 734 (-22) **სოფიო მელიქიშვილი**; 753 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** და 829 (-4) **ეკა გორგოძე**. ოქსანა კალაშნიკოვასთვის ეს კარიერის მიღწევაა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ცხენოსნობა

პროექტის პრეზენტაცია

ახალი იპოდრომი



ჯერ კიდევ შუა საუკუნეების თბილისში მთავარი ცხენთსარბიელი გაშენებული ყოფილა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გარეთუბანში. 1840-იანი წლებიდან მოყოლებული, იპოდრომი დიდებაში ფუნქციონირებდა. ახალი იპოდრომი კი 1958 წელს გაიხსნა დელისში, რომელიც იმ დროს თითქმის ქალაქის გარეუბნად ითვლებოდა. და აი, თბილისის იპოდრომის კიდევ ერთი ახალსახლობა - უკვე ლისის ტბის მიდამოებში, ჯერჯერობით ისიც თითქოს გარეუბანში, მაგრამ სულ რაღაც 5 კილომეტრში დელისის, ან უკვე ყოფილი იპოდრომიდან (თუმცა, როგორც ამას წინათ ვწერდით, ძელი იპოდრომი ჯერჯერობით საკონკურო მოედანს ინარჩუნებს და სულ მალე აქვე ჩატარდება "კავკასიის თასის" გათამაშება საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით დაბრკოლებათა გადალახვაში).

გუშინწინ, ლისის ტბის მიდამოებში ახალი იპოდრომის მშენებლობის ადგილზე "ჭოკეი კლუბის" და მისი პარტნიორის ყაზახური "ბარგანა დიველოპმენტის" მასპინძლობით გაიმართა თბილისის ახალი იპოდრომისა და ძველის ადგილზე "სიტი სენთერ-თბილისის" პროექტების პრეზენტაცია. პროექტები წარადგინა "ჭოკეი კლუბის" წარმომადგენელმა **ქახაბერ ამაშუკელმა**. ორივე პროექტი, როგორც აღინიშნა, სრულად აკმაყოფილებს ურბანულ მოთხოვნებს. დელისში რეკრეაციული ზონა არათუ შენარჩუნდება, პირიქით 30 ჰექტრამდე გაიზრდება. ლისზე კი იპოდრომის მშენებლობა რიტმულად მიმდინარეობს. პროექტშია დახურული მანეჟი, სადღეღამისო ბილიკი, ღია არენებით, სხვა მიზნობრივი ობიექტები. თბილისის ეს ახალი იპოდრომი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში. თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით აგებული ოთხი საჯინიბო გუშინწინდელ პრეზენტაციაზე გაიხსნა საზეიმოდ. გაიმართა საჩვენებელი თამაშები ცხენბურთსა და ისინდში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისისა და ქვეყნის ოფიციალური პირები.

თორნიკე გაჩეჩილაძე
ავტორის ფოტოები

ჰაღათბურთი

ევროპული ლეგიონი

ქართველები იწყებენ და...

გასულ უქმეებზე თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში დაიწყო შიდა ჩემპიონატი. დღეს თქვენს ყურადღებას უკრაინას, ესპანეთსა და ბალტიისპირეთს მივაპყრობთ.

გრან-კანარია-კახასოლი. ტაირონ ელისი (მარჯვნივ) კარლ ინგლიშის წინააღმდეგ

უკრაინა

ესპანეთში გავლილი ორკვირიანი შეკრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა **მანუჩარ მარკოიშვილის** ახალი კლუბი "კიევი". დედაქალაქელებმა დასვენება ვერ მოასწრეს, რომ უკრაინის ჩემპიონატში მოუწიათ ჩართვა. სადებიუტო ტურში "კიევი" ლვოვის "პოლიტექნიკას" ესტუმრა და უპრობლემოდ დაამარცხა - 92:75. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მანუს გუნდმა ესპანეთში ნაყოფიერი შეკრება ჩაატარა და ევროგრანდ "ოლიმპიაკოსსაც" სძლია.

სასიამოვნოა, რომ ლვოვში პირველივე პერიოდში დიდი უპირატესობის მიღწევა სტუმრებმა მანუჩარ მარკოიშვილის წყალობით მოახერხეს. ამის შესახებ "კიევის" ოფიციალური ვებგვერდი წერს:

"მასპინძელთა პირველივე შეტევა არტურ დროზდოვმა ჩაჭრით შეაჩერა და ბურთი ეფექტურად ჩატენა. ამის შემდეგ სნაიპერის თვისებების გამოვლენის შანსი მანუჩარ მარკოიშვილს მიეცა - კიეველებმა ქართველი თანაგუნდელი ორჯერ დატოვეს სატყორცნ პოზიციაში და მანუმაც ჯერ სამქულიანი გამოიყენა, შემდეგ - ორიანი. ამის მერე დედაქალაქელებს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ და პირველი მეოთხედი 31:22 მოიგეს, ხოლო საბოლოოდ 17 ქულის სხვაობით იმარჯვეს."

მატჩის შემდეგ კიეველთა მთავარმა მწვრთნელმა **ტომო მაჰორიჩმა** აღნიშნა, რომ გამარჯვება განაპირობა არა რომელიმე მოთამაშის ინდივიდუალურმა ოსტატობამ, არამედ გუნდურმა თამაშმა.

მანუჩარ მარკოიშვილმა ლვოვში 20 წუთი ითამაშა, 10 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 6-დან 5 საჯარიმო). 4 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. სტუმართა შორის 14-14 ქულით სნაიპერობა არტურ დროზდოვმა და იუჯინ ჯეტერმა გაიყვეს.

ესპანეთი

ესპანეთის ჩემპიონატში წარუმატებელი დებიუტი ჰქონდა **ტაირონ ელისის** "კახასოლს" - კანარის კუნძულებზე "გრან-კანარიასთან" დამარცხდა (61:68). საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 28 წუთში თანაგუნდელებს 8 ქულით შეეწია (ორი სამქულიანი და ერთიც ორიანი ჩააგდო). გარდა ამისა, ელისის ანგარიშზე 3 პასი და 2 მოხსნაა.

მკითხველს შეიძლება ეუცნაურა ტაირონის ახალი კლუბის დასახელება - "კახასოლი". საქმე ისაა, რომ ამ სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელებმა სახელის შეცვლა გადაწყვიტეს. შეგახსენებთ, რომ შარშან ეს გუნდი (მასში **ნიკა ქქიტიშვილი** ირიცხებოდა) "კახა სან ფერნანდოს" სახელით ასპარეზობდა.

ბალტიისპირეთი

ესტონეთის ჩემპიონატის სადებიუტო ტურში **გიორგი ცინცაძის** "როკმა" "კალევთან" როგორ წააგო, გასულ პარასკევს მოგახსენეთ. ამ შეხვედრიდან მესამე დღეს ტარტუელები ბალტიის თასის გათამაშებაში ჩაერთვნენ. პირველ ტურში ლიტვის "ჟალგირისის" სახით საშიში მეტოქე ერგოთ და მიუხედავად იმისა, რომ შინ თამაშობდნენ, მაინც დამარცხდნენ - 63:76.

პირველი ტაიმი როკერთა უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით დასრულდა (37:36), მესამე მეოთხედში კი სტუმრებმა გაილაღეს და 29:14 მოიგეს, რის შემდეგაც ტარტუელებს თამაშის გადარჩენისთვის ძალა აღარ აღმოაჩნდათ.

ამ შეხვედრამაც გვიჩვენა, რომ გიორგი ცინცაძე მყარად დამკვიდრდა "როკის" შემადგენლობაში. მან 25 წუთი ითამაშა, 6-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, ზედ 2 საჯარიმო მიაყოლა და 6 ქულას 4 მოხსნა წაუმატა.

ბალტიის ლიგა ორ ეშელონადაა გაყოფილი. მეორეში **სერგო ათუაშვილის** "ალიტუსი" ასპარეზობს. სადღეისოდ ამ ლიტვური გუნდის ანგარიშზე თითო მოგება-წაგებაა. იგი პირველ ტურში თანამემამულე "პანევაჟისს" სტუმრობდა და 59:79 შერცხვა. სერგომ მხოლოდ 2 წუთი ითამაშა და ბურთის ერთხელ მოხსნა მოასწრო.

მეორე შეხვედრაში "ალიტუსმა" ასევე ლიტვურ "საკალაის" უმასპინძლა და 2 ქულის სხვაობით დაამარცხა - 69:67. ამ მატჩში ქართველ ცენტრს მონაწილეობა არ მიუღია.

ვაჟა სიმონიშვილი

სპორტის აკადემია

ეს უკვე ჩიხია...

სპორტის აკადემიის ირგვლივ დაძაბული ვითარებიდან გამოსვლის ძიება, როგორც ჩანს, ჩიხში შევიდა. ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, როგორც გუშინ ცნობილი გახდა, აიკრძალა სპორტკომპლექს "ქარიშხალას" ოთახებში აკადემიური მეცადინეობის ჩატარება. მიზეზი გასაგებია, - შეუფერებელი პირობები, რაც სასწავლო წლის დაწყებიდანვე პროტესტდებოდა ლექტორთა და სტუდენტთა მხრიდან. შესაბამისად, სტენდიდან უკვე გაქრა მეცადინეობის ცხრილი. გუშინაც არ განახლებულა მეცადინეობები. ლექტორები და სტუდენტები დილიდანვე ატარებენ საინფორმაციო მიტინგს, შემდეგ იწყება გამოცხადებულთა აღრიცხვა და ყველაფერი ამით მთავრდება უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინით. მართალია, აკადემიაც და მისი ყველა მმართველი ორგანო გაუქმებულია, ყოფილი აკადემიური საბჭო დღეს მაინც შეიკრიბება და უახლოესი სამოქმედო გეგმები დაისახება, შექმნილია აკადემიის გადარჩენის კომიტეტი. გასულ პარასკევს მიტინგზე გაისმოდა კრიტიკული შენიშვნები და კატეგორიული მოთხოვნები ყოფილი აკადემიის ხელმძღვანელების მისამართით. გუშინდელ მიტინგზე კი გამოითქვა სინანული, რომ აკადემიის ყოფილი რექტორი, მიტინგზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ, გულის შეტევით მოხვდა საავადმყოფოში. გასულ პარასკევს აკადემიის გადარჩენის კომიტეტის წარმომადგენლები შეხვდნენ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს **ლადო ვარძელაშვილს**, რომელმაც

სამი დღე ითხოვა აკადემიის პრობლემებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. ვადა გუშინ ამოინურა. როგორია პასუხი?

"რამდენიმე დღეში თბილისის მერი გააკეთებს განცხადებას. იანვრიდან, ალბათ, რუსეთის ყოფილი სამხედრო შტაბის შენობა გადაეცემა ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტს და თქვენი პრობლემაც გადაწყდება. პრაქტიკული მეცადინეობები კი სხვადასხვა სპორტულ ბაზაზე გადანაწილდება". - უთქვამს მინისტრის მოადგილეს.

სამწუხაროდ, პასუხგაუცემელი კითხვები ისევ რჩება...

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

სოფიო გურამიშვილი (მარცხნივ)

წინსვლა უმნიშვნელოა

20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ერევანში მიმდინარეობს, ქართველ მოჭადრაკეთათვის მეექვსე ტური არც წარმატებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ და არ წარუმატებლად - სადღაც შუაშია... ჭაბუკებში **დავით ჯოჯუამ** ნახევარი ქულა შეიმატა გევეინ ჯოუნსთან შეხვედრაში; **თორნიკე სანიკიძემ** შავებით დაამარცხა სამველ ტერ-კარაპეტიანი და ახლა ქართველებში ყველაზე მეტი - 4 ქულა აქვს. **ლევან ბრეგაძემ** დაან ბრანდენბურგთან და **გიორგი მარგველაშვილმა** დაგურ აგრიმსონთან ქულა გაიყვეს. **გაიოზ ნიგალიძემ** თეთრებით ნააგო ვაიჩესლავ კუსელოვთან და 6 ტურის შემდეგ მხოლოდ ორი ქულა აქვს, რაც ყველაზე დიდი მოულოდნელობაა ჩვენთვის. თეთრი ფერითვე წააგეს **ზურაბ ჯავახაძემ** და **ალექსი ტერ-კარაპეტიანმა**; საბედნიეროდ, **დავით ბენიძისთვის** აღმოჩნდა თეთრი ფერი გამარჯვებისთვის საკმარისი - მან მაჰმუდ შამიეჰი დაამარცხა.

ჭაბუკებში 5 ქულით ფილიპინელი დიდოსტატი ვესლი სოუ ლიდერობს; ამდენივე აქვს და მეორეზეა გვიპტელი აჰმად ადლი. აღსანიშნავია, რომ ფილიპინელი განთესვით მეცამეტეა, ეგვიპტელი კი - ოცდამეერთე. მესამე ადგილზე ებრაელი მაქსიმ როდშტეინია 4.5 ქულით.

ქართველთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: 18. თორნიკე სანიკიძე-4; 21. დავით ჯოჯუა-3.5; 40. გიორგი მარგველაშვილი-3; 42. ლევან ბრეგაძე-3; 66. ზურაბ ჯავახაძე-2; 67. გაიოზ ნიგალიძე-2; 80. ალექსი ტერ-კარაპეტიანი-0.5.

გოგონებში მარცხი იწვნია **ბელა ხოტენაშვილმა**, რომელსაც ქართველებში აქამდე საუკეთესო შედეგი ჰქონდა. მისი დამმარცხებელი გერმანელი სარა ჰოლტი აღმოჩნდა. **სოფიკო გურამიშვილმა** სლოვაკ სუსანა ბოროსოვასთან თეთრებით ქულა გაიყო და ბელას დარად ოთხი ქულა გაუხდა. ყაიმით ითამაშა **სალომე მელიამაც**, რომელმაც შავებით ყაზახი გალმირა დავლეტოვას დამარცხება ვერ შეძლო. მშვიდობიანად გაეყარა მეტოქეს, ეგვიპტელ ხალედ მოინას **მადონა ბოკუჩავა**, ხოლო **ელისაბედ ზარქუამ** მარცხი იწვნია ირანელი შორეჰ ბაიატისგან.

ქალთა შორის 6 ქულით რუსი ვერა ნებილშინა ლიდერობს. 5 ქულა აქვთ და 2-4 ადგილებს იყოფენ გერმანელი სარა ჰოლტი; ესპანელი საბრინა ვეგა გუტიერესი და ინდოელი ჰარიკა დრონოვალი. ამ კვარტეტიდან ინდოელია უდავო ფავორიტი - ის პირველი ნომერია განთესვით, ნებოლშინა მეექვსეა, ჰოლტი - მერცხრამეტე, ხოლო ვეგა გუტიერესი - მერვე.

როგორც იცით ხოტენაშვილი განთესვით მეცხრეა, გურამიშვილი კი - მეათე და მათი გვეიმედება ყველაზე მეტად. დღეისთვის ხოტენაშვილს 4 ქულით მეექვსე ადგილი უკავია, გურამიშვილს - მეშვიდე. ეს კი წარმატების იმედს ნამდვილად იძლევა, რადგანაც წინ კიდევ 7 ტურია სათამაშო. პირველობის შანსი აქვს სალომე მელიასაც, მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის მხოლოდ 3.5 ქულა აქვს... მადონა ბოკუჩავა 2.5 ქულით 38-ეა, ელისაბედ ზარქუა კი - 46-ე.

დღეს მეშვიდე ტურია, ამის შემდეგ კი მონაწილენი ერთი დღით დაისვენებენ და დარჩენილ პარტიებსაც შეუსვენებლად ითამაშებენ.

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ნაკრები

თოთხმეტი ოცდაექვსიდან

14 ოქტომბერს საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები შეკრებას დაიწყებს მოახლოებული "ჩელენჯ ტროფისთვის". სანამ გუნდს ლეგიონერები შეუერთდებიან, ნაკრების მთავარ მწვრთნელ **მამუკა მჟავანაძის** განკარგულებაში იქნება საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე 16 ხელბურთელი. მჟავანაძემ აღნიშნული თექვსმეტეული ასე დააკომპლექტა:

მეკარეები: **შოთა თევზაძე, გაგა სამყურაშვილი** (ორივე სტუ-"თელავი"), **კორნელი ანდრიაძე** ("თბილისი"); მოედნის მოთამაშეები: **გიორგი ქობელაშვილი, ომარ ყიფიანი, ამირან ყიფიანი, მამია კობახიძე, აკაკი ტალახაძე, ლევან ბერძენიშვილი, დავით ნიკოლაიშვილი, ილია გოგალაძე** (ყველა სტუ-"თელავი"), **ირაკლი ქირია, ვანო ქარდავა, დავით ფორაქიშვილი, ირაკლი ღაღანიძე, გიორგი წივწივაძე** (ყველა "თბილისი").

20-22 ოქტომბრისთვის, გუნდს დაემატებიან ლეგიონერები. მათი ზუსტი სია ჯერ გარკვეული არაა, მაგრამ სავარაუდო-ასეთია:

რეზო ჭანტურია ("მეტალურგი", მაკედონია), **ტიტე კალანდაძე, რატი მსხვილიძე** ("სტიარნანი", ისლანდია), **ვლადიმერ რუსია** ("დინამო", ბუქარესტი), **სერგო დათუკიშვილი** ("ტუს-ენ ლიუბეკი", გერმანია), **შოთა გრიშიკაშვილი** ("ორმან სპორტ კლუბი", თურქეთი), **ანდრო ანდრიაშვილი** ("არანგა სორია", ესპანეთი), **გარი თურქია** ("პოსეიდონ ლოუტრი", საბერძნეთი), **გიორგი გვაზავა** ("ბორდილსი", ესპანეთი). ასევე სავარაუდო კანდიდატთა შორისაა საბერძნეთის მეორე ლიგაში მოასპარეზე ახალგაზრდა ხელბურთელი **გიორგი კვერნაძეც**.

საბოლოოდ, ნაკრების თავკაცობას, ამ 26 ხელბურთელიდან მოუწევს იმ 14 ხელბურთელის არჩევა, რომელსაც "ჩელენჯ ტროფის" განაცხადში შეიყვანს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ დღეს, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყება, რომელიც 3 დღე გასტანს. 12 ოქტომბერს, ნაკრები სამედიცინო შემოწმებას გაივლის, 13 ოქტომბერს დაისვენებს, 14-ში კი შეკრებას შეუდგება.

კობა ხატისაშვილი

ლეგიონერები

დათუკიშვილის სამი და სტიარნანის დასანანი მარცხი

სერგო დათუკიშვილი

ამ უძმეებზე საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების რამდენიმე ლეგიონერის კლუბმა ითამაშა. დავიწყოთ გერმანული ბუნდესლიგით, სადაც ისევ დამარცხდა **სერგო დათუკიშვილის** "ტუს-ენ ლიუბეკი". სერგოს გუნდმა უშანსოდ წააგო "მელზუნგენთან" (24:32) და კვლავ მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია.

რაც შეეხება ჩვენებურის მონაგარს, დათუკიშვილი მხოლოდ სამ გოლს დასჯერდა. მან ორი გოლი თამაშიდან შეაგდო, ერთი კი შვიდმეტრიანის ნიშნულიდან. ქართველი ხელბურთელი 8 მატჩში გატანილი 51 გოლით, ბუნდესლიგის ნომერი მეშვიდე ბომბარდირია. პირველ-მეორე ადგილებზე არიან კონრად ვილჩინსკი ("ფუქსე", 62 გოლი) და მომირ ილიჩი ("გუმერსბახი", 59), ოღონდ მათ 9-9 მატჩი აქვთ ნათამაშები.

გადავიდეთ ევროთასებზე, სადაც მეორე წრის განმეორებითი მატჩები გაიმართა. თასების მფლობელთა თასიდან დასანანად გამოვარდა **რატი მსხვილიძის, ტიტე კალანდაძისა** და **როლანდ ერაძის** "სტიარნანი". უკრაინულ "ბუდიველნიკ-ბროვართან" ისლანდიაში წაგების (25:26) შემდეგ, ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად იმარჯვა ანალოგიური სხვაობით (22:21). მართალია, ორი მატჩის ჯამში დაფიქსირდა ფრე, მაგრამ მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი ბურთის წყალობით, მომდევნო ეტაპზე გავიდა "ბუდიველნიკ-ბროვარი".

სამაგიეროდ, კარგია ამბები მოხდა ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, სადაც ორივე "ქართული" კლუბი გავიდა მესამე წრეში. ბუქარესტში 36:22-ის მოგების შემდეგ, **ვლადიმერ რუსიას** "დინამო" 29:30 წაგო ათენში, ადგილობრივ აეკ-თან, მაგრამ ორი მატჩის ჯამში, მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდა.

გაცილებით რთული ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი **რეზო ჭანტურიას** "მეტალურგს". მაკედონიელები პირველ მატჩში 21:26 დამარცხდნენ კვიპროსის "სტროვოლოსთან" და თუკი შემდეგ ეტაპზე გასვლა სურდათ, სახლში უნდა მოეგოთ ხუთზე მეტი ბურთის სხვაობით. ჭანტურიამ და მისმა თანაგუნდელებმა ამოცანა გადაჭარბებით გადაჭრეს - 31:18 იმარჯვეს და მესამე წრეში გავიდნენ.

კობა ხატისაშვილი

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

ყველაფერი დავკარგეთ

წლევანდელი ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ყველაზე წარუმატებელი იყო ქართული ქალთა კლუბებისთვის - "ინტერპლასტ-თბილისი" ჩემპიონობას ვინ ჩივის, ხუთეულშიც შეიძლება ვერ მოხვდეს. არადა, დასაწყისი შესანიშნავი იყო და თასის დაბრუნების რეალური შანსი გაჩნდა, მაგრამ ორი წარუმატებელი მატჩი და ყველაფერი წყალში გადაიყარა: მეხუთე ტურის შემდეგ, როცა "ჩელიაბინსკთან" დამარცხდნენ ქართველები, 7 ქულით მეექვსე ადგილზე აღმოჩნდნენ; გუშინ კი "პოდგორიცას" ვერ მოუგეს - 2:2 და მერვემდე დაქვეითდნენ. სათამაშო ერთი ტურიღა დარჩა და მშრალადაც რომ გაიმარჯვონ არაფერი ხეირი ამას არ მოჰყვება...

"ჩელიაბინსკთან" **სოფიო გვეტაძემ** და **მაია ლომინეიშვილმა** წააგეს თავიანთი პარტიები; **ქეთევან არახამიამ** პირველ დაფაზე ყაიმით ითამაშა, **ნანა ძაგნიძემ** კი - მესამეზე მოიგო; **ლელა ჯავახიშვილი** ისვენებდა.

გუშინ ჯავახიშვილი პირველ დაფას დაუბრუნდა და მშვენივრადაც გაართვა თავი ევროპის 2000 წლის ჩემპიონთან, უკრაინელ **ნატალია ჟუკოვასთან** შეხვედრას - შავი ფერით გაიმარჯვა. მეორეზე არახამია დაჯდა და თეთრებით სერბი **ალისა მარიჩის** დამარცხება ვერ შეძლო - ყაიმი. მესამეზე გვეტაძე ვიხილეთ და მართალია მან **ანა უშენინასთან** ქულა გაიყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს საერთო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა - ნანა ძაგნიძე, რომელიც აქამდე ბრწყინვალედ თამაშობდა და ხუთიდან ხუთი გამარჯვება მოეპოვებინა, ნაკლებად ძლიერ **ანა ბენდერაცთან** თეთრებით დამარცხდა. ეს ძაგნიძის პირველი მარცხი იყო; გვეტაძეს კი ერთხელაც არ გაემარჯვა - ოთხიდან ორში დამარცხდა და ორშიც ქულა გაიყო.

თავიანთი მატჩი მოიგო ფრანგულმა "მონტე-კარლომ" და ჩემპიონობა დაიბევა - უახლოეს მდევარს, რუსულ "კრასნოტურინსკს" ცხრილში ორი ქულით კი უსწრებს, მაგრამ პარტიათა ჯამითაც გვარიანად წინაა , რაც თანაბარი ქულების დაგროვებისას გადამწყვეტი ფაქტორია. ცხადია, ტიტული დაკარგა სომხურმა "მიკამაც", სადაც **მაია ჩიბურდანიძე** და **ნინო ხურციძე** თამაშობენ, თუმცა მათ საპრიზოზე გასვლის შანსი მაინც შერჩათ - ბოლო ტურში დიდი ანგარიშით გამარჯვება სჭირდებათ...

ბოლო ტურის წინ

1. "მონტე-კარლო"-11 (19).
2. "კრასნოტურინსკი"-9 (16).
3. სარატოვი"-8 (17)
4. "მიკა"-8 (16.5)
5. "პოდგორიცა"-8 (15.5)
6. "ჩელიაბინსკი"-8 (14.5)
7. "სტ. პეტერბურგი"-8 (14.5)
8. " თბილისი"-8 (14.5)...

ყვარელსა და ქუთაისში დასრულდა 1992-93 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე. ყვარლური აღმოსავლეთი დივიზიონით დავიწყოთ, რომელსაც ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ლიდერი ჰყავს. რუსთავი, რომელიც დიდი სახელბურთი ტრადიციებით არასოდეს გამოირჩეოდა, სამივე მატჩი მოიგო, რითაც თბილისის, გორისა და მასპინძლების კლუბებზე მაღლა დადგა. მოულოდნელი იყო "თბილისის" ორი წაფორხილებაც - "რუსთავთან" წაგება და მასპინძლებთან ფრე, რითაც მხოლოდ მესამე პოზიციაზე იმყოფებიან. კარგად ითამაშეს გორელებმა, რომლებიც მეორე ადგილზე არიან.

გადავინაცვლოთ ქუთაისში, სადაც არანაკლები მოულოდნელობა მოხდა - მასპინძლებს სამტრედიელებმა აჯობეს და სატურნირო ცხრილის სათავეში წამოსკუპდნენ. მესამე ადგილზეა "ფოთი", ხოლო ბოლოადგილოსანი ბათუმელებისთვის ისიც მიღწევაა, რომ ბოლო წლებში აჭარაში ჩამკვდარი ხელბურთი ფეხზე დგება, ჭაბუკებში გუნდი ჰყავთ და უკეთესი მომავლის პერსპექტივა გაუჩნდათ.

25-27 ოქტომბერს, აღმოსავლეთი და დასავლეთი დივიზიონების გუნდები გაერთიანდებიან და თბილისში ეთამაშებიან ერთმანეთს.

კობა ხატისაშვილი

სენსაციური ჭაბუკები

გივი ნიკურაძის მემორიალი

ფოთში ჩატარდა გივი ნიკურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართველოს პირველობა აკადემიურ, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში მცხეთის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, აფხაზეთის №1 სასპორტო სკოლისა და მინგეჩაურის (აზერბაიჯანი) წარმომადგენლების მონაწილეობით.

შეჯიბრების გახსნაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ახლახან გარდაცვლილი, წარსულში ცნობილი ნიჩბოსანის, მონრეალის ოლიმპიური თამაშების მონაწილის, საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **გივი ნიკურაძის** ხსოვნას. შეჯიბრება იმითაც იყო გამორჩეული, რომ მასში 15 წლის შემდეგ აფხაზეთის ნიჩბოსნებმაც იასპარეზეს. სამწუხაროა, რომ თბილისმა ვერ უზრუნველყო ფოთში გუნდის მივლინება.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს იმ სპორტსმენებმა, რომლებიც წლების განმავლობაში იცავენ საქართველოს ნაკრების ღირსებას ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში. ასაკების მიხედვით აკადემიურ ნიჩბოსნობის ცალკეულ პროგრამაში გამარჯვება წილად ხვდათ: **გიორგი ელყანიშვილს, კახა კანდელაკს, ლაშა ხიზანიშვილს, თემურ ბაიაშვილს, გიორგი ხიზანიშვილს, მიხელ ბუჯიაშვილს, გურამ ხუხუნაიშვილს** (ყველა - მცხეთა), **ირაკლი სინათაშვილს, ილია ბაქრაძეს** (ორივე - ქუთაისი). ბაიდარითა და კანოეთი: **ვასილ ფეტისოვს, ოლეგ ოლეინიკს, ვარლამ ნადირაძეს, მედეა თოფურიას** (ყველა - მცხეთა), **გიორგი მანაგაძეს, მელანო ასათიანს** (ორივე - ქუთაისი), **ნიკოლოზ კუციას** (რუსთავი), **ლაშა ფოჩხუას** (ფოთი).

ვიტალი გრძელიშვილი

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYAL CAPITAL group

ინტერვიუ გია ნიჟარაძესთან

ქართული რაგბის 6 პრიორიტეტი და...

უცხოელი მწვრთნელის საკითხიც

მსოფლიო თასზე ქართველი ბორჯღალოსნების გამოსვლა ამ ვაჟკაცური სპორტის სახეობის განვითარების კატალიზატორი უნდა გახდეს. ქართველი მორაგბეების თავდადებამ, საქმისადმი ერთგულებამ შედეგი გამოიღო და საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტი მოგვიხვეჭა. უკვე განვლილ მოვლენებსა და მომავლის გეგმებზე საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე პრეზიდენტი გია ნიჟარაძე გვესაუბრება.

- საქართველოს ნაკრებმა საფრანგეთში ნაჩვენები თამაშით მსოფლიო რაგბის სამყაროში უდავოდ სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ. რაც მთავარია, შეიცვალა დამოკიდებულება ჩვენი გუნდის მიმართ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. თუ გადავხედავთ ქართული რაგბის განვითარების გზას, საფრანგეთში დაკავებული მე-13 ადგილი სერიოზული წარმატებაა. რაც ქართული რაგბის ყველა თაობის შრომისა და გარჯის დამსახურებაა. არ მინდა დავივიწყო რაგბის კავშირის წინა ხელმძღვანელობაც, რომელთა ღვაწლის შედეგად საქართველოს ნაკრები პირველად გავიდა მსოფლიო თასზე.

- როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რაგბს სერიოზული დახმარება აღმოუჩინოს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან?

- მსოფლიო თასზე ჩვენი ნაკრების გარდა, სხვა პატარა ქვეყნის გუნდებმაც გამოიჩინეს თავი - ტონგამ, ფიჯიმ, პორტუგალიამ, ამათ რიცხვს არც ნამიბიას გამოვაკლებდი.. ამ გუნდების გამოსვლამ, წესით, IRB-ის ფუნქციონერებს რადიკალურად უნდა შეაცვლევინოს დამოკიდებულება, როგორც თვითონ დაარქვეს, ჯუჯა ქვეყნების მიმართ.

ჯუჯა ქვეყნებმა საფრანგეთსა და მსოფლიოს სარაგბო სამყაროში შექმნეს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ჩვენს სასარგებლოდაა. კერძოდ, საზოგადოების აზრით, IRB-მა არ უნდა შეამციროს მსოფლიო თასზე მონაწილე გუნდების რაოდენობა და ჯუჯა ქვეყნებს გაუზარდოს დახმარება, რომ ამ ქვეყნების გუნდებმა რაც შეიძლება ხშირად უნდა ითამაშონ გრანდების წინააღმდეგ. ყოველივე ეს ძალიან ხშირად იბეჭდებოდა ფრანგულ პრესაში, ლაპარაკობდნენ ტელეგადაცემებში. ამ აზრზე არიან ზელანდიელები, აფრიკელები, ბრიტანელები, ინგლისელები და თვითონ ფრანგებიც.

- რამდენად დიდია შანსი, რომ მსოფლიო თასზე 20 გუნდი დარჩება?

- ერთ კვირაში IRB-ის კონგრესი გაიმართება და ამ საკითხს განიხილავენ. ჩვენ და ჩვენი იდეოლოგიური პარტნიორები ვეცდებით, ამ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა მოვახდინოთ. ჩვენი პოზიცია ყველა დონეზე დაფიქსირებული გვაქვს. რაც მთავარია, ჩვენს მხარესაა საზოგადოებრივი აზრი, რასაც დასავლეთში სერიზულად ეკიდებიან. დაველოდოთ, ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები.

- ზემოთ აღნიშნეთ, რომ რაც შეიძლება ხშირად უნდა ვეთამაშოთ ელიტარულ გუნდებს. ამისთვის კი საჭიროა, საქართველოს ნაკრები მეორე დონის გუნდად მიიჩნიონ, რაც თავისთავად ფინანსური დახმარების გაზრდასაც გულისხმობს. რამდენად რეალურია ეს?

-ეს თემა მსოფლიო თასის წინ აქტუალური იყო. გვპირდებოდნენ, ღირსეულად თუ წარმოაჩენთ თავს, ამ საკითხს გადავხედავთო. ჯერჯერობით, არ გამიგია, რომ IRB-ს ეს განხილვის საგნად გაეხადოს. პარადოქსია, მაგრამ, როგორც ერთ-ერთმა დიდ მოხელემ მითხრა, IRB-ში აქტიურად განიხილება ფინანსური დახმარება გაუზარდონ რუსეთს, როგორც დიდ ქვეყანას და ამდენად, რაგბისთვის საინტერესო ბაზარს. მიუხედავად ამისა, მაინც ვიმედოვნებთ, რომ გაითვალისწინებენ ჩვენი ნაკრების წარმატებებს და დაფინანსებას გაგვიზრდიან. თუმცა, ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია დეკემბრის ბოლომდე არ გვექნება.

- დახმარების ხარისხის დადგენისას IRB მნიშვნელობას თუ ანიჭებს იმას, რამდენად დაინტერესებულია რაგბის განვითარებით თვით ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება?

- დიახ. გარდა მორალური თუ ემოციური დამოკიდებულებისა, არსებობს ურთიერთობის სუფთა პრაგმატული მხარე. IRB პირდაპირ გვეუბნება, რომ ლიცენზირებული მორაგბეების ნორმა არის ქვეყნის საერთო მოსახლეობის 0,1 პროცენტი. ჩვენ შემთხვევაში ეს რიცხვი უნდა იყოს 5 ათასი, ჩვენ კი რეალურად გვაყავს 2 500 მორაგბე. ჩვენი მიზანია, მომავალ ოთხწლიან ციკლში ეს რიცხვი გავაორმაგოთ. ეს სახელმწიფოს დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნება.

- რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ?

-ჯერ კიდევ მსოფლიო თასის დაწყებამდე სახელმწიფომ საკმაოდ სოლიდური თანხა გამოგვიყო გუნდის მოსამზადებლად. მერე კი მიიღო გადაწყვეტილება, რაგბის განვითარების პროგრამა შეიმუშაოს და განახორციელოს. ისე, რომ საფრანგეთიდან ჩამოსვლის დღიდანვე სპორტის დეპარტამენტისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელებთან მუდმივად გავდივართ კონსულტაციებს.

გადაწყვეტილია, რომ ორ ქალაქში ბათუმსა და ქუთაისში აშენდება ფეხბურთთან საზიაროდ ორი საერთაშორისო დონის სტადიონი. რეგიონებში მოეწყობა სარაგბო კომპლექსები, რომელშიც ორი მოედანი იქნება: სათამაშო და სავარჯიშო, ასევე ფიტნეს დარბაზი, კეთილმოწყობილი გასახდელები და სხვა საჭირო სათავსოები. ასევე ტრიბუნები, 3000 მაყურებელზე გათვლილი. სარაგბო კომპლექსები თბილისის მერიის დახმარებით გაკეთდება დიდ დიღომსა და ვარკეთილში.

თბილისში ორი სტადიონი უკვე გადმოგვცეს. ეს ხსნის სათამაშო პრობლემას, მაგრამ საქმე ისაა, რომ თბილისში არ გვაქვს სავარჯიშო მოედნები. არადა მორაგბეთა ძირითადი მასა სწორედ დედაქალაქშია თავმოყრილი. ჩვენ ეს საკითხიც წამოვწიეთ და მალე შერჩეული იქნება გარკვეული ტერიტორიები, სადაც დამატებით სავარჯიშო მოედნებს მოვაწყობთ.

მომდევნო ოთხწლიან ციკლში სახელმწიფო განვითარებისთვის გარკვეულ თანხასაც გამოგვიყოფს. ეს ყველაფერი ერთად რომ გაკეთდება, იქნება სახელმწიფოს დახმარების უპრეცედენტო მაგალითი, უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი რაგბის განვითარებისთვის.

- რას მოხმარდება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები?

- გვაქვს რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. რაზეც არა მარტო სახელმწიფოს გამოყოფილი, არამედ ჩვენს მიერ სპონსორებისგან მოზიდული თანხებიც უნდა დაიხარჯოს.

პრიორიტეტი №1: ბავშვთა რაგბი. მშენებლობა საძირკველიდან უნდა დავიწყოთ და ეს საძირკველი სწორედ ბავშვთა რაგბია. რაც შეიძლება მეტი ბავშვი უნდა მოვიზიდოთ სავარჯიშოდ. შევქმნათ მათთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, აღვზარდოთ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები. უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც ავტომატურად იმუშავებს - იმის მიუხედავად, ვინ იქნება რაგბის კავშირის ხელმძღვანელი.

პრიორიტეტი №2: შიდა ჩემპიონატი. ოთხწლიანი ციკლის ბოლოს უნდა გვქონდეს პროფესიული ლიგა. ამ დროისთვის ჩამოყალიბებული უნდა იყოს ფინანსურად ძლიერი კლუბები, რომლებსაც აბსოლუტურად გამართული ინფრასტრუქტურა ექნებათ. რაგბის კავშირი ყველა ლონეს იხმარს, რომ კლუბებს დაეხმაროს სპონსორების მოძებნაში. ამით გვინდა მაქსიმალურად გავზარდოთ მათი დამოუკიდებლობის ხარისხი. ისინი უნდა იყვნენ რეალური მეპატრონის, რეალური ბიზნესის ხელში.

ამას თან ერთვის მსაჯების, მენეჯერების, მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. უნდა მოვიწვიოთ უცხოელი სპეციალისტები, მათი დახმარების გარეშე გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელი იქნება.

პრიორიტეტი №3: ინფრასტრუქტურა. ამ თემაზე უკვე ვისაუბრეთ. მთავარია, რომ სახელმწიფოსთან ერთად ამ საკითხის მოგვარებაში გვერდზე დაგვიდგეს კერძო ბიზნესიც. ცხადია დახმარება იქნება IRB-დანაც.

პრიორიტეტი №4: რეგიონებში რაგბის განვითარება. სამწუხაროდ ისევე როგორც სხვა სფეროებში თბილისი რაგბიშიც თავკომბალა გახდა და ეს პრობლემა დროულადაა მისახედი. რეგიონებში რაგბის განვითარების გარეშე წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწევთ.

პრიორიტეტი №5: მასობრიობა. აქ რამდენიმე მიზნობრივი პროექტი გვაქვს. გადაწყვეტილია სარაგბო სკოლებისა და აკადემიების გახსნა. გვინდა, აღვადგინოთ სტუდენტური რაგბი. ამასთან, რაგბი გვინდა გახდეს ძალოვანი სტრუქტურების მომზადების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

სპეციალური პროგრამა იქნება ამუშავებული ნიჭიერი ბავშვებისთვის. რაგბის კავშირი ითავებს მათ მოვლას, აღზრდას და იზრუნებს მათ მომავალ კარიერაზე. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭებათ უკანა ხაზის მოთამაშეებს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მორკინალებს უყურადღებოდ დავტოვებთ.

პრიორიტეტი №6: სოციალური პროგრამა. რადგან ქართველი მორაგბეები მიბაძვის საგანი გახდნენ, ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. რაგბი გვინდა გახდეს ფლაგმანი ნარკომანიასთან ბრძოლის საქმეში. ასევე, მივხედავთ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე, რათა მოხდეს მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში.

- ყოველივე ამის გვირგვინი კი ეროვნული ნაკრები უნდა იყოს. უკვე დიდი ხანია საუბრობენ, რომ საჭიროა ნაკრების სათავეში უცხოელი სპეციალისტის მოწვევა...

- თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანა თვითმიზანი არ უნდა იყოს. მას, ვინც არ უნდა იყოს, იმ შემთხვევაში მოვიწვევთ, თუ ოთხწლიან ციკლში დაგვეხმარება სისტემის აწყობაში. ანუ, თავის უშუალო მოვალეობასთან ერთად მან უნდა იზრუნოს მწვრთნელების აღზრდაზე, იმუშაოს ახალგაზრდებთან, შექმნას მეთოდიკა. ისე არ უნდა იყოს, ჩამოვიდეს, ხელფასი აიღოს და წავიდეს, გუნდი კი ან მოიგებს ან წააგებს. ასეთი მწვრთნელი ჩვენ არ გვჭირდება.

მაგალითად, გვინდა ფიზმომზადების მწვრთნელი ნიკოლა ფულკიე ჩამოვიყვანოთ. მის ფუნქციაში არ შევა მხოლოდ ნაკრებთან მუშაობა - მან უნდა გაზარდოს მწვრთნელები, იმუშაოს ყველა ასაკის ნაკრებთან, ასევე A ნაკრებთან, რომლის შექმნაც უკვე გადაწყვეტილია.

რაც შეეხება ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელებს. მათ უზარმაზარი სამუშაო გასწიეს და მათი ღვაწლის დაუფასებლობა არ შეიძლება. მიმდინარე ციკლს სწორედ ისინი ჩაამთავრებენ. წლის ბოლოს კი ერთად დავსხდებით და გადავწყვეტთ, რა გავაკეთოთ მომავალში....

ბესიკ ჯანგავაძე

რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გია ნიჟარაძე

ბომბარდირები	თ	ქ	ლ	გ	ს	ა
პერსი მონტგომერი (საფრ)	5	76	2	18	10	-
ფელიპე კონტეპომი (არგ)	5	64	1	7	15	-
ჯონი ვილკინსონი (ინგ)	3	52	-	5	10	4
ნიკ ევანსი (ზელ)	4	50	2	20	-	-
ქრის პატერსონი (შოტლ)	5	46	1	10	7	-
პიერ ჰოლა (ტონგა)	4	44	-	7	10	
ჟან-ბატისტ ელისალდი (საფ)	5	44	1	12	5	-
ნიკი ლითლი (ფიჯი)	3	42	-	9	8	-
დან კარტერი (ზელ)	3	40	1	10	5	-
მეტ გიტო (ავს)	4	40	3	8	3	-
სტირლინგ მორტლოკი (ავს)	3	37	1	10	4	-
დრიუ მიჩელი (ავს)	5	35	7	-	-	-
დავიდ ბორტოლუსი (იტა)	4	32	-	4	8	-
ლიონელ ბოსი (საფ)	4	32	1	6	5	0
სტივენ ჯოუნზი (უელსი)	4	31	-	11	3	-
დაგ ჰაულიტი (ზელ)	3	30	6	-	-	-
შეინ ვილიამსი (უელსი)	4	30	6	-	-	-
ბრაიან ჰაბანა (საფრ)	4	30	6	-	-	-
ლუკი კრიჩტონი (სამ)	4	27	-	3	7	-
მაიკ ჰერკასი (აშშ)	4	26	-	4	6	-
ჯო როკოთოკო (ზელ)	3	25	5	-	-	-
ვენსან კლერი (საფ)	4	25	5	-	-	-
ქრის ლეითემი (ავს)	5	25	5	-	-	-
შოტარო ონიში (იაპონია)	3	24	-	3	6	-
ჯეიმზ ჰუკი (უელსი)	4	23	1	3	4	-
მერაბ კვირიკაშვილი (საქ)	4	23	-	4	5	-
გევინ ვილიამსი (სამოა)	2	22	1	1	5	-
ჯეიმზ პრიჩარდი (კან)	4	21	-	3	5	-

ყველა დროის	თ	ქ	ლ	გ	ს	ა
ჯონი ვილკინსონი (ინგ)	13	234	1	23	49	12
გევინ ჰასტინგსი (შოტ)	13	227	9	39	36	-
მაიკლ ლაინაფი (ავს)	15	195	4	35	33	2
გრანტ ფოქსი (ზელ)	10	170	-	37	31	1
ენდი მერთენსი (ზელ)	10	163	1	25	33	3
გონსალო კესადა (არგ)	8	135	-	12	35	2
ნიკი ლითლი (ფიჯი)	11	125	-	22	26	1
მეტ ბერკი (ავს)	13	125	6	19	19	-
ტიერი ლაკრუა (საფ)	9	124	4	7	30	-
გარეთ რიისი (კან)	13	120	-	15	25	5
ქრის პატერსონი (შოტ)	11	117	4	17	20	1
ფრედერიკ მიშალაკი (საფ)	10	103	2	18	18	1
ელტონ ფლეტლი (ავს)	6	100	1	16	21	-

მელელოვეები

7 - დრიუ მიჩელი (ავს)

6 - ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ), დაგ ჰაულიტი (ზელ), შეინ ვილიამსი (უელ)

5 - ვენსან კლერი (საფ), ჯო როკოთოკო (ზელ), ქრის ლეითემი (ავს)

4 - ჟუან სმითი, ჟაკ ფური, ჯეიაი პიტერსენი (ს.აფრ), პოლ საკი (ინგ), რორი ლემონი (შოტ), სიტივენი სივივატუ (ზელ)

3 - ლუკას გორხესი (არგ), მარტინ ვილიამსი (უელ), ისაია ტოეავა, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი, აარონ მეიჯერი, კონრად სმითი (ზელ), ალისტერ ჰოგი (შოტ), მეტ გიტო, როკი ელსომი (ავს), ვილიმონი დელასაუ, კელე ლეავერე, აკაპუსი ქერა (ფიჯი), მარიუს ტინკუ (რუმ), ლიონელ ნალე (საფ)

2 - ბრაიან ოდრისკოლი (ირლ), მარტინ ქორი (ინგ), ალუნ-ვინ ჯოუნზი (უელ), კამელი რატუვოუ (ფიჯ), ენდრიუ ჰორი, ქრის მასოი, ნიკ ევანსი, ალი ვილიამსი (ზელ), ჯორჯ სმითი, ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, ადამ ფრაიერი (ავს), ტიერი დუზოტუარი, ჟულიენ ბონერი, ქრისტოფ დომინისი, სებასტიან შაბალი (საფ), ხუან ლეგისამონი, იგნასიო კორლეტო (არგ), კოსუკე ენდო, ლუკ თომპსონი (იაპ), რუან პინარი, პერსი მონტგომერი (ს.აფრ), ანდრეა მაზი (იტა), სუკანაივალუ ჰუფანგა, ვილიამი ვაკი (ტონ), ტაკუძვა ნგვენია, ლუის სტენფილი (აშშ)

ყველა დროის: **ჯონა ლომუ** (ზელ) - 15 (11 თამაშში), **დაგ ჰაულიტი** (ზელ) - 12 (10), **რორი ანდერვუდი** (ინგ) - 11 (15), **ჯო როკოთოკო** (ზელ) - 11 (8), **ქრის ლეითემი** (ავს) - 10 (7), **დევიდ კემპიზი** (ავს) - 10 (15), **ბრაიან ლიმა** (სამ) - 10 (18)

სხვადასხვა

ჭადრაკი

სუპერტურნირი სუპერშემადგენლობით

მომავალი წლის იანვარში, ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ენ-ზეეში ტრადიციული სუპერტურნირი გაიმართება. საგაისო შემადგენლობა უძლიერესი იქნება, ვინაიდან მსოფლიო რეიტინგის 10 საუკეთესო დიდოსტატიდან რვამ, ჰოლანდიაში თამაშის სურვილი გამოთქვა. ესენი არიან: ახალი მსოფლიო ჩემპიონი **ვიშვანატან ანანდი** (ინდოეთი, 2801), **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა, 2787), **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი, 2785), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი, 2769), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი, 2755), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2752), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი, 2742), **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2741).

ამ რვა დიდოსტატს შეუერთდება კიდევ ოთხი "შვიდასიანი" მოჭადრაკე: **ბორის გელფანდი** (ისრაელი, 2736), **მაიკლ ადამსი** (ინგლისი, 2729), **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია, 2714), და **იუდიტ პოლგარი** (უნგრეთი, 2708), ხოლო ამ სიის ბოლოში **პაველ ელიანოვი** (უკრაინა, 2681) და ტურნირის მასპინძელი **ლუკ ვან ველი** (2680).

შემადგენლობიდან გამომდინარე, ტურნირმა სირთულის მე-20 კატეგორია მიიღო.

კალათბურთი

ტრავმები

"საკრამენტო კინგზის" ფორვარდი **შარიფ აბდურ-რაჰიმი** (206 სმ) სეზონის სტარტს გამოტოვებს.

30 წლის კალათბურთელმა მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია გაიკეთა და როგორც ექიმები აცხადებენ, გამოსაჯანმრთელებლად დაახლოებით სამი-ოთხი კვირა დასჭირდება.

■ ■ ■

"შარლოტ ბობქეთსის" ფორვარდი **შონ მეი** 2007-08 წლების სეზონში ვერ ითამაშებს. კალათბურთელს დღეს, ნიუ იორკში მუხლის ოპერაცია ელის და სავარაუდოდ, მის აღდგენით პროცესს ექვსიდან 12 თვემდე დასჭირდება.

23 წლის მეის მუხლი დიდი ხანია აწუხებს. ამ დაზიანების გამო, 2005 წლის დრაფტის მე-13 ნომერმა, ორი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 58 მატჩი ჩაატარა. მისი სტატისტიკური მონაგარი 10.4 ქულასა და 5.9 მოხსნას შეადგენდა.

■ ■ ■

"გოლდენ სტეიტ უორიორზის" ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე, **მონტა ელისმა** კლუბის ახალბედა კალათბურთელ **ბრენდონ რაიტთან** შეტაკებისას თავის ტრავმა მიიღო.

21 წლის კალათბურთელი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ტრავმის სერიოზულობის შესახებ უფრო დაწვრილებით ინფორმაციას, ექიმები მოგვიანებით გაავრცელებენ.

შეგახსენებთ, რომ 2006-07-წლების სეზონში, ელისმა 77 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 16.5 ქულა, 4.1 პასი და 3.2 მოხსნა დააგროვა.

ბოუენის ახალი კონტრაქტი

"სან ანტონიო სპურსმა" კონტრაქტი გააგრძელა მსუბუქ ფორვარდ **ბრიუს ბოუენთან**, რომელიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველად ითვლება.

ახალი კონტრაქტის დეტალები ცნობილი არ არის. 36 წლის ბოუენი "სპურსის" რიგებში ექვსი სეზონია თამაშობს. შარშან, მან რეგულარულში ყველა მატჩი ჩაატარა. ბოუენი გუნდს 6.5 ქულით, 2.9 მოხსნითა და 1.4 შედეგიანი პასით დაეხმარა.

ილარიომ ვარჯიში დაიწყო

როგორც ექიმები ვარაუდობდნენ, "დენვერ ნაგეტსის" ბრაზილიელი ლეგიონერი **ნენე ილარიო** გუშინ შეუერთდა თავისი გუნდის საწვრთნელ შეკრებას.

შეგახსენებთ, რომ ილარიო მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო, დიდი ხანი ვერ ვარჯიშობდა. სავარაუდოდ, ბრაზილიელი თავის ჩვეულ კონდიციებს ოთხი კვირის შემდეგ აღიდგენს.

ტორონტომ ვირტუსს მოუგო

იტალიაში ტურნეს აგრძელებს "ტორონტო რეპტორზი". "ბოსტონ სელტიქსთან" დამარცხების შემდეგ, კანადურმა კლუბმა ბოლონიის "ვირტუსის" წინააღმდეგ ითამაშა და 6 ქულით - 93:87 (23:19, 21:26, 23:21, 26:21) გაიმარჯვა.

ტორონტოელთა რიგებში ოთხმა კალათბურთელმა შეძლო 10-ზე მეტი ქულის დაგროვება - **ბოშმა** (23), **კაპონომ** (15), **ბარნიანიმ** (13), **გარბახოსამ** (10).

იტალიელთა მხრიდან ყველაზე შედეგიანი **დრეიჯერი** აღმოჩნდა, რომელმაც "მტაცებლებს" 23 ქულა ჩაუგდო.

რაილი ანფერნის აქებს

როგორც ცნობილია, NBA-ში დაბრუნება გადაწყვიტა ცნობილმა მცველმა **ანფერნი ჰარდუეიმ**. ამ ზაფხულს, 36 წლის კალათბურთელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "მაიამი ჰიტთან" და უკვე დაიწყო ამ გუნდთან ერთად ახალი სეზონისთვის მზადება.

ჰარდუეის სპორტულ ფორმაზე კომენტარი "მაიამის" მთავარმა მწვრთნელმა **პატ რაილიმ** გააკეთა. ცნობილმა სპეციალისტმა კმაყოფილება გამოთქვა პენის მზადყოფნის გამო.

შესაძლოა, ანფერნიმ სეზონი "ჰიტის" ძირითად ხუთეულში დაიწყოს, ვინაიდან ჯერაც ტრავმირებულია კლუბის ძირითადი გამთამაშებელი **დუეინ უეიდი**. ეს უკანასკნელი ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდა მუხლსა და ზურგზე გადატანილი ოპერაციების გამო.

მძლეოსნობა

ტრაგედია ჩიკაგოში

ჩიკაგოში ტრადიციული მარათონი გაიმართა, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა ამერიკელი **ჩად შიბერისთვის**. მარათონელი დისტანციის შუაში უგონოდ დაეცა. ის სასწრაფოდ ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მაგრამ შიბერი გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, საავადმყოფოებში მოხვდა კიდევ 250 მონაწილე. გარბენი კი, კენიელმა **პატრიკ ივუტიმ** მოიგო. გამარჯვებული მარათონისთვის არადამახასიათებელი ფოტოფინიშის წყალობით გამოვლინდა.

ჰოკეი

დეტროიტმა ფრანცენი დაკარგა

სეზონის სტარტზე, "დეტროიტ რედ უინგზი" ერთი ჰოკეისტის გარეშე დარჩა. კვირას, "ჩიკაგოსთან" გამართული მატჩის (3:4) დროს, მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო შვედმა **იოჰან ფრანცენმა**, რომელმაც თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფრანცენს ყინულზე დასაბრუნებლად სამი-ოთხი კვირა დასჭირდება.

კრივი

სატიტულო ბრძოლა. ზემძიმე წონა

ნიგერიული კოშმარი მედისონ სქვერ გარდენში

სუპერმძიმე წონაში WBC-ის დროებითმა მსოფლიო ჩემპიონმა, ნიგერიელმა **სამუელ პიტერმა** უცნაური ბრძოლა მოუგო ამერიკელ **ჯამილ მაკლაინს**. ამ გამარჯვებაში უცნაური ის არის, რომ მაკლაინმა სამჯერ მოახერხა მეტოქის ნოკდაუნში გაგზავნა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც დამარცხებულმა დატოვა რინგი.

ბრძოლის დაწყების წინ, ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" შეკრებილი საზოგადოება ვერ წარმოიდგენდა, თუ "ნიგერიული კოშმარისთვის" (პიტერის მეტსახელი) ეს გამარჯვება ასეთი რთული აღმოჩნდებოდა.

შეგახსენებთ, რომ პიტერმა თავისი მორიგი მეტოქის ვინაობა მხოლოდ ორი კვირის წინათ შეიტყო. აწ უკვე ყოფილმა ჩემპიონმა, რუსმა **ოლეგ მასკაევმა** ზურგის ტრავმის გამო უარი თქვა ბრძოლაზე და შესაბამისად, WBC-ის საჩემპიონო ქამარი დაკარგა. ნიგერიელს ამ ორგანიზაციის დროებითი ჩემპიონის სტატუსი მიანიჭეს, მასთან ბრძოლა კი, ჯამილ მაკლეინს შესთავაზეს, რაზეც ეს უკანასკნელი სიამოვნებით დათანხმდა.

პიტერი ამერიკელზე 10 წლით უმცროსია და თან შესანიშნავ ფორმაში იმყოფებოდა. ამიტომაც, მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მაგრამ პირველ რაუნდებში განვითარებულმა მოვლენებმა, ნიგერიელის წინასამატჩო უპირატესობა ეჭვქვეშ დააყენა. მეორე რაუნდში, პიტერი პირველად თავის კარიერაში, ნოკდაუნში აღმოჩნდა. სამუელი მომდევნო რაუნდში შეეცადა პასუხის გაცემას, მაგრამ ამის ნაცვლად, კიდევ ორჯერ აღმოჩნდა რინგზე.

"დაცემისას, ერთადერთ რამეზე ვფიქრობდი - უნდა ავმდგარიყავი და ბრძოლა გამეგრძელებინა. ახლა შემიძლია ამაყად დავბრუნდე შინ და აფრიკაში საჩემპიონო ქამარი ჩავიტანო", - განაცხადა ბრძოლის შემდეგ პიტერმა.

ასეთი საშინელი დასაწყისის შემდეგ, ნიგერიელი მოკრივე გონს მოვიდა და უფრო აკურატულად დაიწყო მოქმედება. მან არა ძალაზე, არამედ ტექნიკაზე გააკეთა აქცენტი და ამ ტაქტიკამ გაუმართლა კიდეც. თანაც, ბრძოლის ბოლო ნაწილში ამერიკელის ასაკმაც იჩინა თავი და უკანასკნელ რაუნდში მაკლაინი ძლივს დალასლასებდა რინგზე.

საბოლოოდ, პიტერმა ქულებით გაიმარჯვა. როცა ფინალური გონგი გაისმა, მსაჯებს ეჭვი აღარ ეპარებოდათ ნიგერიელს უპირატესობაში. 113:112, 115:111 და 115:110 - სამივე რეფერიმ მოგება პიტერს მისცა და ნიგერიელი WBC-ის სრულფასოვანი ჩემპიონი გახდა.

"მომეჩვენა, რომ უკვე გამარჯვებული ვიყავი, მაგრამ მან სიტუაციიდან გამოძრომა მოახერხა, ამიტომაც არის ის ნამდვილი ჩემპიონი", - ასეთი კომენტარი გაუკეთა ბრძოლას მაკლაინმა, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მეორე მარცხი იყო. პიტერამდე, ამერიკელი მასკაევთან დამარცხდა.

საინტერესოა, რომ პიტერისთვის ბრძოლის განვითარების ამგვარი სიუჟეტი ახალი არ არის. სამი წლის წინათ, უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** ბრძოლის დროს, ნიგერიელმა სამჯერ გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება IBF-ის ამჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონს, კლიჩკოს დარჩა. ახლა კი, ყველაფერი პირიქით მოხდა.

რაც შეეხება პიტერის მომავალ მეტოქეს, "ნიგერიულ კოშმართან" შეხვედრისა და მისთვის საჩემპიონო ქამრის ჩამორთმევის ყველაზე დიდი შანსი იმავე უმცროს კლიჩკოსა და მასკაევს აქვთ.





ჯერ დაეცა, შემდეგ გაიმარჯვა

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

საკიკმა ესპოზიტოს გაასწრო

კოლორადო-სან ხოსე 6:2

2:0, 0:1 4:1

გოლები: 1:0 საკიკი-1 (პ. შჩასტნი-1, ლაილსი-1), 2:0 ჰეიდუკი-1 (საკიკი-1, პ. შჩასტნი-2), 2:1 ქლოუ-1 (პაველსკი-1, ერჰოფი-2), 3:1 პ. შჩასტნი-4 (ჰეიდუკი-1, ლეოპოლდი-1), 4:1 ჰეიდუკი-2 (რ. სმიტი-1, პ. შჩასტნი-3), 5:1 სვატოსი-1 (ფინგერი-1, არნასონი-2), 6:1 რ. სმიტი-1 (პ. შჩასტნი-4), 6:2 ქლოუ-2 (ბერნიე-1, მ. კარლი-1).

არნახული ტემპით დაიწყო ახალი რეგულარული სეზონი "კოლორადოს" ახალგაზრდა ფორვარდმა **პოლ შჩასტნიმ**, რომელიც ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტის, **პეტერ შჩასტნის** ვაჟი გახლავთ. "კოლორადომ" სამი მატჩის გამართვა მოასწრო და შჩასტნის ანგარიშზე უკვე 4 გოლი და ამდენივე შედეგიანი პასია. შეგახსენებთ, რომ ამ ფორვარდმა ჩემპიონატი "დალასის" კარში გატანილი ჰეთ-თრიკით გახსნა. ამჯერად კი, ხუთი ქულა მიითვალა. სხვათა შორის, "კოლორადოს" ბოლო მოთამაშე, ვინც ერთ მატჩში 5 ქულა მოიპოვა, **ჯო საკიკი** იყო - მან ეს 2007 წლის 15 თებერვალს, "კალგარისთან" მატჩში მოახერხა. ვეტერანი ფორვარდის საამმატჩო გმირობაზე ოდნავ ქვემოთ გეტყვით.

რაც შეეხება შჩასტნის, მას შარშან ჰქონდა დებიუტი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში და რუს **ევგენი მალკინთან** ერთად, საუკეთესო ახალბედას პრიზი მოიპოვა. გასულ რეგულარულში, პოლმა 28 გოლი გაიტანა და 50 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

მიუხედავად გამანადგურებელი ანგარიშისა, "კოლორადოსთვის" მატჩი იოლი არ ყოფილა. ორი პერიოდის შემდეგ, მასპინძლები მხოლოდ ერთ შაიბას იგებდნენ, მაგრამ "სან ხოსემ" მესამე 20-წუთეულის სტარტს ვერ გაუძლო და ორ წუთში ორი გოლი გაუშვა. ხოლო, როცა **სვატოსმა** და **სმიტმა**, 52 წამის ინტერვალით კიდევ ორი შაიბა გაიტანეს **ევგენი ნაბოკოვის** კარში, თამაშიც სწორედ იქ დასრულდა.

"ეველანშის" გამარჯვების კიდევ ერთი მიზეზი ის იყო, რომ კოლორადოელებმა შეძლეს "შარქსის" ლიდერების - **ტორნტონის, მარლოსა** და **ჩიჩუს** უვნებელყოფა. ამ სუპერსამეულმა ვერცერთი ქულის მოპოვება ვერ შეძლო.

■ ■ ■

ახლა კი, საკიკის მორიგ წარმატებაზე ვთქვათ. თავდამსხმელმა "სან ხოსესთან" ორი ქულა მოიპოვა და მისმა კარიერულმა მონაგარმა 1591 ქულა შეადგინა. ამით, საკიკმა ლეგენდარულ **ფილ ესპოზიტოს** გადაასწრო და ყველა დროის სიაში მერვე ადგილზე გადავიდა. ჯოს მორიგი სამიზნე მეშვიდეადგილოსანი **მარიო ლემიეა**, თუმცა იქამდე მისაღწევად, კოლორადოელთა სიმბოლოს 132 ქულა სჭირდება. ყველა დროის ლიდერი კი, **უეინ გრეტცკია** 2857 ქულით.

გარდა ამისა, გუშინ გატანილი ერთი გოლით, საკიკმა სნაიპერთა სიაში მე-14 ადგილზე გადაინაცვლა და ის ამ პოზიციას **ბობი ჰალთან** იყოფს. მათ თითოზე 610 შაიბა აქვთ შეგდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

ხორხე გარბახოსას მილიონი მიზეზი

ევროპის ჩემპიონატი ექოდ მიმდინარე სპორტულ ღონისძიებებს კიდევ დიდხანს გაჰყვება. ესპანურ ამბებზე ჩვენც ბევრი ვწერეთ, თქვენც ბევრი ნახეთ და იქაურის გახსენებას ამჯერად აღარ მოვყვებით. უბრალოდ, ესპანეთს ჰყავდა მოთამაშე, რომელმაც საკუთარი ჯანმრთელობის გარისკვა, ლამის ხეიბრად დარჩენა უკანა პლანზე გადაწია და ქვეყნის, ეროვნული ნაკრების ინტერესი ყველაზე წინ დააყენა. დღეს საუბარი პირენეელთა ერთ-ერთ ლიდერ ხორხე გარბახოსაზე გვექნება.

გმირი ხორხე გარბახოსა

შარშანდელი რეგულარული "ტორონტო რეპტორზის" ისტორიაში ყველაზე წარმატებული იყო. **კრის ბოშის** გარდა, პრაქტიკულად, უვარსკვლავო გუნდმა ატლანტიკის დივიზიონი მოიგო და პლეიოფში საკუთარი მოედნის საპირველწრეო უპირატესობით შეიჭრა. იქ რაც მოხდა (კანადელები **ჯეისონ კიდისა** და **ვინს კარტერის** "ნიუ ჯერსისთან" დამარცხდნენ), ალბათ, მოსახდენი იყო, მაგრამ "ტორონტო" გაცილებით შეკრული გუნდი იქნებოდა, მარტის შუაწელს "ტირანოზავრებს" ერთი ახალბედა რომ არ დამტვრეოდა.

"ბოსტონთან" შეხვედრაში **ხორხე გარბახოსამ** მარცხენა მუხლის მყესები გაიწყვიტა, საზარდული იტკინა და კოჭზე უზარმაზარი გემატომაც გაუჩნდა. ჯერ კანადელი, მერე კი ესპანელი ექიმების კონსენსუსით ხორხეს მინიმუმ 7 თვე ვერ უნდა ევარჯიშა, მერე კი არავინ იცის, რამდენად სწრაფად ჩადგებოდა ესპანელი ვეტერანი ოპტიმალურ ფორმაში.

ახლოვდებოდა ევროპის ჩემპიონატი და მასპინძელს, ანუ ესპანეთს უძლიერესი შემადგენლობის შეკრება სურდა. ტურნირზე თამაშის სურვილი გამოთქვეს ფავორიტის ვარსკვლავებმა: **პაუ გასოლმა, ხუან კარლოს ნავარომ, ხოსე კალდერონმა** და **ფელიპე რეიესმა**. მთელი ესპანეთი მოუთმენლად ელოდა, თუ რას იტყოდნენ გარბახოსას წარმომადგენლები, თუმცა ის კი ცნობილი იყო, რომ ხორხე, თუნდაც არაოპტიმალურ ფორმაში, მაინც აპირებდა ევროფორუმზე გამოსვლას.

"ტორონტომ" ესპანეთის კალათბურთის ფედერაციისგან ჯერ 700-ათასიანი დაზღვევა მოითხოვა, მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ გარბახოსას ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშისას ახალი ნაოპერაციები მუხლი ხელახლა უტკენია, კანადელები თავიანთი მოთამაშის ევროპაზე გაშვებას კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ.

წავიდა კანადური გუნდის "დაკერვა". ესპანელებმა თანხა ჯერ 50 ათასით გაზარდეს, მაგრამ სამწვრთნელო ბანაკიდან ხორხეს მხარე დამაიმედებელ პასუხს მაინც ვერ იძლეოდა. გარბახოსა ვარჯიშების შემდეგ სასტუმროში ყავარჯნით შედიოდა და ერთი საათის განმავლობაში ყინულის კომპრესის გაკეთება სჭირდებოდა.

ბოლოს, ესპანელთა ერთ-ერთ ლიდერს ერთხელაც ეწვივნენ "რეპტორზისა" და ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები და თან "ნეიტრალური", იტალიური "ბენეტონის" ექიმიც იახლეს.

"ხორხეს შეუძლია თამაში, ოღონდ დიდია იმის რისკი, რომ ტრავმა გაიმიზეზოს და არათუ თამაში ველარ შეძლოს, არამედ სიარულის დროსაც პრობლემები შეექმნას", - ასეთი იყო აპენინელის დიაგნოზი.

ოთახში "ტორონტოს" ბოსები **ბრაიან კოლანჯელო, მაურიციო გერარდინი** და ესპანელები ჩაიკეტნენ. მხარეებს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ.

ალბათ, სადაზღვევო თანხაზე მაგარი ვაჭრობა იყო, კანადელები ხორხეს 700 ათასად ტურნირზე გაშვებას არ თანხმდებოდნენ და საბოლოოდ, მხარეები შემდეგზე შეთანხმდნენ - გარბახოსა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებდა, "რეპტორზს" კი დაზღვევის სახით ერთი მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

"ბავშვივით ვიჯექი და ველოდებოდი კარის გაღებას. ოთახიდან ჯერ მაურიციო გამოვიდა და სახეზე არაფერი ეწერა. მერე ბრაიანი დავინახე, ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლები კი არ ჩანდნენ. კოლანჯელო გვერდით მომიჯდა და მკითხა, დარწმუნებული თუ ხარ, რომ ტურნირზე თამაში შეგიძლიაო? დადებითი პასუხი რომ გავეცი, მანახა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ჩემი დაზღვევა 300 ათასით გაზრდილა, თუმცა ამის გარდა იყო კიდევ ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც ჩვენი კალათბურთის ფედერაცია "ტორონტოს" ამ თანხის გარდა კიდევ ნახევარ მილიონს გადაუხდიდა. ეს იმ შემთხვევაში, თუ მივიღებდი ტრავმას, რომლის შემდეგაც რეგულარულის გამოტოვება მომიწევდა", - იხსენებს გარბახოსა.

ამერიკელს რომ ასეთი ტრავმა მიეღო, რა ნაკრები, რის პრესტიჟი - ვარსკვლავს ეგრევე იძულებით უქმობას გამოუწერდნენ, რეგულარულის წინ მინიმალურად დატვირთავდნენ და თუ მოთამაშე სეზონს ჩააგდებდა, ბევრი არც გააკრიტიკებდა, ტრავმიანი გავიდა მოედანზე და რა მისი ბრალიაო.

გარბახოსას ტრავმის შემდეგ "ტორონტოს" ვარსკვლავი ფორვარდი კრის ბოშიც დაუშავდა, ოღონდ მისი ტრავმა ხორხეს დაზიანებასთან შედარებით სერიოზული აშკარად არ იყო. ბოშმა მარჯვენა მუხლის მყესი დაიჭიმა და მაქსიმუმ, ორთვიანი უქმობა მოუწევდა. თავისთავად, კრისი ეგრევე ამოშალეს ამერიკის ნაკრების შემადგენლობიდან და მისი შემცვლელის ძებნა დაიწყეს.

გარბახოსა კი მაქსიმალური ყურადღებითა და თავდადებით ვარჯიშობდა. ესპანელმა ვეტერანმა კოლანჯელოსა და გერარდინის რჩევით, ამერიკელი კონსულტანტი **სტივენ ოდონოვანი** დაიქირავა, რომელსაც ხორხეს სავარჯიშო და აღდგენითი ციკლი უნდა გაეკონტროლებინა.

"გარბახოსა დარბაზში პირველი შედიოდა და იქამდე არ ტოვებდა დარბაზს, სანამ ზუსტი სამიანების აუცილებელ რაოდენობას არ დააგროვებდა. არადა, მწვრთნელებმა მას შემსუბუქებული რეჟიმით ვარჯიშის ნება დართეს.

გარბახოსას სავარჯიშო ჩანთის ნაცვლად, ხელში მუდმივად ყინულების უზარმაზარი პარკი ეჭირა, ვარჯიშის დროს კი, შიგა და შიგ, მტკივანი ფეხის მაღალ ადგილზე შემოდება უხდებოდა. მას ტკივილი სახეზე ეწერა, მაგრამ თუ დარბაზში მის გარდა სხვაც იმყოფებოდა, ხორხე ტკივილს არ იმჩნევდა და პირიქით, ცდილობდა მაქსიმალური თავდადებითა და ლტოლვით ახალგაზრდა თანაგუნდელებისთვის კარგი მაგალითი მიეცა", - ეს კი სტივენ ოდონოვანის სიტყვებია.

ნერვიულობდნენ თუ არა "ტორონტოს" წარმომადგენლები"?

"რა თქმა უნდა, ვნერვიულობდით. ხორხემ პირველივე სეზონში იმდენად დადებითი აურა შემოიტანა ჩვენს ორგანიზაციაში, რომ მის გარეშე "რეპტორზის" წარმოდგენა ბევრი მოთამაშისთვის რთული იყო. წარმოიდგინეთ, ბოში დარბაზს მხოლოდ მას შემდეგ ტოვებდა, რაც ხორხე თავის ნივთებს აკრეფდა და მწვრთნელისგან აუცილებელი მითითების შემდეგ დარბაზში მომუშავე პერსონალს დაემშვიდობებოდა.

გარბახოსა ცდილობდა გუნდის ლოკალური ლიდერი და ყველაზე ქარიზმატული ფიგურა გამხდარიყო. იგი არ აძლევდა ვარჯიშებზე შენიშვნებს თანაგუნდელებს, მაგრამ მისი დამოკიდებულება თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ეპიზოდისადმი, ყველასთვის გადამდები, გარკვეულწილად, სამაგალითო იყო", - ამბობს კოლანჯელო.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გარბახოსას "რეპტორზის" სამედიცინო პერსონალის დაკვირვებით კიდევ ერთი შემოწმება უნდა გაეარა.

"ბოლო ტესტმა გვაჩვენა, რომ ხორხეს ნაოპერაციებ მუხლში უმნიშვნელო რაოდენობის სითხე ჰქონდა ჩამდგარი. თავისთავად, ესპანეთის კალათბურთის ფედერაციამაც გაიგო ამის შესახებ და კიდევ ერთი შეხვედრა დავგეგმეთ. უბრალოდ, ხორხემ მოითხოვა, რომ წინა შეხვედრიდან განსხვავებით, ამჯერად საუბარს თვითონაც დაესწრებოდა.

გარბახოსას ექიმებმა პირდაპირ უთხრეს - სითხეს ამოგიღებთ, მაგრამ ტურნირის მსვლელობისას ამ მტკივნეული პროცედურის ჩატარება მინიმუმ ერთხელ კიდევ მოგიწევსო. ხორხეს წამიც არ უფიქრია, რაც გასაკეთებელია, ყველაფერს გაგაკეთებინებთ, ოღონდ ესპანეთის ნაკრებში უნდა ვიყოო", - ესეც მისტერ კოლანჯელოს სიტყვებია.

გარბახოსამ ევროპის ჩემპიონატი სრულად და ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის სასურველი დატვირთვით ვერ ჩაატარა, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ ესპანეთი სანუკვარ ტიტულს ხორხეს ცუდი კონდიციების გამო ვერ შეწვდა.

"იგი ჩვენი მეგობარი, მრჩეველი და გარკვეულწილად, მწვრთნელიცაა. ხორხეს უდიდესი საკალათბურთო ინტელექტი აქვს და დარწმუნებული ვარ, რომ კარიერის დამთავრებისთანავე იგი მწვრთნელობას მოინდომებს. გარბახოსას არაფერში სჭირდება მწვრთნელის სერთიფიკატი, რადგან იგი დღესაც, მოთამაშის გადასახედიდან, თამაშს ბევრ გამოცდილ სპეციალისტზე უკეთ ხედავს და წაიყვანს კიდეც", - მიაჩნია გასოლს.

ფინალში ესპანეთი 59:60 რუსეთთან დამარცხდა, თუმცა გარბახოსას თქმით, იმ მატჩის წაგებით გამოწვეულმა სულიერმა ტკივილმა უკვე გაიარა და ესპანეთში ყველა პეკინის ოლიმპიადაზე ფიქრობს, სადაც ხორხე, პაუ და კომპანია, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

"ფინალი უნდა მოგვეგო, მაგრამ ვერ მოვიგეთ. იმ მატჩის მერე ორი-სამი დღე არავის დანახვა არ მსურდა, მაგრამ მოთამაშემ წარუმატებლობაში, პირველ რიგში, საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულოს, რადგან თუ შენი რეგრესი და ის, რომ გუნდს გადამწყვეტ მომენტში რაღაც დააკელი, ვერ დაინახე, მაშინ შენი ვარსკვლავობაც, პოპულარობაცა და ფინანსური მდგომარეობაც უკანა პლანზე გადადის", - ფიქრობს გარბახოსა.

საპეკინოდ ესპანეთს მართლაც ძალიან ძლიერი ნაკრები ეყოლება. ამერიკის, არგენტინისა და კიდევ ორი-სამი გუნდის (მათ შორის, ესპანეთის) ჭიდილში გაირკვევა, თუ ვინ მოიპოვებს ჩინური ოლიმპიადის ოქროს.

"არაჩვეულებრივი მოთამაშე და ბრწყინვალე პიროვნებაა. "ტორონტოში" გადასვლა ჩემთვის ბევრს ნიშნავს და იმედი მაქვს, რომ ხორხესგან პროფესიონალიზმს ავიმაღლებ და მასსავით მშრომელი გავხდები", - ეს კი უკვე "რეპტორზის" ახალწვეულის, არგენტინელი **კარლოს დელფინოს** სიტყვებია. ამ უკანასკნელის გარდა, "ტორონტოში" კიდევ სამი კარგი ახალწვეული იქნება: **ჯეისონ კაპონო** შარშან ლიგის უძლიერესი მესამიანე იყო, დელფინოს პროგრესს ხელი "დეტროიტში" რამდენიმე წლის განმავლობაში სათადარიგოთა სკამის ხეხვამ შეუშალა, ხოლო **მაცეო ბასტონი** და **გიორგოს პრინტეზისი**, ალბათ, ძირითადი ათკაციანი ბირთვის მიღმა დარჩებიან.

ზურაბ თალაკვაძე

TV სპორტი

9 ოქტომბერი. სამშაბათი

I არხი

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
18:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:45 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:20 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
07:50 ფეხბურთი. Barca TV.
08:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:55 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. აკადემიკა-პორტუ.
12:48 ფეხბურთი. Barca TV.
12:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. იაპონიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ტოკიო.
17:00 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
17:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
18:00 ავტოსპორტი. ევროპის თასი. იალტის რალი.
18:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ჰემი.
20:03 ფეხბურთი. Barca TV.
20:11 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ვაშინგტონი.
00:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:44 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
02:07 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-კაროლინა (LIVE).
05:35 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
06:03 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰანოვერი.
07:51 სპორტული ისტორია.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 სნუკერი.
12:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩები.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა (LIVE).
14:45 მულტისპორტი.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
18:30 სნუკერი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 მულტისპორტი.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
22:00 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. დ. ტუა (აშშ)-ს. მონტანა (მექსიკა). აშშ.
23:00 პროფესიული კრივი. ნახევრადსაშუალო წონა. ა. შება (საფრანგეთი)-პ. სიტპარადონი (ტაილანდი) (LIVE).
01:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
02:30 მოტორსპორტი.
02:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. როტერდამი. ჰოლანდია.
12:45 კალათბურთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი.
16:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. საფრანგეთი.
17:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. საფრანგეთი.
18:45 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გუმერსბახი (გერმანია)-ვეცპრემი (უნგრეთი).
19:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ვენა. ავსტრია (LIVE).
23:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. საფრანგეთი.
00:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 რესტლინგი.
02:45 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ჩემპიონატი

ქუინზ პარკი-ნორვიჩი	1:0

იტალია

სერია C1/B

ტარანტო-პესკარა	1:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

ალემანია-ფრაიბურგი	2:0

საფრანგეთი

II დივიზიონი

დიჟონი-ნანტი	0:0

პორტუგალია

ბრაგა-ნასიონალი	1:0
ფერეირა-ამადორა	2:1
ბოავიშტა-ბელენენსეში	2:4

დანია

ორჰუსი-ოლბორგი	3:5

ნორვეგია

ბრანი-ლინი	3:1

II დივიზიონი

მიოლდე-ჰაუგესუნდი	3:1

შვედეთი

ელფსბორგი-ჰალმსტადი	1:1
ჰამარბიუ-ჰელსინგბორგი	0:2
ორებრუ-კალმარი	1:3

II დივიზიონი

ჰაკენი-ატვიდაბერგი	4:1
ლანდსკრონა-იონჩოპინგსი	2:0
ნორჩოპინგი-სირიუსი	2:1

ჩეხეთი

სპარტა-სლავია	0:2
ბრნო-ბოლესლავი	0:3
პლზენი-ვიქტორია	3:1

ირლანდია

დუბლინი-კორკი	1:2

რუსეთი

ნალჩიკი-სპარტაკი	1:2

უნგრეთი

ვაშაში-მტკ	0:3

ჰოკეი

რუსეთი

აკ ბარსი-მეტ	4:2
ნეფტეხიმიკი-დინამო	5:3
სკა-ავანგარდი	2:1
ხიმიკი-სპარტაკი	1:1 ო.ბ. 2:1

შვედეთი

აიკ-ბრიუნასი	6:3
მოდო-სიოდერტალე	4:3

ჩოგბურთი

ATP. მოსკოვი

კოლშრაიბერი-გიმელსტობი	6:1, 6:3
სერა-სტარაჩე	4:6, 6:4, 6:3
ტიპსარევიჩი-როიტმანი	3:6, 6:4, 6:4
სტეპანეკი-გაბაშვილი	7:5, 6:3

ATP. ვენა

ლუბიჩიჩი-ჰაიდერი	6:4, 7:5
კარანუშიჩი-ვანეკი	7:6, 4:6, 6:7
ბაღდატისი-სეპი	2:6, 2:6
მოია-კუბეკი	6:7, 7:5, 2:6
ვავრინკა-ციკელი	4:6, 6:3, 6:4

ATP. სტოკჰოლმი

ნიემინენი-კამკე	6:1, 6:2
მონტანიესი-ზოპანა	7:6, 6:1
ერნანდესი-პრპიჩი	2:6, 6:7

WTA. მოსკოვი

დანიილიდუ-დუშევინა	5:7, 1:6
შნიდერი-ლუა	6:4, 6:1
ბარტოლი-ა. ბონდარენკო	6:2, 7:5

WTA. ბანგკოკი

ამანმურადოვა-იანი	7:5, 6:3
ოლარუ-ვოზნიაკი	5:7, 4:6
კრისტეა-უ. რადვანსკა	0:6, 3:6
პინი-კოსტანიჩი	7:5, 6:0

რეიტინგები

ATP-ის რეიტინგი	
1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	7355
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	5385
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	4145
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	3255
5(5). ენდი როდიკი (აშშ)	2540
6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	2360
7(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2235
8(8). დავიდ ფერერი (ესპ)	2130
9(9). ტომი რობრედო (ესპ)	2035
10(10). ტომას ბერდიჩი (ჩეხ)	1950
11(13). რიშარ გასკე (საფ)	1885
12(11). ტომი ჰაასი (გერ)	1880
13(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	1850
14(14). გილერმო კანიასი (არგ)	1673
15(15). კარლოს მოია (ესპ)	1620
16(16). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	1465
17(17). მიხაილ იუჟნი (რუს)	1465
18(18). ენდი მარეი (ბრიტ)	1455
19(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)	1365
20(20). ხუან მონაკო (არგ)	1310

ATP-ის საჩემპიონო რბოლა	
1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	1171
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	1012
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	802
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	485
5(5). ენდი როდიკი (აშშ)	466
6(6). დავიდ ფერერი (ესპ)	424
7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	331
8(12). ტომი რობრედო (ესპ)	327
9(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	321
10(14). რიშარ გასკე (საფ)	320
11(13). ტომას ბერდიჩი (ჩეხ)	317
12(9). ტომი ჰაასი (გერ)	316
13(10). კარლოს მოია (ესპ)	315
14(11). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	314
15(15). მიხაილ იუჟნი (რუს)	281
16(17). გილერმო კანიასი (არგ)	280
17(16). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	279
18(18). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)	273
19(21). ენდი მარეი (ბრიტ)	261
20(19). მარკოს ბაღდატისი (კვი)	258

ფულადი მონაგარი	
1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	7 063 620
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	4 344 435
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3 057 150
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	1 417 775
5. ენდი როდიკი (აშშ)	1 224 120
6. დავიდ ფერერი (ესპ)	1 178 452
7. ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	1 106 430
8. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ)	1 055 320
19. რიშარ გასკე (საფ)	957 290
10. ტომი რობრედო (ესპ)	906 197
11. ტომი ჰაასი (გერ)	896 300
12. ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	893 045
13. მიხაილ იუჟნი (რუს)	889 625
14. ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	871 515
15. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	853 985
16. კარლოს მოია (ესპ)	832 265
17. გილერმო კანიასი (არგ)	812 915
18. მაიკ ბრაიანი (აშშ)	737 185
19. ბობ ბრაიანი (აშშ)	733 360
20. მარკოს ბაღდატისი (კვიპ)	712 755

WTA-ს რეიტინგი	
1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ)	5500
2(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3650
3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3475
4(4). მარია შარაპოვა (რუს)	3235
5(5). ანა ივანოვიჩი (სერ)	3175
6(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2890
7(7). სერენა უილიამსი (აშშ)	2466
8(8). ვენუს უილიამსი (აშშ)	2405
9(10). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	2177
10(9). ნადია პეტროვა (რუს)	2121
11(12). ამელი მორესმო (საფ)	1995
12(11). მარიონ ბარტოლი (საფ)	1991
13(14). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1735
14(15). ელენა დემენტიევა (რუს)	1727
15(13). პატი შნიდერი (შვეიც)	1694
16(16). შაარ პეერი (ისრ)	1689
17(17). დინარა საფინა (რუს)	1665
18(19). ტატიანა გოლოვინი (საფ)	1624
19(18). მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1577
20(20). აგნეს შავაი (უნგრეთი)	1363

WTA-ს საჩემპიონო რბოლა	
1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	4975
2. ელენა იანკოვიჩი (სერ)	4095
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3386
4. ანა ივანოვიჩი (სერ)	3162
5. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2627
6. სერენა უილიამსი (აშშ)	2466
7. მარია შარაპოვა (რუს)	2430
8. ვენუს უილიამსი (აშშ)	2405
9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	2096
10. მარიონ ბარტოლი (საფ)	1929
11. ნადია პეტროვა (რუს)	1864
12. დინარა საფინა (რუს)	1707
13. შაარ პეერი (ისრ)	1663
14. პატი შნიდერი (შვეიც)	1626
15. ტატიანა გოლოვინი (საფ)	1618
16. ელენა დემენტიევა (რუს)	1592
17. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1511
18. ამელი მორესმო (საფ)	1477
19. სიბილ ბამერი (ავსტრია)	1435
20. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1372

ფულადი მონაგარი	
1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	4 185 086
2. სერენა უილიამსი (აშშ)	1 960 721
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	1 881 812
4. ვენუს უილიამსი (აშშ)	1 835 097
5. ელენა იანკოვიჩი (სერ)	1 669 032
6. ანა ივანოვიჩი (სერ)	1 645 224
7. მარია შარაპოვა (რუს)	1 243 420
8. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	1 116 371
9. მარიონ ბარტოლი (საფ)	1 068 195
10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	930 452
11. დინარა საფინა (რუს)	793 372
12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	768 503
13. შაარ პეერი (ისრ)	768 070
14. მარა სანტანჯელო (იტა)	669 662
15. ნადია პეტროვა (რუს)	655 962
16. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ)	655 452
17. ლიზელ ჰუბერი (აშშ)	644 084
18. პატი შნიდერი (შვეიც)	633 607
19. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	625 295
20. კარა ბლეკი (ზიმ)	621 892

ანენმა 92 ათასთან ერთად, ახალი პორშეც მიიღო

ტურნირების მიმოხილვა

ფერერი თითქმის შანხაიშია

კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს ესპანელი **დავიდ ფერერი**, რომელიც თავისი თანამემამულეებისგან განსხვავებით, თიხნარის გარდა სწრაფ საფარზეც კარგად გრძნობს თავს და მიმდინარე სეზონში მეორე საჰარდო ტიტულიც მოიგო.

ტოკიოს ტურნირზე ფერერი პირველ ნომრად იყო განთესილი და გადამწყვეტ მატჩში, ვალენსიელმა ჩოგბურთელმა სულ რაღაც 52 წუთში, ფრანგი **რიშარ გასკე** ორ პარტიაში მხოლოდ სამ გეიმს დააჯერა და შეხვედრა 6:1, 6:2 მოიგო.

თუმცა, მანამდე იყო ნახევარფინალი მეეისე **ივო კარლოვიჩთან**. ამ უკანასკნელს, ფერერთან მატჩამდე 1000-ეისიანი ზღვარი გადაელახა და პრინციპში, ისევე, როგორც დავიდს, ამაზე უკეთ თავის კარიერაში არც ხორვატ გიგანტს უთამაშია.

ფერერს მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთი ბრეიკ პოინტის გადარჩენაც არ დასჭირვებია - ესპანელი დამაჯერებლად იგერიებდა კარლოვიჩის ყველა შეტევას და ხორვატს უკანა ხაზიდან გაცილებით ვარირებული თამაშით სჯობნიდა.

პირველ სეტში დავიდმა ტაი ბრეიკზე თავიდანვე შეძლო დაწინაურება და საბოლოოდ, 7:3 იმარჯვა, ხოლო მეორეში კი, ფერერმა ერთი ბრეიკი ბოლომდე შეინარჩუნა და შეხვედრის დაწყებიდან 81 წუთში 7:6 (3), 6:3 მოიგო.

"მეორე სეტში ივომ გააუარესა პირველი მოწოდების პროცენტული მაჩვენებელი და ბურთის დაბრუნების მეტი შანსი მომეცა. კარლოვიჩი მსოფლიოს უძლიერესი მომწოდებელია და მის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერ საფარზე რთულია", - ამბობდა მატჩის შემდეგ ფერერი, რომელმაც ხორვატი კოლეგების წინააღმდეგ მეშვიდე მატჩი გამართა და მეექვსე გამარჯვება მოიპოვა.

გასკეს სახით, 25 წლის ფერერს ფინალში ძალიან სახიფათო ოპონენტი ჰყავდა. შარშან, ფრანგს ტრავმების გამო ლამის განახევრებულ სეზონშიც კი შეეძლო ნებისმიერის, თუნდაც **როჯერ ფედერერის** ძლევა და მის უნივერსალიზმსაც თუ გავითვალისწინებთ, ფავორიტის დასახელება რთული იყო.

გადამწყვეტ შეხვედრაში, ფერერი თავიდანვე აგრესიულად დაუხვდა გასკეს და მატჩის ბოლომდე შეხვედრის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვია. ფერერმა ფინალის მოსაგებად 52 წუთი იკმარა და კარიერის მერვე ფინალში მეხუთე ტიტული მოიხვეჭა.

ტოკიოს ტურნირის მოგებით, დავიდ ფერერმა ჩემპიონთა რბოლაში 424 ქულა დააგროვა და მეექვსე ადგილს ინარჩუნებს.

რაც შეეხება 21 წლის გასკეს, მან აზიური ტურნეს წარმატებით ჩამთავრების შემდეგ, მეცხრე ადგილზე გადასვლა შეძლო და შანხაიში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე (12-20 ნოემბერი) მოხვედრის მშვენიერ შანსს ინარჩუნებს. ყველაფერს თუ არა, ბევრ რამეს პარიზისა და მადრიდის მასტერსები გაარკვევს.

■ ■ ■

მეცში კიდევ ერთმა ესპანელმა, **ტომი რობრედომ** იქნია საჩემპიონოდ ჩოგანი და კარიერაში მეექვსე ტურნირის მოგებით, მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსები გაიუმჯობესა.

პირველ ნომრად განთესილმა ესპანელმა, ფინალში პირველი სეტის 22 წუთში წაგების (0:6) შემდეგ, ალღო აუღო ბრიტანელი **ენდი მარეის** აგრესიულ თამაშს და საბოლოოდ, სამ სეტში იმარჯვა. ამ მატჩის შემდეგ, რობრედო ჩემპიონთა რბოლაში მერვე პოზიციამდე აღზევდა.

აგვისტოში, სოპოტში გაჩემპიონობის შემდეგ, რობრედოსთვის ეს წლეულს მეორე ტიტული იყო. გარდა ამისა, იგი ოკლენდისა (ფერერთან წააგო) და პეკინის (**ფერნანდო გონსალესთან**) ფინალებში იყო გასული.

"ენდი მსოფლიოს ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშეა და თუ საუკეთესო ფორმაშია, მისი დამარცხება ძალიან რთულია. დღეს, რიგ ეპიზოდებში გამიმართლა, თუმცა მარეი უახლოესი 10 წელიწადის განმავლობაში, სლემის ტურნირებზე ჩემპიონობის მუდმივი კანდიდატი იქნება", - განაცხადა ნამატჩევს რობრედომ.

■ ■ ■

შეუჩერებელია **ჟუსტინ ანენი**, ვისაც წლეულს, 58 მატჩში ოდენ 4 აქვს წაგებული. შტუტგარტში პირველი ათეულიდან მხოლოდ ორ წარმომადგენელს არ უთამაშია, მაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, რომ სწორედ ბელგიელი იქნებოდა ამ პრესტიჟული ტურნირის მთავარი ფავორიტი.

ანენი გერმანიაში ზედიზედ 11 მოგებული შეხვედრითა და ამ მატჩებში სეტის წაუგებლად ჩავიდა. მას პარტია არც **ტატიანა გოლოვინთან** ფინალამდე წაეგო. ბელგიელმა გადამწყვეტი მატჩი უამრავი უნებლიე შეცდომით დაიწყო და მეტოქეს დაწინაურების საშუალება მისცა.

გოლოვინმა პირველი სეტის მოგების შემდეგ, მეორის სტარტზეც ბრეიკი გააკეთა და 2:1-ზე თავად აწვდიდა. თუმცა, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, ჟუსტინმა მებრძოლი ხასიათი სწორედ კრიტიკულ სიტუაციაში გამოამჟღავნა და მატჩში გარდატეხა შეიტანა.

"არაჩვეულებრივი ტურნირი იყო და ბედნიერი ვარ, რომ ჩემპიონი გავხდი. აქ თამაში ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის სიამოვნება და პატივია, ხოლო გოლოვინი კი პოტენციურად პირველი ხუთეულის მოთამაშეა", - შეაქო ორგანიზატორები და ნირწამხდარი ოპონენტი გახარებულმა ანენმა, ვისაც ერთეულებში უიმბლდონის ნახევარფინალის მერე არ წაუგია. მაშინ ჟუსტინს **მარიონ ბარტოლიმ** აჯობა.

1:2-დან მოყოლებული, ბელგიელმა ზედიზედ 7 გეიმი მოიგო, დარჩენილ დროში კი აუღელვებლად შეინარჩუნა უპირატესობა და კარიერაში 38-ედ აღმართა თავს ზემოთ მთავარი პრიზი.

■ ■ ■

ერთი კვირის წინათ, **ვენუს უილიამსმაც** და **ვირჟინ რაზანომაც**, თავიანთი ტიტულების კოლექცია თითო საერთეულო გამარჯვებებით გაამრავალფეროვნეს, გუშინწინ კი სწორედ ეს ორი ჩოგბურთელი დაეჯახა ერთმანეთს იაპონურ ჰარდზე. რაზანოს საქმეს ის უიოლებდა, რომ ამერიკელი ფინალს ზურგმტკივანი შეხვდა.

ერთი კვირის წინათ, ფრანგმა სადებიუტო ტიტული ჩინეთის გუანჯოუში მოიპოვა, ხოლო ვენუსმა კი, სეულში იზეიმა კარიერაში 36-ე ტურნირის მოგება.

ვენუსმა პირველი სეტი მოიგო და მან ეს თავის სტილში, უკანა ხაზიდან უძლიერესი დარტყმებითა და ბადესთან ხშირი გასვლებით გააკეთა.

როდესაც მეორე სეტში რაზანო 5:2 დაწინაურდა, გადამწყვეტი პარტიის ჩატარება თითქოსდა გარდაუვალი გახდა, მაგრამ ამერიკელმა შეცდომებს უკლო და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი გამარჯვებულის ვინაობა ტაი ბრეიკმა გაარკვია.

საჩოგბურთო ლატარიაც ამერიკელის უპირატესობით წარიმართა და თავიდანვე გაკეთებული ორი მინი-ბრეიკით ვენუსი 6:3 გაიჭრა წინ. უფროს უილიამსს სამი მატჩ-პოინტი ჰქონდა.

ამერიკელმა ორჯერ უნებლიე შეცდომა დაუშვა, ერთხელ კი, მარჯვენიდან რაზანომ აუღებელი გაისროლა და საბოლოოდ, სეტებს შორის თანაფარდობა აღდგა.

"სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ვენუსი სამიდან ერთ-ერთ გათამაშებას მაინც მოიგებდა, მაგრამ ამავე დროს, შევეცადე, რაც შეიძლება მარტივი ჩოგბურთი მეთამაშა და საბოლოოდ, ამან შედეგი გამოიღო", - იტყვის მოგვიანებით რაცანო.

მესამე სეტი კი კარგი სანახავი გამოდგა. მეტოქეებმა ჯერ სასწაულებრივად შეინარჩუნეს ორ-ორი მოწოდება, მერე კი ამდენიევჯერ ბრეიკი დაფიქსირდა.

საბოლოოდ, შეხვედრა რაცანომ მოიგო და წაუგებელი სერია 10 მატჩამდე გაზარდა. მისთვის ეს მეხუთე ტიტული იყო.

ზურაბ თალაკვაძე

ATP

ტოკიო
ჰარდი. 832 000 დოლარი
ფინალი
დავიდ ფერერი (1)-რიშარ გასკე (3) 6:1, 6:2

მეცი
ჰარდი. 353 450 ევრო
ფინალი
ტომი რობრედო (1)-ენდი მარეი (3) 0:6, 6:2, 6:3

WTA

შტუტგარტი
ჰარდი. 675 000 დოლარი
ფინალი
ჟუსტინ ანენი (1)-ტატიანა გოლოვინი 2:6, 6:2, 6:1

ტოკიო
ჰარდი. 175 00 დოლარი
ფინალი
ვირჯინი რაზანო (5)-ვენუს უილიამსი (1) 4:6, 7:6 (4), 6:4

ტაშკენტი
ჰარდი. 145 000 დოლარი
ფინალი
პოლინ პარმენტიე-ვიქტორია აზარენკა (1) 7:5, 6:2.

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი
რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი
ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა ტყოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე
უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე
რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი
ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე
ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში
ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი
კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი
გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე
მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა